

# ლიტერატურული გაზეთი

№58 16 - 29 სექტემბერი 2011

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

## ტარიელ ჭანტურია

### ფიქრი

ფიქრი ისაა – ტანჯული კაცის ფიქრში რომ შეაღწევ, და არა მხოლოდ შეაღწევ – ტანჯულს სიტყვასაც შეაღწევ...

ნუ ილანძღები ფიქრში და საშინლად ნუ ითათხები! - ფიქრი ისაა, ტანჯული კაცის გვერდით რომ დადგები!

იყო ქემანც ამისი მსურველი ანდა შემძლები! აბა ეს რაა – ადგები და სხვათა ლხინში შეძვრები...

ფიქრი ისაა – უცხო კაცს როცა სიყვარულს უცხადებ, და არა ის, რომ მის ფულს შენს ჩემოდანში ურცხვად დებ...

სხვისი შვილები მაგ შენი შვილთაშვილივით რო გიყვარს, და მათთვის თვალის შევლება ხასიათზე რომ მოგიყვანს!


როდესაც სხვების ცოლები მოგნონს, ვით დები ღვიძლები, და არა – როცა მათ ცისფერ დეკორაციებში მიძვრები...

როცა გწვავს სხვისი სიტყვი და გაციებს სხვისი ციება, და არა ავი შური და უაზრო შურისძიება...

იფიქრე ფიქრზეც – კარგია „ფიქრი, ფიქრი და ფიქრები“, ოღონდ – როდესაც იმ ფიქრში კაცური კაცი იქნები...

„ფიქრი, ფიქრი და ფიქრები არ სცილდებიან გონებას! - გული მოიცვა ტანჯვამა, სული მიეცა ღონებას!“

...ეს – ევდოშვილის ფიქრია – იყო... იცხოვრა კაცურად! რაც არ ჰქონდა და რაც ჰქონდა – საკუთარ ცრემლში განურა...



IV-V

## ზაალ სამადაშვილი

### კალამს მიღვენებით დანარილავი

ნაშ-ნაშა, ერთმანეთის მიყოლებით გაიღვიძეს ცნობიერებაში დიდი ხნის წინ დამკვიდრებულმა, მის კუთხე-კუნჭულებში ცხოვრებიდან და წიგნებიდან გადმობარგებულმა ფილოსოფოსებმა, სასულიერო პირებმა, პოლიტიკოსებმა, მეომრებმა და მეც ავმოდრავდი. ამას სხვები გუმანს, ალღოს უწოდებენ და სწორად გადადგმულ ნაბიჯებს მათ კარნახს მიაწერენ, მე კი ცნობიერებაში ხსენებულ პერსონაჟებს ვუმაღლი რთულად დასაძლევ დებრკოლებების გადალახვასა და მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელებას. ვფიქრობ, რომ სხვადასხვა დოზით თითქმის ყველა ჩვენგანში ბინადრობენ ბუნებისა და გონების მესაიდუმლეები, ნებისმიერი სახის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებლები, ათას ფათერაკგამოვლილი, რისკიანი მოგზაურები, „ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს“ გარიდებული ასკეტები და გამონაკლისი არც მე ვარ.

შინიდან ნამოვიღე მერაბ მამარდაშვილის სტატიების, მოხსენებებისა და ჩანაწერების კრებული — „ჩემი გამოცდილება არატიპიურია“. ამ წიგნს გუშინ საღამოს ვკითხულობდი და ვხვდებოდი, რა ზიანს ვაყენებდი გონებას მთელი იმ ხნის მანძილზე, როცა თითქმის მივიწყებული მყავდა ეს ფილოსოფოსი; მისი ლექციების კითხვა ხომ ყოველთვის ზუსტი და ღრმა აზროვნებისთვის განმანწყობდა. მომინია, გამოვტყდომოდი საკუთარ თავს, რომ დიდი ხანია, ასე არ მიაზროვნია. ამიტომ ნამოვიღე წიგნი სკოლაში, სადაც დღის უმეტეს ნაწილს ვატარებ. გამახსენდა მერაბის ბიოგრაფია, საქართველოში მოღვაწეობის წლები, ინციდენტი აეროპორტში, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა და თითქოს ყურში ჩამესმა ჩემი მეგობრის, გამოუსწორებელი იდეალისტის გულისტკივილით ნათქვამი ფრაზა: „ჩვენში საზოგადოებრივი აქტივობა ისჯება“. ჩემ ბიბლიოთეკაში კიდევ სამი წიგნია მისი: „კარტეზიანული განსჯანი“, „როგორ მესმის ფილოსოფია“ და „ლექციები პრუსტზე“.

VI-VII

## ზაზა ბიბილაშვილი

### ნამიცხოველი

VIII

## ნინო ქაჯაია:

### „როცა რაღაც კალიან მოგნონს, ბამოლის კიდეც“

XII

## ჯუმბერ ლომინაძე:

### „ნიგნს ვერაფერი შეცვლის“

XIII







# როდის შეიქმნა სამყარო — ზაფხულში თუ ზამთარში?

საუბრობენ ბესიკ ხარანაული და ივანე ამირხანაშვილი

**ზაფხული ანუ ბესიკ ხარანაული მუშაობისას. თბილისი. ზედა ზნის 4. მეექვსე სართული.**

**მომცრო, ოროთახიან ბინაში უჭირს ფრთების გაშლა. ღამით ისე ვერ მუშაობს, როგორც უნდა. ცოლ-შვილი ხელს არ უშლის, მაგრამ მაინც... ბინას ვერაფერი აფართოებს, ხმების გარდა. ფანჯარა ორივე მხარეს ღიაა. დროდადრო მამლის ყვილი და ძაღლის ყეფა მოისმის და გრძნობ, როგორ უქმდება სივინროვე. ავტომატურად ხმა აქამდე ვერ აღწევს. წინ ჩვენებურ „ცათამბჯენს“ უშენებენ, მაგრამ ხელს მაინც ვერ უფუჭებენ, მდიდრული პანორამა ყველა მხარეს. გარეთ ზაფხულის ათასწლეულია. მდგრადი პაპანაქება.**

— ბესიკ, მგონი ფიცი-მტკიცე არ სჭირდება იმას, რომ ზაფხულში ადამიანი ვერ მუშაობს. ეს დრო გონებრივი მუშაობისათვის არ არის. ზაფხულში პოეტს რომ ეკითხები, როგორ ხარო, ვერაფერს გპასუხობს, რადგან ვერ მუშაობს, ვერ წერს, ყოველ შემთხვევაში, ისე ვერა, როგორც სურს.

— იცი, ჩემო ვანო, რა არის? იქ, სადაც შრომის კულტურა არსებობს, პოეტი თუ პროზაიკოსი ნერვებს არ იშლის, რადგან იცის, რომ არ იმუშავებს. სამაგიეროდ, გარემო ეძახის, შორი ადგილები უხმობს, ისიც მიდის და ნახულობს.

ამიტომ ზაფხული გადადებული აქვთ. გადადებული აქვთ იმისათვის, რომ დაისვენონ. რაც ზამთარში ენატრებათ, ზაფხულში ისრულდებიან. სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ.

— ესე იგი, სულიერ სანოვავეს იგროვებენ.

— ჰო, ეგრეა, იგროვებენ და შემოდგომიდან იწყებენ ნაფიქრ-განცდილის რეალიზაციას.

— ნეტა დადგენილია თუ არა, ზაფხულში შეიქმნა სამყარო თუ ზამთარში?

— ამაზე არავის უფიქრია, მაგრამ იცი, რას გეტყვი? — ადამიანს დღესაც ისე უყვარს სითბო, სიმშვიდე, რომ დარწმუნებული ვარ, სამყარო თბილ ქვეყნებში შეიქმნა. სითბოს მიხედვით იარა კაცობრიობამ. სადაც მზე მისწვდა და მიწა გაათბო, იქ წარმოიშვა ქვეყანა.

— მხატვრული სამყაროს შექმნასაც მზე სჭირდება ალბათ, მარცვალი რომ გააღვიოს.

— ზაფხულის მზე გააღვიებს, შემოდგომისა დაამნიფებს.

— ნახე, როგორი ნათესაობაა ამ სიტყვებში: შემოდგომა — შემოქმედება. „შემო“. რა არის ეს „შემო“?

— „შემო“ კი ანათესავებს, მაგრამ ძირები ნახე, როგორი სხვაობაა: შემო-დგომა და შემო-ქმედება. ერთგან „დგომა“ „მეორეგან „ქმედება“.

— მე მგონი, „ქმედების“ სტიქია მართლაც წერას არ ეხება. „ქმედება“ უანრის არსშიც დევს. ერთი და იგივე უანრი ღლის და ფიტავს მწერალს.

ბოლო დროს ორი ვრცელი რომანი გამოაქვეყნე, ისეთები, ძველად სქელტანისა რომ უწოდებდნენ. როგორი შემოქმედებითი განწყობა გაქვს. დალლას არ გრძნობ?

— როცა წერ, იმას იშორებ თავიდან, რაც განუხებ. ეს სხვა არა არის რა, თუ არა ბიოლოგიური პროცესი.

სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის „ეპიგრაფების“ დაწერა. უბრალო შემთხვევის გამო დავინწყე, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ყალიბში ველარ ვეტეოდი ბიოლოგიურად, ჩემი ვნებებით. გაინია და გაინელა...  
— ფორმა თავისით მოვიდა თუ მოიფიქრე?

— თავისით მოვიდა. საერთოდ, მივხვდი, რომ ჩემი მანძილი არის სტრიქონი და ეს სტრიქონი რამდენხვეც განიწევს, იმხელაზე მივყვები.

ერთი სტრიქონი არის ჩემი მანძილი. ეს სტრიქონი, რა მანძილიც დასჭირდება, გზას როგორც შეესაბამება, ისე მოიქცე-

ვა. თავისი არსებობის გადასარჩენად მიუხვევს-მოუხვევს, გაძვრება-გამოძვრება.

— უფრო ნათელი რომ იყოს, არ შეიძლება, ეს სტრიქონი წარმოვიდგინოთ როგორც ტექსტის კვინტესენცია ან კამერტონი მუსიკოსთან, შტრიხი და ხაზი — მხატვართან. პირველი სტრიქონიდან გრძნობ თუ არა, რა იქნება ბოლოში?

— ვგრძნობ. ამას ერთხელ დაინახავ, მოგჩვენებ, გაქრება. მაგრამ შენ ცდილობ, რომ აღადგინო და მერე თავისით ამოდის, ბრუნდება, ამოყოფს ზურგს წყლიდან. პროცესის სულ ბოლო მომენტი არის — რომ მწერალი ხარ. მანამდე ექვ.

ამ სტრიქონში კამერტონსა და შტრიხს კი არა, ძაფს ვგულისხმობ, სიბნელიდან სინათლეზე რომ გამოყავხარ.

— ლაბირინთიდან... როგორც არიანდნეს ძაფს თეზესი.

— ჰო, ლაბირინთიდან, რომელშიც რალაცნაირად ემწყვდევი და შენი ამოცანა ხდება, რომ იქიდან გამოხვიდე.

წარმოვიდგინე, ორმოში ჩავარდი. აუცილებლად დაიწყებ ძებნას, საიდანმე ხომ არ არის ასასვლელი. უბედურებაა, როცა იცი, რომ ვერ ახვალ, ვერ გააღწევ. წიგნისთვის ეს არის — გასასვლელის პოვნა.

— რალა დასაშალია, ბევრი წიგნი იწერება ისე, გასასვლელი რომ არ აქვთ და მაინც ექვბენ. ვითომ ექვბენ...

— სხვათა შორის, „შემთხვევა“ არ არის ზედაპირული ცნება. გამოუხატავი გრძნობასავით ელოდება მპოვნელს. მეორე წიგნი „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“ დაიწყო იმით, რომ გამახსენდა ეპიზოდი, რომელიც წინა წიგნში ყველა წესით უნდა შესულიყო. ამან ამშალა.

ბიოგრაფიების არა მწამს. ვერც ერთი ადამიანი თავის ცხოვრებას ვერ მოჰყვება სწორად და ზუსტად, ის ანეკდოტურად იქნება სწორი.

თუ დავუშვებთ იმას, რომ ბიოგრაფიის მოყოლა შესაძლებელია, მაშინ რა გამოდის? გამოდის, რომ აბსოლუტურად იცნობ შენს თავს და აბსოლუტურად გიცნობ მე შენ. ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ჩვენ ერთმანეთს შედარებითად ვიცნობთ.

წიგნს წამძღვრებული ეპიგრაფი რალაცას გეუბნება წიგნზე, მაგრამ წიგნი იმას კი არ აღწერს, რაც ეპიგრაფი აქვს.

ასევეა ეს ცხოვრებაც. ადამიანს თავისი ცხოვრება იმდენად ეკარება, რომ სიზმარს ემსგავსება, თუმცა სიზმარიც არ არის. ეს არის — სიზმარს რომ რალაც ეპიგრაფი წამძღვროს ისევე სიზმრიდან.

— ესე იგი, სინამდვილეს აქაც ვშორდებით. აქაც დაეჭვება? აქაც ეჭვია წარმართველი ძალა?

— ჰო, რა თქმა უნდა. შენთვის ფიქრობთ თუ გეფიქრებ: მართლა ვიყავი? მართლა ვარ? ორი ფეხით დავდიოდი — მართალია; სახელი და გვარი მქონდა — მართალია და ასე შემდეგ. კარგიც და ცუდიც იმაზე მეტია ადამიანში, ვიდრე მას ჰგონია.

ჯორების ეპიზოდი თავისით, სიზმარცხადულად მოვიდა და მას შემდეგ სულ ვფიქრობ: მართლა იყო თუ არ იყო?.. მართლა იყო თუ არ იყო?.. ხომ არ ვიგონებ? ჯორებზე ამხედრებული უცნობები რომ გამოიქვინდნენ, ეს იყო ჩემთვის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი თავისი ბუნდოვანებითა და ბავშვური ხასიათით.

ჩაკეტილ სივრცეში ვცხოვრობდი. ერწო-თიანეთი ჩაკეტილი სივრცეა როგორც გეოგრაფიული, ისე ყოფითი თვალსაზრისით.

— თუ არ ვცდები, ჩაკეტილი სივრცე სიზმრების გამოქმნევის როლს ასრულებს, ამბების გაზღაპრებას უწყობს ხელს.

— ჯორების თავგადასავალი იმდენად ზღაპრული, იმდენად კომპარული იყო, გეგონებოდა, ურჩხულები მოგდევნო სიზმარში. ეს ამბავი დიდხანს მზაფრავდა, სანამ ერთმა ჩვენებურმა, ჩემზე ერთიორი წლით უფროსმა, არ მითხრა, კაცო, მაგ ჯორებს ჩვენც დაუფუროყინეთ და ჩვენც გამოგვეკიდნენო.

ეს ეპიზოდი წესით „ეპიგრაფებში“ უნდა შესულიყო, რაკი იქ ვნერ ჩემს ბავშვობაზე, მაგრამ საფარველი დაედო თუ რა მოხდა, არ ვიცი. წიგნის წერისას ერთხელაც არ გამხსენებია, მიუხედავად იმისა, რომ სულ იქ ვტრიალებდი, სულ იქ ვიყავი.

დავამთავრე წიგნი და ვიფიქრე, ახლა კი მორჩა, დამთავრდა ეს ჩემი ფშავი, ხეც-სურეთი და ყველაფერი-მეთქი, მაგრამ უცებ გამახსენდა „ჯორები“.

— რა გამოდის, თვითონ ამბავმა დაადლო ტაბუ თავის თავს, თვითონ გავიდა მესხიერებიდან?

— ასეა. წამოვიდა, წამოტივტივდა, გამახსენდა. ამასთან ერთად, იმდენ ეთნოგრაფიულ მასალას ვკითხულობდი, მეუბნებოდნენ, რა მოგივიდა, ეთნოგრაფი ხომ არა ხარო.

„ჯორებმა“ უკვე ეთნოსის საკითხი დააყენა. ვინა ვარ, რა ვარ, საიდან მოვდივარ.

მაგალითად, ჩვენთან არის გვარი მისრიაული. ჩვეულებრივი ფშაური გვარია. თუმცა ისიც ვიცი, რომ „მისრეთი“ არის ეგვიპტე. ამ გვარის შესახებ არსებობს ანდრეზი, რომ თამარ მეფემ (ყველაფერი ხომ თამარ მეფეს უნდა დაუუკავშიროთ) მისრეთიდან ჩამოიყვანა მჭედელი, რომელიც ჯადოქრულ ხმალს აკეთებდა. მჭედელმა გაქცევა რომ დააპირა, მეფემ ჯაჭვებით დააბა.

აქედანაც ჩანს, როგორი მიგრაცია იყო მაშინ. ამბავი ამ სინამდვილეს ინახავს. მოდიოდნენ და გარბოდნენ, სულ მოძრაობა იყო, სულ ტრიალი. ცხოვრება იყო უფრო ინტენსიური, ვიდრე დღეს არის. ადამიანი იყო „თავის უფალი“.

— არც არის გასაკვირი. საქართველო ხომ სულ სხვანაირი იყო. თუნდაც მონასხლებმა ავილოთ, თორმეტი მილიონი ვიყავით შემოერთებული მიწების ჩათვლით.

— ქვეყანაც დიდი იყო და ინტერესებიც დიდი ჰქონდა.

ან ჩემი გვარი, ხარანაული ავილოთ. „ული“ არის წარმომავლობა, „ხარანი“ არის ხარანი. ღრმა კვლევას ვერ დავინწყებ, მაგრამ სადაღაც ხომ მივყავარ ამ „ხარანს“. თუმცა მისრიაული რომ ვიყო, ვიტყვოდი, ეგვიპტელი ვარ-მეთქი.

— ეს იქნებოდა ლეგენდის დაფიქსირება. ამის იქით სადა წავიდოდი?

— ეს ცოტა არ არის. ამით დავიცავდით ისტორიულ სიმართლეს და მის დიდ მასშტაბებს. ჩვენ, სამწუხაროდ, ვავინროვებთ წარსულს, ჩვენს გეოგრაფიას, ქართველი ხალხის ისტორიული ყოფნის არეალს. ჰორიზონტი უფრო შორია, უფრო შორს ვიყავით.

მაგალითად, არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ებრაელ ტომებს საქართველოშიც ჰქონდათ თავიანთი ადგილი და ეს იყო არა 26 საუკუნის წინათ, როცა დარბევის შემდეგ მოვიდნენ, არამედ უფრო ადრეც. სხვა გზები იყო გაკვალული, უფრო ბევრი, ვიდრე წარმოგვიდგენია. ადამიანი მაშინაც საშოვარს იყო გამოდებული.

— არაფერია ახალი. არ იცვლება ადამიანი.

— ადამიანი დიდი იყო, დიდი მოვლენა იყო თავისი სულიერი არსებობით. როგორც კი ადამიანმა სულიერად

გაიღვიძა, ძალიან ბევრი მოუნდა.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს კითხულობ არა როგორც მეცნიერებას, არამედ როგორც რომანისტიკას.

— მე მაინტერესებს სინამდვილე, ასე ვთქვათ, ჭეშმარიტება. რაც მოწმეს აქვს ნათქვამი, ის უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე ჩემი გამოწვავი. ასეთი მოწმე ბევრი იყო. ვაჟა-ფშაველა უმთავრესი მოწმეა.

„სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდის“ შესავალშიც მაქვს: „მისწული დედის ძმათასა სკამს უკითხავად დაჯდება“—მეთქი. ეს მოწმეები არიან ჩემი დედიძეები. შევდივარ მათთან და რასაც მინდა, ვიღებ. იმასაც ვამბობ, რომ დედიძის ნაქონია, დედიძისა ეცვა.

— გასაგებია, მაგრამ დოკუმენტალისტიკა როდის ან სად იქცევა მხატვრულ რეალობად?

— როცა მთლიანად შენი გახდება. ტექსტი, რომელსაც ბრჭყალებში ჩასმულს იყენებ, იმდენად შენია, აღარც კი გახსოვს, რომ ვაჟასია. ეს შეგერგება.

ალექსი ჭინჭარაულის ხეცსურული ლექსიკონი ლამის ზეპირად ვიცი.

თანაც რა მახარებდა. თიანეთი ხომ კრებითი ადგილია. ხალხი, რომელიც აქ ცხოვრობდა, აღარ არის. ფშაველები და ხეცსურები ჩამოსახლდნენ. ამ მხარეს დროდადრო, როცა ცარიელდებოდა, მთიელები ავსებდნენ. ჯერ ფშაველებსურეთი ივსებოდა ხოლმე ჭურჭელივით, გადმოდიოდა და ერწო-თიანეთს ეფინებოდა.

ჩემ გარშემო ხეცსურები ცხოვრობდნენ, მაგრამ იმათ უკვე ხეცსურები კი არა, თიანელები ერქვათ.

— ხეცსურები არ ერქვათ, მაგრამ შიგნიდან ხომ მაინც ხეცსურები იყვნენ, ასე უცებ ხასიათს რა შეცვლის, ან ზნეს რა გააქრობს?

— ეგ კი არა, ჯერ ენითაც არ იყვნენ მთას მოწყვეტილი. ისინი ლაპარაკობდნენ, მე ვუსმენდი და გასაგებზე უფრო მეტი თურმე გაუგებარი გროვდებოდა ჩემს გონებაში. ალექსი ჭინჭარაულის ლექსიკონმა ამისხნა და გამაგებინა გაუგებარი. ვკითხულობდი გაუთავებლად და ჩემთვის ვამბობდი: „ეს არ დაიკარგოს, ეს არ დაიკარგოს, ეს არ დაიკარგოს...“

ზვიადაურზე და მასთან დაკავშირებულ ამბებზე რომ ვნერ, რატომ გამოვიგონო ან რა გამოვიგონო, როცა არსებობს გაბურის ჩანანერები.

— დოკუმენტურისა და მხატვრულის ნაზავი მგონი უფრო მეტ ფეფქტს იძლევა.

— მართალია გითხრა, წერის დროს ეფექტზე კი არა, იმაზე ვფიქრობდი, რაც შეიძლებოდა სრულად გამოემხატა სათქმელი.

— სათქმელი სათაურშიც ჩანს. „მეტაფორები“ ფშაველები არიან, რადგან მეტაფორულად ანუ პოეტურად აზროვნებენ; „ჰიპერბოლები“ — ხეცსურები, რადგან ჰიპერბოლივით, გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ სამყაროზე.

— მართალი ხარ, მაგრამ ტექსტში სხვა ჰიპოსტასებიც იგულისხმება. მაგალითად, ჰიპერბოლებს სამ ნაწილად ვყოფ: ჰიპერბოლები, აწრდილები და კარიკატურები.

ჰიპერბოლებს მე არ მოვსწრებოვარ. მგონი არც ვაჟა მოსწრებია, იმათი აწრდილები ნახა.

— რას ნიშნავს „აწრდილი“?

— აი, მაგალითად, სარაინდო რომანების აწრდილია თვითონ სერვანტესი. ჰიპერბოლების აწრდილები მეც მინახავს, კარიკატურები კი ისინი არიან, ვისაც დღეს ვხედავთ.

— „ჰიპერბოლების“ შთამომავლები-სათვის ეს კომპლიმენტი არ იქნება.

— არც ჩემთვის არის, მაგრამ რეალო-



ბას რა ვუყო.

პარიზში რომ გაიარო, იცი, რამდენ „მუშკეტერს“ ნახავ. მაგრამ ისინი კარიკატურებიც აღარ არიან. უბრალოდ, „მუშკეტერობის“ დროშას აფრიალებენ.

ბრეტონელები ხშირად გამოდიან თავიანთი კულტურული მეობის დასაცავად, მაგრამ საფრანგეთისგან გამოყოფას კი არ ითხოვენ, არამედ აფიქსირებენ თავიანთ არსებობას, თავიანთ ისტორიულ წარსულს ახსენებენ მსოფლიოს.

— „ჰიპერბოლებმა“ როგორღა დაცვან თავიანთი კულტურული მეობა, როცა მამაკაპურ მინაზე აღარ ცხოვრობენ. ხევსურეთში თითოკაციანი სოფლები იყო შემორჩენილი და ისინიც ქრება.

— თვალი რომ გადავხედო ქრონოლოგიას, ამ კუთხის დამცრობის ისტორიას, თმები ყალყზე დაგიდგება. ნულზეა დასული ის, რაც იყო. ვაჟას დროს, რაფიელ ერისთავის დროს, ის კი არა, აკაკი შანიძის დროს ხევსურეთი სავსე იყო, ახვიდოდი და ნახავდი. მაგრამ საგულისხმო იცი, რა არის? ვაჟას მიაჩნდა, რომ ხევსურები იქ ვერ იცხოვრებდნენ და ამიტომ მათ ბარში ჩამოსახლებას უჭერდა მხარს.

შამილობა რომ მორჩა, მშვიდობა დამყარდა, იმპერიული კანონიც მივიდა მათთან და თემის კანონი შეავიწროვა. დანაშაულზე ერთმანეთს ეხვეწებოდნენ, ბარში ნუ ჩახვალ, ნუ იჩივლებო. ადამიანი მენტალურად გასცდა თემს.

გაუსადღის პირობებში ცხოვრობდნენ. იქ რომ იცხოვრო, ან გიჟი უნდა იყო, ან სიკვდილიანი იყო.

— კი, მაგრამ ხომ ცხოვრობდა იქ ხალხი საუკუნეების განმავლობაში.

— ცხოვრობდნენ და სწორედ ამ მძიმე ცხოვრებამ წარმოშვა სილამაზე და ეს ასახულია მათს ენაში. ალექსი ჭინჭარაულის ლექსიკონში ოცდახუთი ათასი სიტყვაა და ყველა სიტყვა ხალხურ პოეზიაშია დადასტურებული. ასეთი შემთხვევა არსად არ არსებობს.

— ესე იგი, ენაში ცხოვრობდნენ, როგორც ფილოსოფოსი იტყოდა, ენა იყო მათი სახლი ყოფიერებისა.

— ენაში ცხოვრობდნენ. ფაქტიურად ენას ემორჩილებოდნენ, სხვას არაფერს. სიტყვა იყო მათი კანონი, ზნეობა, მორალი. ხევსურები უნიკალური ხალხია.

— ენის სახლი რამ დაუნგრიათ, კანონმა ხომ არა?

— ნავიდა ის დრო, აღარ იყო... საარაგვოს, ესე იგი, ბარის განწყობილებები შეეპარათ, ერთიანობის საზრისი დაერღვა. მაგალითად, არხოტივებმა ზემოდან დაუწყეს ყურება დანარჩენ ხევსურებს, იმითომ, რომ ყველაზე მძიმე თავგადასავალი ჰქონდათ.

არიან ჩვენში მთის ტომები, რომლებსაც უცნაურობა ახასიათებთ, სხვანაირები არიან და ამ სხვანაირობას ბუნება ანიჭებს. ადამიანებს ღმერთი უნიშნავს გარემომცველ ბუნებას და საშუალებას აძლევს იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან.

— სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი, ერთი შეხედვით, მეტაფორაა, მაგრამ რაც უფრო ვუღრმავდები, მით უფრო მისხლტება ხელიდან, როგორც ორწყალის კალმანი. ხან მიჩაჟი მგონია, ხან სიზმარი, ხან არც ერთი და არც მეორე. ახლოს ვერ მივუდევ, გონების თვალის ვერ მივაშტევი.

— მეცნიერულად რომ მივუდგეთ, ვთქვათ, ანთროპოლოგიური მეთოდით, მაშინ სხვა ტიპის ნაწარმოები უნდა შეიქმნას. მაგრამ როცა შენთვის სცემ პასუხებს შენში გაჩენილ კითხვებს, მაშინ ასეთი გამოდის...

მახსოვს, ხევსურები ჩამოდიოდნენ ჩვენთან და ისხდნენ როგორც კარიკატურები, რომლებიც მთლიანად, ყველანაირი ნიშნით განსხვავდებოდნენ ჩვენგან. სხვა ქვეყანასა და სხვა დროში შემთხვევით გადმოვარდნილი ადამიანები იყვნენ. ფეხმორთხმით ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ერთმანეთს ნახულობდნენ. ისევ იმ ქვეყანაში იყვნენ, საიდანაც მოსულყვნენ. რომ შემოგახედავდნენ, ფიქრობდნენ, ეს ვინაა...  
ადამიანს გამუდმებით მეტაფიზიკური ამბობი აქვს საკუთარ თავთან. ვაჟა-ფშაველამ, რომელიც გუნებაში ალბათ თავისი

კუთხის უპირატესობას აღიარებდა (ხომ ამბობდა, მე ვარ დედით და მამით ფშაველი), დაიწყო წერა ხევსურების ცხოვრებაზე. თითქმის ყველა გენიალური ნაწარმოები ხევსურულ თემაზე აქვს დაწერილი. ფშაურ თემებზე სერიოზული არაფერი გამოუვიდა.

— ხევსურეთი უთუოდ თავისი მარგინალური მოტივებით იზიდავდა.

— საქმეც ეგ არის. ქვეცნობიერად იზიდავდა ხევსურეთი, თორემ რეალურად იქ ვერ იცხოვრებდა, ვერ შეეგუებოდა როგორც ფსიქოლოგიური ტიპი და როგორც ფშაველი.

ფშაველიც არის ანდრეზები, მაგრამ ის არ შესულა მის შემოქმედებაში. ფშაველი ჰედონისტი, ხევსური არ არის ჰედონისტი. არ შეუძლია იყოს ჰედონისტი. არ შეიძლება ხევსურმა თქვას: „მშა!“ ამას არც მოხევე ამბობს. არ შეიძლება. ბარის ხალხი სულ „მშა, მშა“ გაიძახის.

— იმიტომ, რომ რეალისტია...  
თუმცა, მოდი, შორს ნუ გავყვებით, თორემ მთავარი გამოგვჩრება: 2011 წელი იუნესკომ ვაჟას წლად გამოაცხადა.

— ასეც უნდა ყოფილიყო. ას ორმოცდაათი წლის იუბილეა. რამდენადაც ვიცი, კულტურის სამინისტროს ინიციატივით გამოდის სამტომეული და ფოტო-ლუსტრაციების სრული ალბომი. კერძო გამოცემლობებმა გამოსცეს ტომეულები და კრებულები. მეტი უნდა გაკეთდეს. ქვეყანა უნდა შეძრა, რომ ვაჟა-ფშაველას იუბილეა.

— მას არ უყვარდა იუბილეები. გასხოვს: „იუბილეი გახშირდა, როგორც მისი-შირწყილები“.

— მაგას სხვა კონტექსტი აქვს, აქ არ გამოდგება.

იუბილეს დანიშნულება ის არის, რომ შეაყაყალო კაცი და უთხრა, კაცო, შენ ის კი არა ხარ, ვილაც შემთხვევით მოვლენილი, არამედ მაღალი კულტურის მქონე ერის ნაწილი; შენ გაქვს წარსული, გყავს დედამა და მამა-პაპანი.

1961 წელს ჩატარდა ვაჟას გრანდიოზული იუბილე. მახსოვს, თითქოს სხვა არაფერი ხდებოდა. მარტო ის იყო — ერთადერთი ფაქტი. მაშინ გამოვიდა აკადემიური ხუთტომეული, უამრავი კრებული თუ ცალკეული ნაწარმოები.

ასევე აღნიშნეს ბარათაშვილის იუბილე, რუსთაველის იუბილე. 1966 წელს ლამის მთელი თბილისი გადააკეთეს. მთელი ქვეყანა „ვეფხისტყაოსნით“ ცხოვრობდა.

ჩვენთვის და ჩვენისთანებისთვის იუბილე არაფერს ნიშნავს, შეგვიძლია ღამე ჩუმად ავილოთ კრებული, ნავიკითხოთ და დავტკბეთ. ეს საქართველოს სჭირდება, ხალხს, ქვეყანას.

რა გგონია, საქართველოს დარდმა მოკლა ვაჟა.

სულ ცხენზე იჯდა, მაგრამ ყველაზე მეტს წერდა და ყველაზე მეტს კითხულობდა. მსოფლიო ლიტერატურას სიღრმისეულად იცნობდა. მაგალითად, ნიცშეს საკითხი ავიდოდა. ხომ იცი, ახლა როგორ უყურებენ ნიცშეს ან ძველად როგორი კერპი იყო. ვაჟა ამბობს: ვის უყვარს ნიცშე? ნიცშე უყვარს ცეროდენას; ვის უნდა ქვეყნის დანგრევა? — ცეროდენას, ცეროდენა ადამიანებს; ვინ ქმნის მტრის ხატს? — ცეროდენა.

აქ გინდა პიროვნებები იგულისხმე, გინდა — ერი. ისეთი ზუსტი დაკვირვებები აქვს, გაგიკვირდება. მაშინ ვერ აფასებდნენ ამ ფილოსოფოსს ასე ზუსტად, ასე კრიტიკულად.

ვაჟასთვის ნიცშე არის გენიალური პოეტი, რომელიც წყობილი სიტყვით გადმოსცემს თავის ფიქრებს. არც ნიცშე იჩემებდა ფილოსოფოსობას, პოეტი ვარო, ამბობდა.

— ამას წინათ ფშაველი ყოფილხარ.

— ჩემმა შვილმა ალექსანდრემ მითხრა, მოდი, თვალისგან წავიდეთ და წავედით. ავედით. ვეკითხები, ბესოს დუქანი სად არის-მეთქი. ამეკვიტა ეს ბესოს დუქანი. რაღაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ვიპოვო-მეთქი. ვისაც ვეკითხები, არაფერი იცის.

ავდექი და პრაქტიკული შეკითხვა დავსვი: სახლი ხომ არავის აქვს გასაყიდი-მეთქი. ხერხმა გამიმართლა. „აი, იქ არის“, — მითხრეს და ხელი გზის დაბლა, არაგვისკენ გაიშვირეს. მივუახლოვდი, დავხეხაურე.

ვილაც გამოჩნდა. უფრო სწორად, ფიგურა შეირხა. „მოდით, შამოდით!“ — იძახის. შევედით. გამოჩნდა გარეთ დედაბერი და დაჯდა იქვე ქვაზე.

ძველი შენობაა, არატიპიური. საცხოვრებელსაც არა ჰგავს. დიდი, თალიანი კარები აქვს. ეტყობა, რომ გადაკეთებულ-გადმოკეთებულია. სანამ ამ ქალს გავაგებინებ, რომ ჩემგან საფრთხე არ ელის, კედელსა ვარ მიყუდებული. ყველაზე მარტივიდან დავიწყებ: ბესოს დუქანი ხომ არ იცით-მეთქი. უფრო მეტი ინტერესით შემომხედა, ვიდრე მანამდე მიყურებდა.

— ბესო შანიძისა? — დააზუსტა.

— ჰო, ბესო შანიძისა, — მივუგე გახარებულმა.

— ზედ არ აყუდიხარ! — მეუბნება.

ეს ისეთი მოულოდნელი იყო, გაცხებაც ვერ მოვასწარი.

— წარმომიდგენია, რა შთამბეჭდავი იქნებოდა. ეს ის ნამია, თქმა რომ არ სჭირდება, შეჩერდიო, თავისით ჩერდება.

— თავი ისტორიის მონმედ ვიგრძენი. რად უნდა ლაპარაკი იმას, რომ ბესო შანიძის დუქანი იყო კულტურული, საგანმანათლებლო, საინფორმაციო ცენტრი. ფშავე-ხევსურები ბარისკენ რომ დაეშვებოდნენ, აქ უნდა შეჩერებულიყვნენ, რათა მუხლში ქარი ამოეღოთ, ეჭამათ, მოლონიერებულყვნენ და განახლებული ძალებით განეგრძოთ გზა. ყველა სულიერი აქ ისვენებდა: ადამიანიც, ცხენიც, ხარიც, ჯორიც და ვირიც. გარდა ამისა, ეს იყო ცხელ-ცხელი ამბების გაცვლის ადგილი. მთიდან წამოსულს მთის ამბავი მოჰქონდა გასაცვლელად, ბარიდან ამოსულს — ბარისა.

— ესე იგი, საინფორმაციო ბარტერი მიმდინარეობდა.

— არა მარტო საინფორმაციო.

ბესო შანიძის დუქანი უნიკალური მოვლენა იყო. სხვათა შორის, აკაკი შანიძემ აქედან დაიწყო თავისი ეთნოგრაფიული ძიებები.

ეფთორიამ რომ გამოარა, მაშინვე ვიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, ბესო შანიძის მუზეუმი რომ გახსნილიყო-მეთქი.

— მით უმეტეს, ვაჟას სახელთანაც არის დაკავშირებული.

— მითხრეს, შენობა სატყეოს ეკუთვნისო, მაგრამ მგონი არავის სჭირდება. ძნელი არ იქნება მისი გათავისუფლება და მონესრიგება.

ჩემი აზრით, ამ მუზეუმმა უნდა წარმოაჩინოს პოემა „ბახტრიონის“ სულისკვეთება. იქაც ხომ მთისა და ბარის შეხვედრის, მთისა და ბარის ერთიანობის იდეა ხორც-შესხმულია.

„ბახტრიონი“ არის პატრიოტულ თემაზე დაწერილი ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში.

ამავე დროს, ბახტრიონის ომი არის ჩვენს ისტორიაში ერთადერთი ბლიცკრიგი, რომელიც ხალხმა მოიგო.

სად შეგროვდა ეს ხალხი, ეს ლაშქარი? რა თქმა უნდა, თვალისგან. რა გზით წავიდნენ? იმ გზით, რომელიც თვალისგან გადადის თიანეთისკენ და თიანეთიდან ბახტრიონისკენ. ეს ისტორიული გზა უნდა აღდგეს. ეს არის უმოკლესი მანძილი კახეთიდან საქართველოს სამხედრო გზამდე. ორმოცდაათი კილომეტრამდეა. ისტორიული ძეგლებით არის მოფენილი.

მესამე იდეა, რომელიც გულში მაქვს ამოჭრილი, ეს არის „ქოსების დუქანი“. იცი ალბათ, ვორონცოვის მოედანთან რომ არის.

— ილიას „ივერიის“ რედაქციის მოპირდაპირედ.

— ჰო, სწორედ მანდ, სადაც ტრამვაი უხვევდა. დაბლა ჩასასვლელი. დაკეტილია. ვერაფერში გამოიყენეს.

ილიას დროს იქ იკრიბებოდა უმცროსი თაობა — ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი და მათი ძმები. იქვე იყო „ივერიის“ რედაქცია და საქეიფოდ რომ ჩადიდოდნენ, შიშით იყურებოდნენ, ილიამ არ დაგვინახოსო. ჩემი რომ იყოს, ქოსების დუქანს დღესვე აღვადგენდი.

— ქოსების დუქანი რატომ ერქვა, თუ იცი?

— პატარა, უწვერული ბიჭები იყვნენ



მისი მეპატრონეები, ჯეელები... ამიტომ ეძახდნენ უწვერულთა ანუ ქოსების დუქანს.

ყველგან და ყოველთვის მწერლები თვითონ, თანაც შემთხვევით, ქმნიდნენ თავშესაფარს. მონმარტრი კულტურამ წარმოშვა და არა ქალაქის პროექტირებაში.

— მე მგონი, კმარა. სამი „სიტყვა გადვადეთ ერშია“, სამი აღდგენითი იდეა: ბესო შანიძის ფუნდუკი, ბახტრიონის გზა და ქოსების დუქანი.

თავშესაფარი ახსენე და მომაგონდა — სახლის შექმნას აპირებდი, სადმე, სოფელში, თვალისგანც ეძებდი.

— ვეძებდი და მივაგენი კიდეც. ლიშო ჰქვია სოფელი. თიანეთიდან შვიდი კილომეტრია. ერთი-ორ დღეში წავალ და დავესახლები. ფერმერობა უნდა დავიწყო. ხომ იცი, ფერმერები უბრალო საქმეზე არ ცდებიან.

— ქალაქი? ქალაქური ცხოვრება?

— ქალაქს თქვენ გიტოვებთ, თქვენთვის დამითმია.

— ბესიკ, როგორ ატყობ, დრო ლიშოშიც გადის თუ არა?

— არა. უბრალოდ, იქ არსებობს ერთი გარკვეული მონაკვეთი — მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე.

— ორი დიდი წიგნის შემდეგ რაზე მუშაობს ბესიკ ხარანაული?

— ახალ წიგნზე. ორას გვერდამდე უკვე დაწერილი მაქვს. მართალი გითხრა, არ ვიცი, რა გზით წავა და რა გამოვა.

— ფორმა? პოეტურია, პროზაულია თუ „მიქსია“?

— რა გითხრა. ჟანრების მტერი გავხდები. ადამიანს ერთ ჟანრში ვერ გამოხატავ. ახლახან შეიღს ვეუბნებოდი, „წინწყარო“ მინდა ვიმღერო, ოღონდ ყველა ხმას მე შევეწყობ, ბანსაც, მეორესაც და პირველსაც-მეთქი. ასე ვარ განწყობილი. ჩემი მანძილი არის სტრიქონი, რაც მოხდება, ის მოხდება.

— თემა?

— თემა არ ვიცი, მაგრამ პირობითად ჩვეულებრივი არსებითი სახელი ჰქვია, რომელსაც როგორც კი დახატავ, თამაში მოგიწდება.

— როდის დამთავრდება?

— ახლა დავიწყებ, ზაფხულში.

— მერე, ზაფხული რომ არ არის მუშაობისა?!

— მთავარია შენს თავს მიანიჭო მუშაობის უნარი.

მთელი დღე ვმუშაობ. დავილლები, დავისვენებ. ერთი კი არის, ხანდახან ამოვიხრებ და ვიტყვი ხოლმე: „ვინც ეს წერა მოიგონა!..“

— ესეც ალბათ ხვატის გავლენით, თორემ ისე რატომ უნდა თქმულიყო. სხვათა შორის, პირველ კითხვას მაინც ვერ ვუპასუხებთ: როდის შეიქმნა სამყარო, ზამთარში თუ ზაფხულში?

— თუ მართალი გინდა, სამყარო არ შექმნილა, სამყარო სულ იყო, თორემ, აგერ, ნახავ, „დიდი აფეთქების“ ევროექსპერიმენტი რომ დასრულდებოდა... დიდი ამბავი! დღეში ათჯერ მაინც ვფეთქებ, მაგრამ თავს იმით ვინუგემებ, რომ სამყაროს რიტმს ვეხმიანები. ისე, თუ მაინც და მაინც... ალბათ შემოდგომა.



ნიგინიანი: დასასრული

პოეტის ქონებრივი დაკლარაცია

ჩემი სიღარიბე – სიმდიდრეა ჩემი!  
რა ლატაკიც ვიყავ, იმ ლატაკად ვრჩები...  
არც ბოინგი არ მყავს, არც უბრალო გემი...  
მაინც – სიღარიბე – სიმდიდრეა ჩემი...  
იაფეტი... ქამი... იაფეტი... სემი... –  
ადრინდელიც მახსოვს თითქო ყოფა ჩემი...  
თბილისი და მცხეთა... რომული და რემი...  
ფიროსმანის ფუნჯი... პაგანინის ხემი...  
მოლოდინი მუდამ. მარად ცემა ბოლთის...  
მოლაღატე კარტი... ნაგებული სოლდი...  
არც ბიზნესი რამე, არც ბიზნესში – ნილი,  
მაინც ანეწილი სიზმარი და ძილი...  
მოლოდინი მუდამ – სხვა ცის, სხვა ედემის...

ჩემი სიღარიბე – სიმდიდრეა ჩემი...

დიდი ფასდაკლებით...

ფაქტი უნიკალური – არნახული სერიი:  
მიღის პოეტების და პოეზიის ს ე ი ლ ი !

იცინიან ტოლსტოი, კაფკა, ანრი ბეილი:  
— პოეზიის ს ე ი ლ ი ?  
— პოეტების ს ე ი ლ ი ?

ყვირის ტელევიზია, წერს „ტაიმი“, „დეილი  
უორკერი“: – ს ე ი ლ ი ? პოეტების ს ე ი ლ ი ?

ქალი, კაცი – სუყველა – მოხუცი თუ ჯეელი:  
— პოეზიის ს ე ი ლ ი ?  
პოეტების ს ე ი ლ ი ?

ეცინება ფშაველას! იღიმება შოთა!  
მარტო გრაფომანებმა მოიწყინეს ცოტა!

\* \* \*

სიყვარული? – მაგარია!  
იმიტომაც მოგერია!  
სიყვარული! სიძულვილი! -  
ქვეყნად მხოლოდ მაგ ორია!  
ულამაზესს, უსაყვარლესს –  
მღერის, მღერის მაგ არიას!  
ჩვენც ვლიღინებთ მაგ არიას!  
რა უნდა ვთქვა! — მაგარია!  
საყვარელო!  
სანატრელო!  
სალოცავო!  
მახარია!  
სუყოველთვის ყოვლისშემძლე,  
სუყოველთვის ახალია!  
სიყვარული – უხარია!  
სიყვარულით – მწუხარია!  
ძლიერია!  
ლაჩარია!  
კეთილია!  
ოხერია!  
„სიცოცხლეს და სიკვდილს შუა  
სიყვარული ტიხარია!“ –  
მახსოვს ჩემი ძველი ლექსი  
და ბავშვივით მიხარია!


\* \* \*

ისე, ყველა სიყვარული, რომ იცოდეთ, პირველია!  
პირველია პ ი რ ვ ე ლ ი ც და ის, მეასეც, პ ი რ ვ ე ლ ი ა !  
ბოლოსთვისაც, პირველივით, კაცი თავშემწირველია!  
ბოლოს მივხვდი: სიყვარული – თავიც,  
ბოლოც – პირველია!  
ჩუმად მიდის, ჩუმად მოდის – ქურდულად მომპარველია,  
ძველია თუ ახალია – შენი სულის მფარველია!  
იმდენს გიზამს – თავს შესწირავ! ისიც თავშემწირველია!  
საიდანღაც მოფრენილი – მუდამ უცხო ფრინველია!  
არ სჭირდება გადანომრვა – სუყოველთვის პირველია!

რის მეხუთე! რის მეათე! არა, კაცო, პირველია!

\* \* \*

დრო ყველაფრის მკურნალია,  
სიყვარულის გარდა –  
კვლავ გაიხსნა იმ წარსულის  
იდუმალი ფარდა...  
არ იქნა და ვერ იქნა და  
წარსულს ვერ ჩაბარდა –  
დრო ყველაფრის მკურნალია,  
სიყვარულის გარდა!  
ქალი – კაცი არ გეგონოს! —  
რას გააწყო ქალთან...  
დრო ყველაფრის მკურნალია,  
სიყვარულის გარდა!  
იდგე უნდა, გლახასავით,



ტარიელ ჭანტურია

ვირტუალურ კართან –  
ყველა საქმეს ეშველება –  
სიყვარულის გარდა...  
გამშვიდებდნენ – გავა დროო!  
ვინ რას გეტყვის მართალს! —  
დრო ყველაფრის მკურნალია –  
სიყვარულის გარდა...

ნუდისტური საბაზაფხულო

ქვეყნის გვაქვს ლედის ფოთოლი –  
არ დავიფარებთ მაინც! —  
ტიტლიკანები შევხვდებით  
გაჭალ-ჭაღებულ მაისს!

რა ფასი აქვს და რა აზრი  
ქალების ლამაზ მკერდებს,  
თუ თვალს ვერაფერ შეავლებს  
სასწაულს – ძუძუს კერტებს!

გაშიფრულია დეკოლტე  
რაგინდ-რანაირ სიღრმის –  
თითქო უეცრად აცხადდა  
ყველა სიზმარი სიყრმის...

აქ ნახავ ყველა მედეას,  
ყველა თამარს და თაკოს,  
და ბოიფრენდის კარნახით  
ტატუირებულ ტაკოს...

სულაც გვიბრძანონ, მაგ ფოთლებს  
არ მივიფარებთ მაინც! —  
ტიტლიკანები შევხვდებით  
გაჭალ-ჭაღებულ მაისს!

ბაზრების მისამართით

კაცი რომ არბის ასსართულიან  
სახლს – ის არბენა აზარტულია,  
და ასწლიანი, გრძელი ცხოვრების  
ავლა-არბენაც ასე რთულია...

ტატოს და შელის ბედი გვხიბლავდა,  
შელის და კიტის ბედი გვერჩია,  
კიტის და პლატის ყოფა მოგვწონდა –  
მათუსალობა სულ არ გვეწადა...

ეს – წინათ იყო – დაბერებამდე...  
ახლა სხვა ფიქრი ხომ არ ვიფიქროთ?  
იქნება აზრი ჩვენც შეგვეცვალა!  
ხომ არ გვეცადა?  
იქნებ გვეცადა!..

\* \* \*

მოტანილი ქარის – არ წაიღო ქარმა...  
უგულოსაც – დარდმა დაუმძიმა კარმა...  
სწორედ დღეს და ჩემთვის – არ დარეკა ზარმა...  
ყველაფერი მაქვს და არაფერი არ მაქვს...  
მილაღატა შაშმა... მილაღატა ჩარმა...  
კიდევ ერთი წიხლი. კიდევ ერთი სარმა...  
აბრეშუმებს, შალებს – ჩაენაცვლა წარმა...  
...  
ისე უცებ დაკლეს – ვერც იბღავლა ხარმა...

ლირიკულ-სადატიური ლექსპროზატი  
(პასკვილანტების დასამშვიდებლად)

ეს ცხოვრება ანეწილი – პოეტების გამოა!  
დავლაგდებით? – ა-პა-პა-პა! არაფერი გამოვა!  
მაღე ალბათ ასპარეზზე სხვა თაობა გამოვა!  
რა თქმა უნდა, აქედანაც არაფერი გამოვა!

რემბოს პარიზს იმითა სჯობს საცოდავი სამოა –  
სამოა რომ ამ დღეშია, სწორედ რემბოს გამოა!  
სიცოცხლეს რომ ამ ბოლო დროს

სულ სიკვდილის გემო აქვს –  
პოლ ვალერის, პოლ კლოდელის, პოს, პაუნდის გამოა!  
სხვიტორია, ჩარგალია, აგერ საგურამოა –  
ყველაფერი, ყველაფერი სწორედ ამით გამოა!  
მზე ჩავა და ჩასული მზე ხვალ თუ ველარ ამოვა –  
ესეც ისევე პოეტების, უფრო – შოთას გამოა!  
ძირს ლექსი და ძირს პოეტი!

...  
რა კარგი საღამოა!..

\* \* \*

(გატენილი აქვს სმიტ-ვენსონი  
წამებულ მწერალს...)

ეს ცხოვრება – შხამებით და  
ტკივილებით ავსებული –  
ეს ცხოვრება სიცოცხლესთან  
ხდება შეუთავსებელი...

საქართველო – დაქცეული,  
ოჯახები – დავსებული! —  
ეს ცხოვრება სიცოცხლესთან  
ხდება შეუთავსებელი...

ათას კაცში ცხრაასი რომ  
მკვლელია და მტაცებელი,  
იქ ცხოვრება სიცოცხლესთან  
ხდება შეუთავსებელი...

არასოდეს მომავალი  
არ ყოფილა ასე ბნელი...  
ეს ცხოვრება სიცოცხლესთან  
გახდა შეუთავსებელი...

1993

მოდის გაზრიდან კაპაოფილი ხალცარიელი

აუ, რა აურა! აუ, რა თვალები! —  
მცხეთელი, კასპელი, გალელი ქალები...

გემლება სიტყვა და გებნევა აზრი და  
ათასი ღიმილი მოგყვება ბაზრიდან...

ამ ლატაკ სამშობლოს, განგების ძალით,  
მთავარი სიმდიდრე – ისევე ყავს ქალი... –

დედა და  
ცოლი და  
შვილი და  
რძალი –  
უმშვენეიერესი ქართველი ქალი!

პარდიოლექსპროზატი

ჯიუტია სიცოცხლე ჩემი –  
სიკვდილის ჭკუაზე არ დადის!  
ჯიუტია სიცოცხლე ჩემი –  
საკუთარ წესით და ადათით...  
ჯიუტია! — სიცოცხლისთვის  
ჭკუა ბავშვივით ეკეტება!  
დღემდე ახერხებს გადალლილი  
გულის და თვალების შეკეთებას!  
ჯიუტია სიცოცხლე ჩემი,  
თან დაუჯერებლად აზარტულია!  
ლიფტი არ მუშაობს? – დიდი საქმე –  
ფეხით აუყვება ასსართულიანს...  
არ დაიჯერო, რომ ლოგინში  
სიცხის და სურდოს გამო იწვეს!  
შეხვედრა იყოს შესაძლებელი –  
სიკვდილს დუელში გამოიწვევს!

გაციებული, სიცხიანი –  
ფეხზე წამომადგო ამჯერადაც!  
მოკალი თუ გინდა – ამ სიკვდილის –  
ამ გაუგებრობის – არ სჯერა და...

\* \* \*

რუსუდანი – გმირი დედა –  
ელოდება მეცხრე ბიჭს...  
რვანი – აგე — ჟღურტულევენ,  
როგორც ცაში – მერცხლები!  
რა მოხდება, მეცხრე ბიჭი  
დაემგვანოს მერვე ბიჭს,  
ანდა სულაც მამას! — ვაჟკაცს,  
რკინის რო აქვს ნერვები!  
რუსუდანი – დიდი გოგო –  
ელოდება მეცხრე ბიჭს!

ნაღდ საჩუქარს ვეძებ რამეს!  
აბა, ხომ არ შეერცხვები!





ზაალ სამადაშვილი

კალამს მიღვანებით დანარილება



ამას წინათ, ერთ-ერთ აუდიტორიაში, სადაც კარგ გემოვნებაზე პრეტენზიის მქონე პერსონები იყვნენ შეკრებილები, ვინ მოთვლის, მერამდენედ მოვისმინე „ბრძნული“ მოსაზრება იმის შესახებ, რომ რომანის დანერგა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მოთხრობის; რომ დიდი მოცულობის ტექსტი უფრო მნიშვნელოვანია და ღირებულია, ვიდრე მცირე ზომის. არადა, არ ჭრის ამგვარად მოფიქრალ ადამიანებზე ბორხესის, აკუტაგავას, ჩეხოვის შემოქმედებების მაგალითად მოტანა, შეხსენება იმისა, რომ ლიტერატურა ძალისხმობა არ არის და მწერალი — შტანგისტიკის განსხვავებით, დასაძლევ სირთულის მოცულობით და შესაბამისად, წონით — არ ფასდება. მეტიც, ლიტერატურული ამოცანების სირთულეს კუბური სანტიმეტრებითა და კილოგრამებით არ ზომავენ.

მაილს დევსის ალბომი — „ესპანური სკეტჩები“ მოუსმენინებიათ ყოფილი ტორეადორისთვის, რომელიც საკორიდე ხარებს ზრდიდა თურმე კარიერის დასრულების შემდეგ. მოსმენა რომ დაუსრულებია, კაცი ამდგარა, მატადორის კოსტიუმში გამოწყობილა, გასულა არენაზე და თავის ერთ-ერთ ხარს შებრძოლებია. ამ საქციელის მიზეზად მაილს დევსის ალბომი დაუსახელებია, უთქვამს, მისმა კომპოზიციებმა განმანყვეს ორთაბრძოლისთვისო. თან გაცეცხა გამოუხატავს, ესპანეთის კულტურაში ასეთი წვდომა უცხოელმა, თან ამერიკელმა, როგორ შესძლოო. ეს ამბავი ჯაზმენისთვის ნაცნობ ქალს მოუყოლია. მონაყოლი დაუჯერებლად მოჩვენებია მუსიკოსს, საგარაუდოდ, „ესპანურ კულტურაში წვდომა“ მოჭრიდა ყურს, რომ აღარაფერი ვთქვათ ვიდაცის, თუნდაც ყოფილი ტორეადორის ამგვარ აღზნებაზე ჯაზის მოსმენის შემდეგ.

სანამ სატელევიზიო გადაცემა „ლიტერატურულ დისკუსიებში“ მონაწილეობის მისაღებად მივიდოდი, „ნიგნის სახლში“ შევიარე. დიდი ხანია, ვეძებ ბენედიქტ ერეფევის „I îñeãã-î ãîòò èè“-ს. არც აქ აღმოჩნდა; სამაგიეროდ, ვახებ სტივენსონის „განძობა კუნძულზე“ ქართულად. თარგმანის ხარისხზე ვერაფერს ვიტყვი, თუმცა გვერდების თვალთვლებისას თვალში მომხვდა წინადადება: „მას შემდეგ ჯონ სილვერი პირნიშნად დაიკარგა.“ უკვალოდ, უკვალოდ დაიკარგა, ბატონებო, პირნიშნად შეიძლება, ნააგო რამე, მაგალითად, ორთაბრძოლა კრივში ან მაგიდის ჩოგბურთში. კიდევ ვნახე ბორის პილნიაკის რომანისა და რამდენიმე მოთხრობის კრებული, რომლის გარეკანზე „უშანკიანი“ კაცია გამოსახული. „უშანკა“ კატორღული ქუდია, შიგნიდან ბენვის, გარედან ნაჭრის. ნაჭერი რუხი ფერის არის — ასეთი მასალისა და ფერის სასკოლო ფორმები გვეცვა ჩვენი თაობის ბიჭებს. ბებერი მემამოხეები და ნონკონფორმისტები რომ ამბობენ — საბჭოთა კავშირში ერთი დიდი ლაგერი იყო, ოდნავადაც არ აჭარბებენ. რუხი ფერი დომინირებდა ყველგან და ყველასთან, გარემოშიც და ადამიანებშიც — დიდებთანაც და პატარებთანაც.

საბჭოთა საქართველოს მმართველთა წრეში მოტრიალე, რიხიანი სადღეგრძელოების წარმოქმნასა და შემდგომ მათ

გართიმვაში დაოსტატებულ კაცს აქებენ და ადიდებენ ერთ-ერთ ყოველკვირეულ გამოცემაში. სახობო წერილში ფიგურირებს სიტყვა — „ხერხემალი“... ხერხემალი, როგორც მოვარდნის წყლის კალაპოტი, თუ რაღაც ამგვარი. ამ სიტყვამ გამახსენა დიდი ხნის წინათ მოსმენილი მსჯელობა უხერხემლო, ე.წ. „ჩეხოვის ტიპის“ ინტელიგენტის ჩანაცვლების შესახებ ხერხემლიანი ინტელიგენტით, რომელსაც ვერაფერ ვერ წამოუთქვებს თავში. ეს არ იყო უწყინარი თეორიული განსჯა, ეს გახლდათ საკუთარი ცხოვრების წესის გამართლებისა და სხვათა მოზიდვის არცთუ წარუმატებელი მცდელობა. საჭირო იყო დანერგვა მოსაზრებისა, რომლის თანახმადაც საბჭოთა ხელისუფლებასთან აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელი გახლდათ მთავარი ღირებულებების გადასარჩენად; რომ ურთიერთობის ეს ფორმა მათ პირად კეთილდღეობას კი არა, ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა. ამ მოსაზრების პროპაგანდამ, რაც ცხადია, ბოლშევიკურ იდეოლოგიაში „ჯდებოდა“, დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოების ცნობიერებას. სინამდვილეში ე.წ. „ხერხემლიანობა“ დალხენილ ცხოვრებას ნიშნავდა ბოლოა კომუნისტების ხელშეწყობით და მას არანაირი კავშირი, მეტიც, შეხებაც არ ჰქონდა მოქალაქეობრივ სიმამაცესა და ჰუმანისტური პრინციპების ერთგულებასთან.

იმ ქვეყანაში, სადაც დავიბადე, გავიზარდე და პიროვნებად ჩამოვყალიბდი, ეს დღე დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა. ახლა ჩემ ქვეყანაში ვცხოვრობ და შეიძლება ნოემბერი კალენდრისთვის ისეთივე მნიშვნელობის თარიღია, როგორც სამი თებერვალი, ანდა ოცდაათი ივლისი. ნორმალურ პიროვნებად ჩამოყალიბება ძალიან ძნელი იყო იქ, სადაც გაბატონებული იდეოლოგიისგან განსხვავებული აზრი იდევნებოდა და ასეთი აზრის გამომთქმელი უმკაცრესად ისჯებოდა. თუმცა, თავისუფალი სიტყვა მაინც ცოცხლობდა და ეს იმ ადამიანების დამსახურება გახლდათ, ვინც არც აკრძალვას, არც დევნას და არც მოსალოდნელ სასჯელს უმინდებოდა. რაც უფრო მეტ ასეთ ადამიანს გადაეყრებოდა ჩვიდმეტეტიდან ოცდახუთი წლის ასაკამდე, იმ პერიოდში, როცა პიროვნების ფორმირება განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს, მეტი შანსი გეძლეოდა, კაცად ქცეულიყავი.

მთარბმნი ბორხესის ესეე — „ჩვენი საბრალო ინდივიდუალიზმი“, სადაც არგენტინელი მწერალი ოცნებობს ისეთ სახელმწიფოზე, რომლის ხელისუფლებაც ახლოს არის ხალხთან და მინიმალური დოზით მართავს მას. ასეთი სახელმწიფოს შესაქმნელად ის სახავეს გზას, რომლის მიხედვითაც ტრადიციული გაგებით ძლიერი სახელმწიფოს შენებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ, საზოგადოების თითოეულმა წევრმა, რათა საბოლოოდ ოცნების საგანი, ინდივიდუალიზმის დამფასებელი სისტემა ჩამოაყალიბოს. ასეთი მართვა შესაძლებელია მაშინ, როცა პატივს გცემენ, სჯერათ შენი. ნდობის მოსაპოვებლად საჭიროა სხვა ადამიანის ცხოვრებით დაინტერესება, მისი პრობლემების მოწესრიგების სურვილი, მასზე ზრუნვა. თამამად შეიძლება ითქვას იგივე ბავშვებთან, მოზარდებთან ურთიერთობაზეც, რითაც ახლა ვარ დაკავებული.

საბჭოთა დოვლათოვი წერს: „ტალანტი ვენებას ჰგავს. მისი დამალვა ძნელია, უფრო ძნელი — სიმულარება.“ დასაწყისში, საკუთარი ძალაუფლების დამკვიდრებისა და განვრცობის ხანაში, საბჭოთა რეჟიმი ტალანტებს კლავდა, მერე, როცა მოლონოვირდა, მათი ყიდვით დაკავდა, საჭირო როლდებოდა რომ ვერ შეიძინა, ტალანტების სიმულირებას მიჰყო ხელი. ამ საქმეში უდავო წარმატებას მიაღწია. ამ წარმატების ნაყოფს დღემდე ვიმკით — სისტემის, იდეოლოგიის მიერ მწერლებად შერაცხული ასეულობით ადამიანი ბრაზობს, რატომ არ გამოსცემენ ჩვენ ნიგნებს, ანდა, თუ

გამოსცემს ვინმე, რატომ არ გვეკითხულობენ?...  
სიცოცხლის ბოლო წლებში დედაჩემი იყო ასე, ტელევიზორში ან თვალს მოკრავდა, ან თავიდან ბოლომდე უყურებდა ფილმს რომელიმე ისტორიულ პიროვნებაზე და უმალ იწყებდა ნიგნის მოძიებას მის შესახებ. შინ თუ არ გვექონდა, მავალბდა მოპოვებას და მიტანას. ამჟამად მეც დედაჩემით ვარ. ეს ამბავი გუშინ შევატყე ჩემს თავს. მგონი, საპატრიარქოს არხზე აჩვენებდნენ ფილმს ნაპოლეონზე. არკოლის ხიდის გადალახვის ეპიზოდს მივუსწარი, დროში ხელში რომ მირბის ახალგაზრდა, გრძელთმიანი გენერალი და ტყვეების წვიმა რომ ცელავს მის გვერდით მყოფებს. გუშინ საღამოს და დღეს დილას დიდი ინტერესით და სიამოვნებით ვკითხულობდი ალბერტ მანფრედის არაჩვეულებრივ ნიგნს — „ნაპოლეონი“, გამოცემულს სოხუმში, საბჭოთა ეპოქაში. სამხედრო სკოლაში სწავლისას ყმანვილ ნაპოლეონს მასწავლებელი გაჯავრებია, რაც შეკითხვით გამოუხატავს, — ვინ ხარ შენ? ბიჭუნას პასუხი ასეთი ყოფილა, — ადამიანი ვარ! საინტერესოა, „შავების“ მიერ თავიანთი თავის ადამიანად მოხსენება რამე კავშირში თუა კორსიკელი ბიჭის პასუხთან. რომელიმე ნაკითხი „შავის“ გონებაში ხომ არ ამოტივტივდა ეს ამბავი და მერე „სხოდკაზე“ ხომ არ მოინონეს იდეა იმის შესახებ, კითხვაზე, ვინ ხარ შენ?... ეპასუხათ, ადამიანი... ანდა, ეს პასუხი პირველად იმ „შავმა“ ხომ არ გასცა, ვინც ზერულედ, მაგრამ მაინც უსმენდა ხნიერი პოლიტპატიმრის მოყოლილ ისტორიებს გამოჩენილ ადამიანებზე — მხედართმთავრებზე, იმპერატორებზე, მემამოხეებსა და ახალი მატერიკების აღმომჩენებზე.

კვირა საღამო დავუთმე უილიამ ფოლკნერს. ნაკითხვით მისი მოთხრობა „ბიძია ბილი“, ამბავი პატარა ბიჭისა და სამოცი წლის კაცის უგულითადეს მეგობრობაზე და დავასკვენი, რომ დიდი მწერლების ხელახალი გადაკითხვა სხვადასხვა ასაკში, მინიმუმ სამწლიანი ინტერვალით — აუცილებელია. მწარედ ვინანე, ჩემს ერთ-ერთ ოპუსში სწორედ ვინანე მემოთხრობეთა შორის ფოლკნერი რომ არ მოვიხსენიე. დღეს რომ ვწერდე იმ ოპუსს, მას სიის სათავეში მივუჩენდი ადგილს.

დღეს ჩვენი საფეხბურთო ნაკრები შოტლანდიელებს ეთამაშება. ორი დღეა თბილისის ქუჩებში კილტიანი მამაკაცები დააბიჯებენ ჯგუფ-ჯგუფად, რომლებიც საღამომობით ქიაჩელისა და მიმდებარე ქუჩის პაბებში დეკალიტრობით ლუდს ნთქავენ და გუდასტვირებს უბერავენ გაბრწყინებული სახეებით.

მეორე ჯგუფი ადამიანებისა ცხოვრობს და თან წერს. მეორე ჯგუფი კი, ცხოვრობს იმისათვის, რომ წეროს. მე პირველების სიაში ვწერივარ.

ღირებულნი ყოველივე ის, რაც ადამიანს აძლევინებს და აძლიერებს. ვინც ვერ ახერხებს რაიმე ღირებულის შექმნას, მაგრამ ატანილია ამ სურვილით, არც თუ იშვიათად, იწყებს ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლას და ცდილობს მათ შერყვნას. ეს ბრძოლა მარცხისთვისაა განწირული, თუმცა, გარკვეული დროის მონაკვეთში „მებრძოლი“ უმეცართა ყურადღებას იქცევს.

მე და სანყალი მამაჩემი ფეხით რომ ჩამოვვდით კუკის სასაფლაოდან, ორი-ათასი წელი იყო, შუა გაზაფხული, აპრილის თვე. თავიდან თვითონ თქვა, არ გვინდა ტრანსპორტი. მერე, ნახევარი გზა რომ გამოვიარეთ, დაღლა დაეტყო, ნაბიჯი შეანელა. ძალიან კარგად მახსოვს, მუქი ყავისფერი, დაწნული ფეხსაცმელები ეცვა და ღია ფერის მოთეთრო-მორუხო კეპი ეხურა, ტილოსი. ცხრა ძმის ქუჩა თითქმის რომ ჩამოვთავავეთ და ნაძალადევისკენ მიმავალი აღმართი გამოჩნდა, გაჩერდა და ხელი მომიკიდე, ბიჭოო, მითხრა. ნუ გეშინია-მეთქი და მკერდზე მივიკარი. ეს ჩვენი ბოლო ჩამოსვლა იყო კუკის სასაფლაოდან. ორი წლის შემდეგ მისი ცხედარი ავასვენე იქ, დიდდასთან და პაპასთან — მშობლებთან.

დილაადრიან, სულ სხვა ნიგნის ძებნისას, კარგა ხნის გამოგლოვილ „ყოჩაღ ჯარისკაც შევიკს“ გადავანყდი, ოთარ გვინჩიძის მიერ თარგმნილს, ნაყიდს 1964 წელს. სამი თუ ოთხი თვე ნიგნების ძებნა და ნაცნობ-მეგობრებში დავეძებდი ამ არაჩვეულებრივ რომანს და თურმე ერთ-ერთ ცენტრალურ თაროზე მედო, თვალსაჩინო ადგილას. საოცარი აპარატია მხედველობა, ტვინთან კავშირის გარეშე არ აღიქვამს იმას, რაც მის არეალში ხვდება. დაჯგუფი და დავინყე კითხვა, უფრო სწორად, ნიგნის ფურცვლა და მივიწყებული ეპიზოდების გახსენება. როგორც გადაკითხვისას ხდება ხოლმე, ზოგიერთი დეტალი სხვაგვარად გავიზარე. თუნდაც ის სცენა, სადაც საიდუმლო პოლიციის აგენტ ბრეტმენიდან საუბრის შემდეგ კორიდორიდან ტრაქტირში დაბრუნებული შევიკი დახლში მდგომ პალივეცი მამართავს, ხუთი კათხა ლუდი დავლიე და ორი სოსისი შევჭამე, ერთი ჭიქა ქლიავის ნაყენი დამისხი და წავედი, რადგან დაპატიმრებული ვარო. დრამატული და ხშირად ტრაგიკული მოვლენების მიმართ ხაზგასმულად მსუბუქი დამოკიდებულება განუმეორებელ ხიზლს ანიჭებს ყოჩაღ ჯარისკაცს... და კიდევ ერთი, რაც მას სხვა ლიტერატურული პერსონაჟებისგან გამოარჩევს — ფენომენალური მეხსიერებაა. მას უამრავი ამბავი ახსოვს, ახსოვს თითოეული ამბის მონაწილის სახელი, ადგილი, სადაც მოქმედებდა ვითარება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ყოველივე ამას დაუზარებლად, გემრილად ჰყვება. ბევრს რომ არ ლაქლქებდეს შევიკი, სხვებისა რა მოგახსენოთ და პირადად მე, ისე არ მეყვარებოდა, როგორც მიყვარს...



ამას წინათ, ცნობილი პროზაიკოსის ესეს მაგვარ ტექსტს ვკითხულობდი ფერადყდინ ლიტერატურულ ჟურნალში. ავტორი ამერიკასა და საქართველოში მომხდარ ამბავს შორის პარალელებს ავლებდა და მათ შორის კავშირის დამყარებას ცდილობდა. უნდა ითქვას, რომ დასახულ ამოცანას წარმატებით ართმევდა თავს. ტექსტი ერთი ამოსუნთქვით, დიდი ინტერესით იკითხებოდა... თუმცა, რაც უფრო შორს მივყვებოდი მთხრობელს, მით უფრო მიძლიერდებოდა იმის განცდა, რომ აქაური, თბილისური ფათერაკები თავად კი არ გადახდებოდა, თვითონ კი არ მოხვედრილიყო აღწერილის მსგავს ვითარებებში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სმენოდა მათ შესახებ. მეჩვენებოდა, რომ მასზე უკეთ ჰყვებოდა, ვისგანაც ამბებს ისმენდა. უკეთაც ჰყვებოდა და უკეთაც ანალიზებდა. არადა, ხელახალი თხრობა, თუნდაც ათჯერ უკეთესად მეორადია. პატივს ვცემ ყველა კარგ მთხრობელს, მაგრამ უფრო მაინტერესებს და მიყვარს ის მწერლები, ვინც საკუთარ შეხედულებებზე, პირად გამოცდილებაზე დაფუძნებულ მხატვრულ რეალობას ქმნიან. როგორც არ უნდა მოინადინო, განიცადო ის, რაც ოდესღაც სხვამ განიცადა, სასურველ შედეგს ვერ მიაღწევ. ერთადერთი, რაც გამოგივა — ვარიაციები ცნობილი ამბებისა და პერსონაჟების თემებზე. შენი პერსონაჟები უნდა გაყავდეს — შენი ცოდნიდან, შენი ვნებებიდან აღმოცენებული, დაქსელილები შენი სისხლძარღვებით და თითოეული მათგანის მკერდში შენი გული უნდა ფეთქავდეს.

ბამოვიძე შინიდან და გაუყუევი „ვორონცოვისკენ“ მიმავალ გზას. სანაპიროთი ვიარე, ამოუხვიე მარჯანიშვილის ქუჩაზე, ჩავუარე ყოფილ „ცენტრალურ უნივერ-



მალს“, ამჟამად ბანკის შენობას და სანკტ-პეტერბურგის ქუჩაზე, ნიგნის მალაზია „სანტა-ესპერანსას“ მივადექი. ათს ათი წუთი აკლდა და მალაზია დაკეტილი დამხვდა. შემინულ კართან, ქვის საფეხურებიან კიბეზე, მხარილოვ ჩანთაგადაკიდებული ბიჭი იჯდა და გადაშლილ ნიგნს ჩაპყურებდა. რომ მივუახლოვდი, წამოდგა და მომესალმა. ხელი კი ჩამოვართვი, მაგრამ ვერ ვიცანი. უხერხულობა რომ გამეფანტა, გამოვვლავლავარაკე, ვუთხარი, ამა და ამ ნიგნს ვეძებ-მეთქი. ვიცი ეგ ნიგნი, მი-თხრა, მე მგონი აქეთო და ცერა თითი გაიქნია უკან, ვიტრინისკენ. გავუღიმიე და მანქანაში დავბრუნდი. დავჯექი, ხელევი და ნიკაპი საჭეს ჩამოვავრდნი და მალაზიას მივაპყარი მხერა. ბიჭი სანყის მდგომარეობას დაუბრუნდა. ბიჭი სანამ და-ჯდებოდა, ჩანთა მოიხსნა და საფეხურზე დადო სითბოსათვის. კვლავ ნიგნს ჩაუკირ-კიტდა. თან კითხულობდა, თან პლასტიკის ღეროზე წამოცმულ კანფეტს წუნნი-და გულმოდგინედ. სად იყო და სად არა, თავზე გრძელთმიანი, ჯინსებჩამოჩაჩული მისი ტოლი, ან მასზე ცოტათი უმცროსი ბიჭი წამოადგა. მკითხველი ბიჭი წამოხტა და დიდი ხნის უნახავ მეგობარს რომ გადა-ეხვევი, ისე გადაეხვია. ერთმანეთი რომ მოკითხეს, გრძელთმიანმა ბიჭმა ჩანთაზე დადებულ ნიგნს დახედა. დაინტერესდა, რას კითხულობდა მისი მეგობარი. ჩაცუცქდა, გადაშალა, რამდენიმე გვერდს გადა-ავლო თვალს. ქვედა ტურჩი გამოინა, ალ-ბათი მონონების ნიშნად და რაღაც თქვა თავის კანტურით. წამოდგა. როგორც მიე-სალმნენ, ისევე დაემშვიდობნენ ერთმა-ნეთს — გადახვევით და ბეჭებზე ხელის დატყაპუნებით. ისევ დაჯდა ბიჭი და გაავრძელა კითხვა... ნიგნი, რომლის შესა-ძენადაც ვიყავი მისული „სანტა-ესპერან-საში“, გახლდათ ფან-კლოდ კარიერისა და უმბერტო ეკოს კრებული, სახელად — „არც იოცნებთო უნიგნოდ ცხოვრებაზე“. ამ კრებულს ფასდაუდებელი დახმარება უნდა გაენიჩა ჩემთვის კომპიუტერის მონი-ტორზე კითხვის მომხრებთან კამათისას.

1937 წლის თორმეტი აგვისტოს, გამთე-ნიისას, ქვიშხეთის მწერალთა დასას-ვენებელ სახლში დააპატიმრეს მიხეილ ჯავახიშვილი. ის წამოიყვანეს თბილისში და მოათავსეს შინსახკომის საპატიმროში. საკნის კართან რომ მიიყვანეს და ხელი უბიძგეს, ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელიც ყველაზე ახლოს იყო კართან, დაიძახა, ფეხზე წამოდექით, მიხეილ ჯავახიშვილი მოიყვანეს ჩვენთანო. საკანი გადავსებუ-ლი გახლდათ — დასაწოლი კი არა, ფეხზე დასაწოლი ადგილი ჭირდა... მაგრამ მწ-ერლისთვის უმაღ გამომიხანა კუთხე. მას თეთრი ტანისამოსი ეცვა, განუყურელი ხე-ლჯოხი კი, რომელიც ქვიშხეთიდან წამოყ-ვანისასაც ეჭრა, ცხადია, აღარ ჰქონდა. პირველ დაკითხვებს თავად ლავრენტი ბერია ესწრებოდა. ცემა და წამება მისი ბრძანებით, მის თვალწინ მიმდინარეობდა. მიუხედავად ჯოჯოხეთური ტანჯვისა, ჯავახიშვილი მაინც ახერხებდა მხნეობის შენარჩუნებას და დაკითხვიდან დაკითხ-ვამდე თანასაკნელებს ხან რას უამბობდა და ხან რას. ერთხელ, რადაც საინტერესო ამბავს ჰყვებოდა თურმე, როცა საკნის კარი გაღებულა და დაკითხვაზე გაუყვან-იათ. უკან კარგა ხნის შემდეგ დაუბ-რუნებიათ — ნანაშენი, ძალაგამოცლილი, გონებაშიხდილი. პატიმრებს დაუწვენიათ და გარს შემოხვევიან. ცოტა ხანში, მწერ-ალს თვალევი გაუხელია და უკითხავს, გეთაყვა, სად გავჩერდი, აღარ მახსოვსო და პასუხი რომ მოუხმენია, თხრობა გა-უგრძელდებია... მიხეილ ჯავახიშვილი დაპ-ატიმრებიდან თვენახევრის შემდეგ, 1937 წლის ოცდაათ სექტემბერს დახვრიტეს...

ის სცენა, სადაც დაკითხვიდან შემოყ-ვანილი, წამებისაგან გათანგული, ნარზე მიწოლილი მწერალი უკანასკნელ ძალებს იკრებს, თავზე წამოხრება ტუსალებს სუს-ტი ხმით ეკითხება, — გეთაყვა, სად გავჩ-ერდი, აღარ მახსოვსო და მცირეოდენი პაუზის შემდეგ დაკითხვამდე დაწყებულ თხრობას განაგრძობს — მიხეილ ჯავახ-იშვილის ცხოვრების სიმბოლოდ, სურათხ-აზად შეიძლება გამოდგეს. მას მუდამ ან-ყვეტინებდნენ თხრობას, მუდამ ატყებდნენ თავს ათასგვარ განსაცდელს, მუდამ აც-ლიდნენ ენერგიას და ძალას, მაგრამ ეს გამბედავი, სუსტი აღნაგობის სათვალისაი კაცი არც ფიზიკურად იმობლობდა და არც სულიერად, ყველა განსაცდელს ღირ-სეულად უმკლავდებოდა და თხრობას იმ ადგილიდან აგრძელებდა, საიდანაც გან-ყვეტას აიძულებდნენ...

### ლადო კილასონია სიკვდილი დიდგორის ველზე

დილიდანვე უცნაურად აეკვირათა ეს აზრი მათაშვილების ბიბოს, როგორც კი გაიგო რომ ჯარს მათი სოფელი (თუმცა რაღაც სოფელი, ექვსი ოჯახიღა შემორჩენ-ოდა მწვანეში ჩამალულ ფერდობს) უნდა გაეგლო, მოსვენება დაკარგა, გალიაში გა-მომწყვდეული მხეცივით დაიარებოდა აქეთ-იქით, ჩამავებული, მორყული ფი-ტრებით აწყობილი კედელზე დაკიდებული მამისეული, ძველი, შავქარქაძიანი, გრძე-ლი ხლისკენ ეპარებოდა თვალს, რომლის ვერცხლისფერ ტარზე მაცდურად ელაგ-და ბორჯღალი, შემდეგ თავის კოტიტა თითებს დააქცევდებოდა, მუშტად შეკ-რავდა და თავისთვის ჩაიბუტებუტებდა: „თუ შემამჩნია, გავიმარჯვებ!“

მეთორმეტე წელში იყო ბიბო, ბუთქუ-ნა, მამასავით შავქოროა და თაფლისფე-რთვალეა, დედისა და ბებოს თვალის ჩინი, როგორც მოფერებით ეძახდნენ სოფელში. ბიბო დედისერთა იყო, მამა მე-სამე ზაფხული მიდიოდა უკვე, რაც თუ-რქებს მოეკლათ პატარა შეტაკებამ. ახს-ოვს, როგორ მოიყვანეს სოფელში ურემზე გადებული, ებოში დაასვენეს (სადაც მხ-ოლოდ დედას ჩამოუგორდა ნითელ, ჯან-მრთელ ლოყებზე ცრემლები, ბებოს კი არა და ბიბოს დღემდე ახსოვდა მისი სახე — ნაოჭებისგან დაღარული, მზისგან გადა-ხრუკული და გაქვავებული, როგორც დამ-შრალი მდინარის კლაპოტი), გორაკის წვერზე, სოფლის სასაფლაოზე დაასაფ-ლავეს და დიდი, რუხი, ჯვარამოტივრუ-ლი ლოდის დაადას მკერდზე.

ბიბოს კი მამისაგან შერჩა — შავი ქო-რორი, თაფლისფერი თვალევი, ალალი, მხნე, დუღუნა ხასიათი და სწორედ ის გრძელი ხმალი, კვირაში ერთხელ რომ ჩამ-ოიღებდა ხოლმე თეთრთმიანი, გამხდარი ბებია, შავი ქარქაშიდან ამოასრიალებდა ვერცხლისფერ, ლაპლაპა პირს, განმენდ-და, დუმით გაპოხდა, გააპრიალებდა, თა-ნაც ისეთი სიყვარული უსავამა დაძჭე-ნარ, გაუხმებულ თითებს, გვეგნება გარ-დაცვილი შვილს ეფერებოდა, ხმამალა იტყობდა: დრო მოვა და ჩემი ბიბოც შემ-ოირტყამს მამის ხმალს ნელზეო, ფრთხ-ილად ჩააბრუნებდა უკან და ისევ კედელზე ჩამოკიდებდა.

და აი, დროც მოვიდა, ოღონდ იმაზე უფრო ადრე, ვიდრე უნდა მოსულიყო, დაალაღატა ბიბო. აბა, ვინ ნაიყვანს თო-რმეტი წლის ღლაპს ომში?! არადა რო-გორი ბრძოლა იქნება! ჯერ რომ არც არ-ვის გადახდენია, არც არავის უნახავს და არც არავის სმენიაო, როგორც თქვა ნუხ-ელ ქურუკი პაპამ, თავად მეფე გამოუძღვე-ბა ჯარსო და ბიბოც სწორედ ამიტომ ვერ ისვენებდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ამბავი სმენოდა მეფეზე, იცოდა რომ მთაზე დიდი იყო, რომ ერთი ხელის მოქნევით შეიძლო მთელი რაზმის შემსუ-ვრა, უზამაზარი ლოდების ანევა, რომ ასი კაციც კი ვერაფერს დააკლებდა მარტოს, რომ მტრის ისრები ხმელი ფოთლებით იფშენებოდა მის მკერდზე, რომ ბრძოლის შემდგომ სელჩუკების ცემით დაღლილი, დაღუნული ხმალი ქარქაში აღარ ჩას-დიოდა, მაგრამ თვალით არასოდეს ენახა, სწორედ ამიტომ დააქროდა შეითანვივით და ისევ თავისთვის იმეორებდა იმ სი-ტყვეებს, რომელიც ვერ ხედებოდა საიდან, მაგრამ დიდიდან ჩაესმოდა ყურში, თითქოს მამამ ჩასჩურჩულაო და რომელ-თა სიმართლეშიც ეჭვი არ ეპარებოდა: „თუ შემამჩნია, გავიმარჯვებ!“

დედა და ბებია კი თითქოს ჯინაზე ახალ-ახალ რამებს ავალებდნენ, შემა მო-ეტანა, ნყალზე ჩასულიყო, ქათმისთვის საკენკი დაეყარა.

— დამაცათ რა, დედაკაცებო, დამა-ცათ, მეფემ უნდა ჩამოიაროს, — ბურღლ-უნებდა პატარა ბიბო, მთელი სისწრაფით დააქროლებდა სქელ ფეხებს, სწრაფად ას-რულებდა დედისა და ბებოს თხოვნას, ისევ სახლის წინ დგებოდა და ისევ ფერდობს გაჰყურებდა, რომ არ გამოჰპარებოდა, როგორ გამოჩნდებოდა ცისფერ კრიალა ცისა და ხასხასა მწვანე მინდორს შორის მეთვის ვეება ოქროსგვირგვინიანი სილუე-ტი.

დრო კი, ბიბოს ჯინაზე, ისე ნელა მიდ-იოდა, მიბობლავდა, როგორც ლაფში ჩაფ-ლულ ურემში შებმული ხარები.

სხვა გზით ხომ არ წავიდნენ? გაჰკრა და როდესაც პატარა გული მიძისა და წყ-ენისაგან შეეკუმმა, უეცრად მიწა აზანზარ-და, გაისმა ფლოქებობის ხმები და მწვანე მინდორზე ცხენოსანთა რაზმი გამოჩნდა: — თუ შემამჩნია, გავიმარჯვებო! — ჩა-ილაპარაკა ბიბომ, ხმამალა იყვირა, — მოდის! მოდის! მეფე მოდის! — და თითქ-ოსდა უკაცრიელი, მიტოვებული სახ-ლებიდან სწრაფად გამოცვივდნენ ადამი-ანები.

ცხენოსანთა რაზმი მსტოვრები აღმო-ჩნდნენ, არე-მარე დაზვერეს, ერთ-ერთი ცხენოსანი უკან აფრინეს, თვითონ კი წინ

გაჰქუსლეს, თვალს მიეფარნენ და ცოტა ხანში ლაშქარიც გამოჩნდა, ლითონის მდინარესავით, უღარუნით მოედო ფერ-დობს, ზღაზვნით წამოვიდა წინ და ნელ-ნელა გადაჰვარა, ჩაყლაპა სიმწვანე.

წინ მედროშეები მოდიოდნენ, მსუბუ-ქი ნიავისაგან აფრიალებული ბაიარალები მზეზე ელავდნენ, ცხენები ფრუტუნით აქნევდნენ თავებს, მოუსვენრად სცემდნენ ფლოქებს მიწას. ჯაჭვის პერანგში ჩამჯ-დარ ცხენოსნებს, კუმტასახიანი, გაუცი-ნარი, ფერად-ფერადი, ლამაზი ჯვრებით დაწინკულროხიანი მხედრები მოჰყვნი-ნენ, პატარა მრგვალი ფარებით. „ხეფსურები!“ გაიფიქრა ბიბომ და ბედნიერებისა და ინ-ტერესისაგან გადიდებული თვალეებით შე-ხედა, რამდენი მაგარი ამბავი სმენია ქუ-ჩუკი პაპასგან ამ უშიშარ და დაუნდობელ ხალხზე. ხეფსურებს უცხოსახიანი ყვიჩა-ლები მოსდევდნენ, ყვიჩალებს, ქართლე-ლები, კახელები, თუშები და უეცრად ბი-ბომ თეთრ ცხენზე ამხედრებული მეფე დაინახა, — მხარბეჭიანი, დიდი, ღონიერი. უბრალო სამოსი ეცვა, ჯაჭვის პერანგზე მენსაშული ლაბადი შემოგლო, ნელზე სწორედ ის ხმალი ეკრა, რომელზეც ამ-ბობდნენ, ერთი დარტყმით შეუძლია ცხე-ნი და კაცი შუაში გაჭრასო, მაგრამ მთა-ვარი მაინც სახე იყო — აქა-იქ ჭალარა შეპ-არული წვერი, შეჭმუნული შუბლი, ჩაფ-იქებული თვალევი, მკაცრი გამოხედვა.

— ვინც მის ნებას დაჰმორჩილებდა, იმ-ისთვის მეფე კეთილი და მიმტყვებელია, ხოლო ვინც არა, იმას არ დაინდობს, — გა-ახსენდა ბიბოს მათ სოფელი ერთი ღამით დაჩრჩინილი მოხეტიალე ბერის სიტყვები და მიხვდა, რომ მართალს ამბობდა.

„თუ შემამჩნია, გავიმარჯვებო“, მაგ-რამ მეფემ ვერ დაინახა პატარა ბიჭი, თი-თქმის მთელი გზა ჩაფიქრებული მიდიო-და და მხოლოდ სოფლის განაპირას, მოხ-უცი დედობის ხმამალალ ლოცვაზე: ღმ-ერთი იყოს თქვენი მფარველი, შვილებოო, ანია თავი, შეჭმუნული შუბლი გაუნათდა, თვალევი აუციმციმდა, დიდი, თეთრი კბილები გამოჩნდა და ეგრე შეერია ტყეს..

„ვერ დამიხანა“ — ფიქრობდა ბიბო და უხმოდ გაჰყურებდა ტყისკენ მიმავალ, მღვრიე, ყვითელ ბილიკს.

— ბიბო, სახლს მოუარე, ქურუკი პა-პასთან ავალთ ყე და დედამენი, — მოესმა უცებ, ბიბომ ყველაფერი უშალვე გადან-ყვიტა და როდესაც ქალები თვალს მიე-ფარნენ, მამისეული ხმალი კედლიდან ჩამოხსნა, ჯერ ნელზე შემორკვდა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, შავი ქარქაში სან-ახეეროდ მიწაზე ეთრეოდა, ამიტომ, მოიხ-სნა, ზურგზე გადაიკიდა, ფრთხილი ნაბიჯით გავიდა სახლიდან, სოფელი უკან მოიტოვა და ძუნძულით გაჰყვა ლაშქარს.

სამჯერ შეისვენა გზაში, მძიმე აღმოჩნ-მენდა შუბლზე მომდგარ ოფლს, სუნთქ-ვას დაინწყნარებდა და ისევ ზაჯბაჯით გაუყვებოდა გათელილ მინდორს. პირვე-ლი, საჭმლით და იარაღით მძიმედ დატ-ვირთული ურემებს დაენიხა. მეურმეებმა კი შეათვალერეს გაკვირვებულად, მაგრამ არაფერი უთხრეს, მერე ფეხოსანი ჯარიც გამოჩნდა, ბიბო ერთ მალალ ბიჭს ამოუდ-გა გვერდში და ნელი ნაბიჯით განავრძო გზა, თან ცდილობდა სუნთქვა დაენწყარე-ბინა.

— ექვს ვინმეს? — ჰკითხა იმან.  
— არა, არავის, — მიუგო ბიბომ.  
— მამა აქ რა გინდა? — გაუკვირდა ბიჭს.  
— საომრად მივდივარ, — უპასუხა ბი-ბომ.  
— რას მიედ-მოედები, რა საომრად? ვერა ხედავ, ხმლის ხელაც არა ხარ.  
— შენ რო ხარ აღვის ხესავით, ვითომ მაგით რა ხეიო? — არ დათმო ბიბომ.  
— ამას დამიხედეთ ერთი, — გაბრაზ-და ბიჭი, — შიო ძია! მოდი ერთი, მახედე საომრად მივალ, არა მშორდება.  
სახეანარევი, უღვაშიანი კაცის თავზე წაადა ბიბოს:  
— სადა ცხოვრობ?  
— სადა და დაბლა, სოფელში.  
— ჰოდა, ეხლა მიდი სახლში დაბრუნ-დი, შე თავგასიებული, ომი მომინდომა აქა.  
— საომრად ვარ წამოსული, — ისევ შეეპასუხა ბიბო.  
— მოუსჯი-მეთქი აქედან დროზე, — გაბრაზდა სახენაირევი, ხელი ასწია მალ-ლა და ბიბოც გაეცალა.  
მარტო ვივლი, თორე უკან გამაბრუ-ნებენ, გაიფიქრა თავისთვის სიბრაზისაგან ლოყებდაბერილმა და ბუჩქებში ჩაიმალა.  
ლამაზი იყო ტყე, მზის სხივებისგან ლამის გამოჭვივადე ქვეულიყვნი ღია მწვანე ფოთლებს, ისმოდა ჩიტების ჭიკჭი-კი, ხის დიდი, შავი ფესვებით დახეთქილ მიწას ზაფხულის სურნელი ასდიოდა.  
მალულად სდია ბიბომ მთელი დღე ლაშქარს, დაღლილობისგან და შიმშილის-გან ძლივსლა მილასლასებდა და როდესაც მაცვლის ბუჩქებით დაფარულ ვიწრო ხე-



ობას მიადგნენ, ყველაზე დიდი, მელნისფე-რი მაცვლებით დახუნძლული ბუჩქი ამო-არჩია, შიგ შეძვრა, ჯერ კარგად გამოძლა, ცხვირ-პირი მოითხუშნა, დათვივით დატე-ლიპა ჩამავებული, ტკბილი თითები და მერე გემრიელად დაიძინა, იქვე, თავისი ხელით, ფოთლებისგან გაკეთებულ ფუმფ-ულა ბალიშზე.

მეფე ჯერ კიდევ მაგრად იბრძოდა, მაგრამ ნელ-ნელა ეტყობოდა, რომ ილლე-ბოდა, ნელ-ნელა, სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ერტყმოდა მტერი გარს და სალტესავით ვინროვდებოდა მის ირგე-ლივ, როდესაც წრეში ბიბო შევარდა, ხმა-ლი იძრო, ხმამალა დასჭყვილა, სარევე-ლა ბალახით გააფა სელჩუკთა რიგები და მეფე სამშვიდობოს გაიყვანა.

— რა გქვია? — ჰკითხა მეფემ და მხარ-ზე დაადო ხელი.  
— ბიბო მათაშვილი, — უპასუხა მან და გასისხლული ხმალი შეინმინდა კალ-თაზე.

სახლში მიბრუნებულს დედა და ბებია ფეხზე წამოდგნენ, აღარ ყოფილა ძველე-ბური „დედას ვამლო“ და „ბებო გენაცვა-ლოს“, ვერ გაუბედეს, ერთი შეუკითხნენ: ხომ არ გშიაო? და როდესაც ნახევრად ჩაბურტყუნებული, გაუგებარი პასუხი მო-ისმინეს, ჩუმად შეუდგნენ საქმეს. თვითონ ცეცხლთან ჩამოჯდა, ყვითელი ალები მოუსვენრად დაურბოდნენ კუმტ სახეზე, მამის ხმალი ახლა უკვე მუხლებთან ედო, ტყეში მგლები ყმოდნენ, ის კი იჯდა უძრა-ვად — ჩაფიქრებული, შუბლმეჭმუნული, ბრძოლისგან დაღლილი, იჯდა და მდუ-მარედ შეჰყურებდა კოცონს.

რომ გამოედვიდა, მზე უკვე მალდა იდგა, ლაშქარი აღარ ჩანდა, მხოლოდ ხე-ობის ვიწრო გასასვლელი, სწორედ ის, საიდანაც მოვიდა გუშინ, დიდი ქვებით დახვდა ჩახერგა.

— ჩამეძინა, — თქვა ბიბომ, წამოხტა, ხმალი შემოიკიდა ზურგზე და სირბილით გაჰყვა ურემის ნაკვალევს.

კარგა ხანს ირბინა, სანამ ფოლადის უღარუნი მისწვდა მის ყურს. აჩქარდა, ტყ-იდან გავიდა და წინ უზარმაზარი მწვანე ველი გადაეშალა. ბრძოლა დაწყებულ იყო, ხმლების წკარუნი დაჭრილთა და მო-მაკვდავთა ხმებში და ცხენების ჭიხინ-ში ირეოდა, მზის სხივები ოქროსფრად ელვარებდნენ ფარებზე და მუხარადებზე.

— თუ შემამჩნია, გავიმარჯვებო, — ბიბომ ხმალი ამოიღო, მაგრამ ცალი ხე-ლით ვერ აწია, ამიტომ ორივე ჩასჭიდა, რის ვაი-ვაგლახით ააცილა მიწას, სირ-ბილით გავარდა წინ და ბრძოლას შეერია. დახოცილებითა და დაჭრილებით მო-ფენილიყო ველი, ზოგი შევლას ითხოვდა, ზოგი სროტინებდა, ზოგიც თავისიანები-სკენ მილოლავდა, ხმლები, გადამტვრეუ-ლი შუბლები, ისრები, მუხარადები ძირს ეყარა, მუქი, ბრონელისფერი სისხლი წვილ რუქვად სერავდა ბალახს.

ბიბო ხან ერთ ადგილას ცდილობდა ბრძოლაში ჩართულიყო, ხან მეორეს, მა-გრამ აგდებდნენ:  
— მოცილდი, შე ცინგლიანო, აქედან!  
— შეუღრენდა ხოლმე რომელიმე მეომარი და ხმალს ხმალზე გადაუჯვარედინებდა მტერს.

ის კი თავისას არ იშლიდა:  
— თუ შემამჩნია, გავიმარჯვებო, — იმ-ეორებდა და სულ უფრო და უფრო სიღ-რმისკენ მიიწევდა.  
უზარმაზარმა სელჩუკმა მეორე დარ-ტყმავზე გააგდებინა ხმალი სწორედ იმ მა-ლალ ბიჭს, ძირს დააგდო, სისხლში მოთხე-რილი ნაჯახი აწია და ის-ის იყო უნდა და-ეშვა, რომ ბიბომ უნიდან უჩხვლიტა ხმ-ლის წვერი ფერდში, სელჩუკმა დაიღმუე-ლა, ბიბოსკენ მობრუნდა და მეტევაზე გა-დმოვიდა, ორჯერ მოუქნია ნაჯახი, ორჯერ დაახვედრა მამის ხმალი ბიბომ, მესამედ კი მოღუნული, მოკლე ხანჯალი ვადამდე შეუსრიალდა მაცვლით გამოტიკუნულ მუ-ეულში.

— ვაიმე! — დაიყვირა ბიბომ, ფეხები მოექცა, მიწისკენ გაექანა, მაგრამ უეც-რად ვილაციის რკინასავით ხელი შემოეხ-ვია, ტანზე მიიკრო და ფეხზე დააყენა.  
თვალს გაახილა, მის წინ მეფე იდგა. მეფემ თვალეში შეხედა ბიჭს, მგოგვინავი ხმით დაუძახა გვერდზე მდგომ მეომარს:  
— მიხედ! — ბავშვის სხეული გადაა-წოდა და სელჩუკს ეცა.



ნამიციხე

უცებ ცხელ-ცხელ ამბავს წამიკიდებს გული: ეს წამია, დადგა წამი დიდებული!

აი, ზუსტად ამ წამს ხდება ყველაფერი: სენბერნარის ნაგრამს ბენეს უხილავს ბერი. ყველაფერი ხდება აი, ზუსტად ამ წამს: ინგებორგი სარკეს უხამხამებს წამწამს. ამ წამს, აი, ზუსტად, ყველაფერი ხდება: მოტელეპილი კეფა ეფხანება სტეფანს. ხდება ყველაფერი ამ წამს ზუსტად, აი: ტკბილი ფლავის ლუკმას ყლაპავს მუსტაფაი. აი, ამ წამს ხდება ყველაფერი ზუსტად: თეთრი ციდან ჩიტი ჩამოჰყურებს რუსთავს...

ხანძარით წამი წამომინთე, გულო. წამომინთე გული, წამო, დიდებული. მაგრამ წამზე დიდხანს რას გაატან, წამო? წინა წამიც წივის: არ შეჩერდე! წამო!.. გაიბრწყინა წამით შენმა წვამ და ალვამ — გაგიტაცა დროის ელმა... წამმავალმა...

მაგრამ... ახალ ხანძარს რად მიკიდებს გული? — უცებ ისევ დადგა წამი დიდებული!

ბაკალავრი

როცა სიზმარში ძალიან გაჭირდება, უკვე ისწავლე, რომ მიხვდე, სიზმარია. ამისთვის აღარ უნდა გაიღვიძო, და არც ცოტათი გაიღვიძო.

როცა ცხადში ძალიან გაჭირდება, ჯერ ვერ ისწავლე, რომ მიხვდე, სიზმარია. ამისთვის ისევ უნდა გაიღვიძო, ცოტათი მაინც გაიღვიძო.

სატრფოს სამღურაპი

რატომ გადმომიგდე ვარდი, რას ელოდი, რას მერწოდი? რა ხელმწიფის ვაზირს ვგავდი ანდა — რა ელჩს საელჩოთი?

არ გამიწყდა ვიდრე ქანცი ინილო- და ბინილოთი, სიყვარულზე ვბჭობდი კაცი, შენ კი (ღმერთო!) იცინოდი.

ზომი ღამის ღოცვა

ლოდივით ღამე ჩამოწოლილა. ჩამოგვიარე, ღმერთო, ყველას გვეყავი და გაგვწვდი.

ძილდაკარგულს ძილი უპოვე, ღმერთო, დაამშვიდე და მიადინე. ბოროტი გული შეხსენი, ბოროტება ამოსწმინდე და მოასვენე. კეთილი გულის სიზმარი ნახე, ბოროტება ამოსწმინდე და მოასვენე.

ღამეა. ღამე. მოურჩენელი ძილში წაიყვანე, ღმერთო, შენთან წაიყვანე, ან სადაც მიგყავს. მოხუცს დედა მოანატრე და ერწორწულე, რომ სიკვდილი ცუდი არ არის, რომ სიკვდილში დედასა ნახავს. ჭირისუფალს მიცვალებული დაასიზმრე, ეუბნებოდეს, მე კარგად ვარო, შენ არ იდარდო.

ღამეა. ღამე. გზაში მომკვდარი მოგზაური ცოცხალ მოგზაურს აპოვნინე, ღმერთო, ნადირს არ დაუტოვო. ღამის ყაჩალი თავის ბილიკზე უპატრონო განძს გადაჰყარე. ვინც ბოლმითა სვამს, ისე დაათვრე, იარაღი ველარ ასწიოს.

ღამეა. ღამე. მიწას მტკივან მუცელზე ხელი გადაუსვი, ღამეა, ღმერთო, ახლა არ ეძრას. ჭექა-ქუხილს ხმა ჩაუწიე, ალალ-მართალი ბავშვები არ წამოაფეთოს. უჭეროდ მიძინებულისგან ღრუბელი წაიღე, ჭერს თუ არ მიუტან, უჭეროდ მიძინებულს არ დაანვიმო...



ზაზა ბიბილაშვილი

ღამეა — სიტყვას რომ გაგიგრძელებს. ძალას რომ გათმევს იმედისას და მკრეხელობისას. მართლა ლოდივით ჩამოწოლილა, თორემ განა შეგანუხებდი.

ასეთი ღამით უშენობა ძნელია, ღმერთო.

ღმერთო, ამაღამ იყავი.

ტალღებზე

აბოლდა სიცოცხლე — ოლიმპოს ტოლია ცისფერი ტალღები, ცის ფონზე ახრილი. არყოფნის ლანდივით ფრიალა თოლია დაგვიკის ეშმაკის ყელით თუ საყვირით.

ოცნებამ არჩია ოცნებად დარჩენა. გიჟმა და თავნება ვნებებმა გიშარეს. ეშვები ფსკერისკენ თევზების სარჩენად. ჩახვალ და დაითვლი ჩონჩხებს და ნიჟარებს.

თუ შურდა, მომკვივანს ეშმაკის ოქტავით, ისე რომ აინთე ქარებთან ჭიდილით — ჯილაგით — ადამის, სასჯელით — მოკვდავი აფრინდი ჩიტებზე ფრთამალი ჩიტივით —

ჟამია — იხაროს, იჩხავლოს, იყაროს ჯავრი და თავისი ეგონოს ცა მთელი. რას ქნას, თუ მზერაც ვერ გინია იკაროსს — იქ, სადაც დაგიდნა მუხთალი სანთელი.

\* \* \*

მუდამ რაღაცას წვალობს და მუდამ რაღაცას აკეთებს ჭიანჭველების გვარობის ცოტა მოზრდილი მაკეტი. მუდამ რაღაცას წვალობს და მუდამ რაღაცას აკეთებს, ხანდახან — ღმერთის წყალობით, ხან კი — ეშმაკის საკეტი. მუდამ რაღაცას წვალობს და მუდამ რაღაცას აკეთებს: არ დაუწყია ჯვალოდან — არ დაამთავრებს რაკეტით. მუდამ რაღაცას წვალობს და მუდამ რაღაცას აკეთებს...

— საკმარისია! მადლობა! ინებეთ თქვენი პაკეტი!

Banal Game

არ გახსოვს: ღინი არ გქონია თუ გაგიტავდა; როდის შეხვედი ან მერე რამ დაგარჩინა... თამაშობ კია — დილით, შუადღით, ღამითა და, მგონი, რომ გძინავს (კინაღამ ანდა), მაშინაც.

მართალი გვითხრა, დღემდე ვერაფრით გაინაფე, ბედოვლათი ხარ, რომ გვითხრა უფრო მართალი. ეცადე, მაგრამ, როცა ძალიან დაიძაბე, ყველაზე მწარედ მაშინ მოილე ზღართან.

პრინცესას გზა-კვალს იმდენი სდიე-უტრიალე, მოესწრებოდა მდინარის ალმა წამართვა — ყველა საბნის ქვეშ დაგხვდა ვილაცა კუდიანი — ძალა წაგართვა ან მთლად სიცოცხლე წაგართვა.

ღამის დაეჭვდე — ეგ უბედური ბოლო გიყვარს — მისწრება — ბედის მუხანათობის სამხელად; როგორც იმაში — კეთილი ხარ თუ ბოროტი ხარ — არსება შენი გრძელი არის თუ რამხელა...

მთავარი წესი ვინც ვერ ისწავლა, ღირსი კია — ვისაც უყვლა მზაკვრულად, იმან უყვლა — ბოლშევიკური პრინციპის მსგავსი პრინციპია: ვინც შენ არა ხარ, შენი მტერია სუყველა.

და მუყაითობს შენადარმყოფთა მხედრონი — ხან ტყვია დაგკრა, ხან გოგრათავი მოგჩეხა. ეგ არის, ატყობ, სიცოცხლე დაგრჩა ერთი-ორი, მოგკლავენ ანუ მაქსიმუმ ერთი-ორჯერლა.

ჯან-ზე იწყებენ რასაც, წასულხარ იმ დაბაში, სხვებს მაინც თუკი რამე უყრიათ ამაში: ან რა მოიგო იმან, მოიგო ვინც თამაში? ან რა წააგო, ვისაც მოუგეს თამაში?

საუნდტრეკია — არაფრის მაცნე ჭიანჭური. არას გპირდება ანოტაცია-პითია. რამე რომ ჰკითხო და გიპასუხოს ჭკვიანური — ნახე, ეგეთი სკაიპშიც არვინ გინთია.

ჭორად თუ დადის: მანდ რომ წესია და რიგია, (გაოცდები და) იმ წესითა და იმ რიგით, თუკი მოიგე — ბოლოს გაიგებ, წაგიგია, მაშასადამე, თუკი წააგე — პირიქით;

და ვინც წაგებით მოიგებს გეიმუშველებელს, სამი, ოთხი თუ ხუთამდე განზომილების მაგარ ფენტეზი-ანიმაციას უჩვენებენ — ნალკობებით და სულ დადებითი გმირებით.

მეტი მოგიყვებს, მოგებულაც არ მოინდომებს — ძმაკაცი იყოს, მეზობელი თუ ბებია. ან სადღა ნახავ — ალბათ, უსხედან მონიტორებს და იმ საპრიზო ანიმაციით ტკებებიან...

გაბეზრებულმა ზოგჯერ მოძებნე „ქუაითი“, თქვი: ამის დედაც. ჯანდაბას. არის, რაც არის. საძვრებელადაც მარჯვედ ასწიე შუა თითი, მაგრამ გაგინყდა გამბედაობის ბანარი.

(ახლა რომ ვითომ გვეახალპასაჟ-გვებანრები და გვახვევ (ყელზე) მაგ ვადაგასულ არშიას, გამოლემვის და თოკის ვაჭართან შევაჭრების ძველი ამბავი აქ აბა რა შუაშია?)

ასე სცოდნია შეჩვევა, შერთვა, შეღვიძლება — თითქოს ფანდია გრძელკუდიანი მაცილის. თან მთელი ქსელის სინამდვილისაც, შეიძლება, ისევე გწამდეს, როგორც იმ ანიმაციის...

მაშ, ახალ ეკლებს შემოხევი ხვალ დილიდან ხვალდანი კბილი სხვა გველებს უნდა უსინჯო... იქნებ გაიგო — უფრო შენა ხარ უნდელი თუ, ეგ თამაშია (ავტორს გულისხმობ) უნიჭო.

მერე რა, თუკი უკვე გულივით გეზარება — მაგ ჯადოსნური ეკრანიდან თუ სარკიდან გამოვარდნა ხომ დარჩენასავით გეზარება და დარჩენაზე ცოტათი მეტად არ გინდა. —

უნდა დაიწყო მერე პირველი ლეველიდან, ისე შეება პირველ ქალსა და არაკაცს... მაგრამ კი იცი, არა გაქვს მაგის ნერვები და ის უფრო იცი, მაგის თავი რომ არა გაქვს.

\* \* \*

წამი გავიდა. კიდევ გავიდა. ისევე და

ისევე გავიდა: ერთი, ორი და სამი.

დასვი წერტილი, თორემ ხომ ხედავ, ისედაც,

რაში გავიდა უკვე რამდენი წამი.



ლელა ცუცქერიძე

ნიწკანა

ნუკრის

ბასუშ ზამთარს, რაღაც პრობლემების გამო, ჩვენმა ოჯახმა ოთხთახიანი ბინა ცხელ წყალში გარეცხილი შალის სვიტერივით დააპატარავა და ახალ უბანში გადავიდა საცხოვრებლად.

სწორედ მაშინ გავიცანი ნიწკანა, ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. ჩვეულებრივი, რვასართულიანი სახლის მერვე სართულზე, ჩვენ — ორთახიანში, ნიწკანა — ერთთახიანში.

ნესით, ნიწკანას ბუდეში უნდა ეცხოვრა. ჩიტები ხომ, საერთოდ, ბუდეში ცხოვრობენ, მაგრამ ნიწკანა ჩიტი კი არა, ერთი თვითნასწავლი, მარტოხელა მხატვარი იყო და, აბა, გინახავთ სადმე, თვითნასწავლი, მარტოხელა მხატვარი ჩიტები?

კარგად კი ხატავდა! მთელი სახლი ნახატებით ჰქონდა სავსე. ნახატები ყველგან იყო: კედლებზე, სანოლზე, სკამებზე, მაგიდაზე, ძველ, ჭიებისგან გამოხრულ კომოდზე და ჭერზეც კი...

ბავშვობაში მეც ვხატავდი, ტანკებზე და თვითმფრინავებზე უფრო სერიოზულ რაღაცეებსაც კი, თანაც, იმდენად კარგად, რომ რამდენიმე გამოფენიდან სიგელებიც მოვიტანე სახლში.

მახსოვს, დედაჩემი როგორ ამაცოცხლებდა ამით. ყველა შემოსულს უყვებოდა ტყუილს და მართალს ჩემს ნიჭსა და ტალანტზე და საქალაქდემი სათუთად ჩანს ბილი სიგელებს უშლიდა მაგიდაზე სიტყვებით: დედა ენაცვალოს, სულ მამაჩემს ჰგავს, ის იყო ასეთი ნიჭიერი და ა.შ. იყო მერე ჩვენს მასწავლებელს, როგორც მაგიდასთან დიდი სჯაბაას-გადაძახილ-გადმოძახილი ჩემს მომავალზე, რომელშიც მონაწილეობდნენ: დედა, მამა და ჭკუამოკეთებელი ნათესავები.

უკვე იმ ასაკში, საუღვარეულო ღონილი რომ ამიბიბინდა და მე ნამდვილი წვერი მეგონა, ოჯახი ისევ შემოუსხდა მრგვალ მაგიდას და დასკვნა, რომ პერსპექტივაში, როგორც მხატვარს, დიდებასთან ერთად შემოიღობა, ან უკეთეს შემთხვევაში, გალოთება და და ამის ნიადაგზე ნაადრევად სიკვდილი მელოდა და რადგან ამისთვის ვერ გამიმეტეს, ეკონომიკურ ფაქტორებს შემწირეს თოქმბული ცხვირით. მე კი, დიდი წინააღმდეგობის უნარით, სწორედამც რომ ცხვირით არ გამოვიჩინოდი და მერჩინა, მამა ყოჩს და დედოღო ცხვირს გაყოლოდი უკან, ვიდრე ჩემით გადაეჩინებოდა სადმე.

„დიდი ამბავი, ხატვას ისედაც მოვახერხებ, სამაგიეროდ, კარგი სამსახური და სტაბილური შემოსავალი მექნება. მერე მოვიყვან ცოლს, მეყოლება შვილები, შვილიშვილები... ხატვით კი, როცა მინდა, მაშინ დავხატავ“-ფიქრობდი მშვიდად.

ამასობაში, კურსიდან კურსზე გადავიდი და მე და მხატვრობა დროსა და სივრცეში თანდათან ვმორიდებოდი ერთმანეთს. ბოლოს კი, სულაც, ჩემი სათუთად და მომავალი ცოლის თვალების დასავსებად შენახული სიგელებით დედაჩემი ჩემი დის პატარა შვილებს ართობდა ჭამის დროს.

მე მშვიდად დავამთავრე უნივერსიტეტი, მშვიდად დავიწყე მუშაობა და საერთოდაც, გავაგრძელე მშვიდი ცხოვრება, ყოველგვარი ზედმეტი განვითარების გარეშე. ვიყავი რა, სტანდარტული ტიპი. გაჩხერით არ ვინჩირავდი, სმით იშვიათად ვსვამდი. ერთი-ორჯერ დავბოლდი და მაინცდამაინც ეგეც ვერ დავამულამე. სიგარეტს, კი ბატონო, ვენიოდი. ქალებშიც, რა თქმა უნდა, დავდიოდი: არც ისეთი თავისუფალი აზროვნება მქონდა, კაცებისკენ გამქცევოდა მზერა. მოკლედ, მამაჩემი იტყობდა ჩემზე: „არის რა, არც მწვადს ნვავს და არც შამფურსო“, რომ ვენახე, მაგრამ რაღას მნახავდა, უკვე წლებია, ზღვას გადაჰყურებდა სასაფლაოდან.

მოკლედ, ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, ცოტა ოცნებით, ცოტა ხელფასით, ცოტა ფანტაზიით და ბევრი პრობლემით. ჰოდა, ამ ჩემს სტანდარტულ, ჩვეულებრივ ყოფაში, შემოვიდა ადამიანი, რომელმაც ისე გამაფრადა, როგორც შავ-თეთრნახატებიანი ნიგნი თუ რვეული, ზედ რომ აწერია: „აბა, გააფრადე“.

პირველად რომ შევედი ნიწკანასთან, აღარ მახსოვს, ჩაქურზე თუ ბრტყელ-ტურჩაზე, ან ამას რა მნიშვნელობა აქვს, რაღაც უცნაურმა ნათება ამაფორიაქა. დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია



ამისთვის, უბრალოდ, ნიწკანას გავეცანი, ხელი ჩამოვართვი, ჩაქური თუ ბრტყელ-ტურჩა გამოვართვი და გამოვედი. მერე, სალამოს, როცა ისევ შევედი ნალეზის დასაბრუნებლად და იგივე დამემართა, მივხვდი, რომ ეს უცნაური, შორეულსევე-დაინი ნათება ნიწკანას ნახატებიდან მოდიოდა.

ყველა ნახატზე ხეები იყო: ზამთრის, შემოდგომის, გაზაფხულის, ზაფხულის... და ჩიტები კიდევ, ეგზოტიკური კი არა, თუთიყუშებით, ან ახალზელანდიური ჩიტებით გადაპრანჭულ-აფოფრები, ჩვეულებრივი, ჩვეულებრივი პატარა ჩიტები იყო და ამ ჩიტებს უცნაური ფერები ჰქონდათ...

აი, ერთი ხე იდგა, რაღაცნაირი მშვიდმწვანე და ამ ხეზე შაში იჯდა, ოღონდ, შავი კი არა, ისეთი წითელი, რომ ფერით ჭახჭახებდა და მე კიდევ, მესმოდა ეს ჭახჭახი!

ერთ ხეზე ყვითელი ნიწკანა იბუზებოდა. ყვითელი რა, განა ვან-გოგის ყვითელი იყო, სულ რომ აგჭრის და გადაგრეც და იმ ყვითელში განოლა კი არა, გამოტვა და მერე სირბილი მოგინდებდა და თვალზე ხელს იფარებ უცებ და თითებს შორის იყურებ: აუ, ბიჭო, ეს ცხადია თუ ყვითელი სიზმარი არლის ნაპირებზე... არა, მშვიდი ყვითელი იყო, თავადაც პატარა ნიწკანასავით მოზუზული და მაინც ანათებდა სიმწვანეში.

ერთ ხეზე კიდევ, მოლალური იჯდა, თხელ სასმისს ჰგავდა და თითქოს გამჭვირვალე ბრონეულისფერი ეხსა ამ სასმისში. ანათებდა ეს ბრონეულისფერი თვალისმიმჭრელად, ზედ მზის სხივების ათინათებიც დაჰკრავდა და ისეთი გრძობა მქონდა, აი, ახლა აი, ახლა გადმოიხრება მოლალური და ეს ბრონეულისფერი ჭიკჭიკი, ღვინოსავით, მარტო ხეზე კი არა, აქ, ამ ოთახშიც გადმოქცევა-მეტე.

ხელი ჩინარის ტოტებზე შედგმული, ხუხულასავით ბუდიდან ყვავის ბახალა იხედებოდა — ნამდვილი სათამაშო რეზინის ბურთი! რაღაცნაირად სასაცილოდ გაოცებულს დიდი, შავი თვალელები დაეჭყიცა და ლურჯ ტანზე თეთრი კოპლები ეყარა.

ახლა ხეები?! ზაფხულის ხეები მწვანესარაფნიან გოგოებს ჰგავდა, გაცნობა რომ მოგინდებოდა, ისეთებს. ზაფხულის ტყემლის ხეზე კი, რომელიც ძალიან ჰგავდა მეზობელი ბიჭის ღობესთან შეჩერებულ, სკოლაში მიმავალ ახლადაკრებულ გოგოს — თეთრი წინსაფრით და თმაზეც თეთრი ბავთებით, პატარა, ნაცრისფერი ბელურა იჯდა და იმასაც უცნაური ნათება შესდგომოდა ბუმბულეებში, ოღონდ ვარდისფერი ნათება. აი, ისეთი, ჩემი ჩვილი დის შვილის ოთახში რომ იღვრებოდა აბაჟურიდან.

ზამთრის ხეები ჩვენი პაპებით იყვნენ. ქართლელი პაპა მყავდა — სანდრო, ისეთი თეთრი იყო, სოფელში ბატიას ეძახდნენ. წელში მოხრის, მუდამ განკინებულში, რკინიგზის შავი ფორმა ეცვა და ზედ ვერცხლისფერი ღილები უპრიალებდა. აი, ეგეთი ზამთრის ხეები იყო, რაღაცნაირად პაპაჩემით მოხრილები, თითქოს სიბერის გამო სევდიანები და ყინულისგან დაჭირხლონი, აქა-იქ შერჩენილი ფოთლები ხომ ზუსტად იმ ვერცხლისფერი ღილებით უბრჭყვი-ალ-უპრიალებდათ და ყველაზე მაგარი ის იყო, რომ ამ ზამთრის ხეებზე უკვე წითელი შაშვები ან ყვითელი ნიწკანები კი არა, პატარა, შაბიამისფერი ბოლოქანქარები ისხდნენ. თითქოს, პაპაჩემი სანდრო, ვენახში მუშაობისგან დაღლილიყო, მერე ხის სამფეხა სკამზე ჩამოხდარიყო და ზურგზე მოკიდებული აპარატიდან შაბიამანი

გადმოქცევოდა რკინიგზის პიწკინა ფორმაზე!

შემოდგომის ხეები ხომ ბებიებს ჰგავდნენ! სულაც, ჩემს ნინა ბებოს, გამოხუნებულ, ნაცრისფერ წინსაფარში სასუსნავს რომ გვიმალავდასავით შვილიშვილებს და ეს სასუსნავი — „პავიდლოიანი“ კანფეტები, ლოყებატკრეცილი შაფრანები, ტკბილი კვერები, ჭორფლიანი მსხლები, კვახის მარცვლის თხელი, თაფლისფერი ჩურჩხელები წინსაფარის ჯიბეებიდან გვიწვევდა, გვეპატიჟებოდა პირის ჩასაკოკლოზინებლად...

და ამ შემოდგომის ერთ ხეზე იჯდა პატარა ბუქნაჭო, როგორც ალუმიანის „კრუმკა“, რომელსაც ხშირი წვიმებისგან თავზე ორთქლი ასდიოდა და შემცივნული დედას ეძახდა. დედაც იქვე იყო — სულაც, სპილენძის, აქა-იქ შემურულ-შეჭეჭყილი, ცხვირმოტეხილი ჩაიდან, აი, ისეთი, სოფელში რომ გვექონდა და ეს ბუჩაიდან თავისი ელამი თვალბეჭით დაჰყურებდა ბუქნაჭოს, წვიმებისგან ორთქლადენილ ალუმიანის „კრუმკას“ და თითქოს მის გამორბას ლამობდა, ემანდ, არ გამიცვიფდესო...

მოკლედ, ამ ჩემს სტანდარტულ, ჩვეულებრივ ყოფაში, ნიწკანას გამოჩენა ჩემთვის, უკაცრიელ კუნძულთან ათასფერალმებმბული ხომალდის გამოჩენას ჰგავდა.

ნიწკანამ გამახსენა, რომ თურმე ის სამყარო, რომლის კარიც დიდი ხნის წინათ, ჩემივე ნებით გამოვიკეტე და ზედ ერთი კი არა, რატომ ათი ბოქლომი არ დავადე, ისევ ისეთი ლამაზი და შეუცნობელი იყო: თავისი ტუბებიდან გადმოსული ფერებით, პალიტრაზე ახლადდადებული საღებავის სუნით, დაგრუნტული ტილოებით მიმდიდრული სიცარიელით, აკვარელით — წვიმის გუბების ანარეკლი რომ დაჰკრავდა თუ ჩვეულებრივი შავი ფანქრით, რომელიც ჩემს ქვეცნობიერზე მარკერივით მკვეთრად მიწისწავდა იმ ადგილებს, დაკეტილ კარსმიღმა რომ მივატოვე.

ეს ყველაფერი მერე გავანალიზე, მერე დავფიქრდი, რომ ჩვენი რეალური, საშინლად რეალური სამყაროს გვერდით, არსებობს პარალელური, ირეალური სამყარო და სულ ცოტა გჭირდება, რომ მასში გადახვიდე. ზოგისთვის ეს წერაა, ზოგისთვის — მხატვრობა, ზოგისთვის — მუსიკა... ამ დროს ყველაფერს გაუცნობიერებლად აღიქვამ და შეიცვალდა, როგორც ჩვილი, ან სულაც, მუცლადმყოფი ბავშვი... და თუ მოინდომებ, შეძლებ, ხანდახან მაინც იყო იქ, სადაც ყველაფერს სხვა ფერი, სხვა ბგერა, სხვა მელოდია აქვს და მათთან მიახლოებისას საოცარ შევებას გრძნობ, თითქოს ეს სამყარო მენ აღმოაჩინე...

რაღა ბევრი გავაგრძელო და, ნიწკანასთან მოვიინიშე ჩემი ადგილი. ხანდახან საღამო ისე გავიწვია, ორ სიტყვას არ ვეტყუოდით ერთმანეთს. ის ხატავდა, მე ვუყურებდი. ვუყურებდი და ვხედავდი, როგორ ჩნდებოდა დაგრუნტულ ტილოზე ვარდისფერი ფლამენგო კი არა, ფირუზისფერი ყანჩა, ბუდეში მოფუსფუსე პატარა, ფირუზისფრად გაბუმბულ შვილებს რომ დასტრიალებდა თავს... ან მაცვლის ბარდებიდან როგორ ძვრებოდა თავადაც მაცვლის ნაყოფით კრიალა და შუქიანი ღობემძვარა... როგორ იწყებდა ხტუნვას ძველი, მიტოვებული სახლის საფეხურზე სევდიანი, მწვანე სკინჩა, თითქოს იხუნებოდა: საცაა, ხასხასა ბალახის ბლუჯად ავბიბინდები და არიქა, ამაფრინეთ აქედან, ცოდოა ეს სახლი, ცოდოო.

ჩვენი ძირითადი მდუმარე საღამოებიდან ნიწკანაზე ის გავიგე, რომ ნიწკანა კი არა, ვაჟა ერქვა და კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან იყო. საღამოც, რუსეთში შვილიც ჰყავდა, მშენებლობაზე მუშაობდა — ხან მლესავად, ხან მლესავად და თუ რამეს იღებდა, სულ საღებავებსა და ფუნჯებში ხარჯავდა, იმიტომ, რომ ხატვის გარეშე არ შეეძლო. ხატვით კი, თურმე, ბავშვობიდან ხატავდა, მაშინაც, ძირითადად, ჩიტებსა და ხეებს და ნიწკანაც ამიტომ შეარქვეს. რაღაც სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდა ჩიტების მიმართ, ბევრის სახელიც მისგან გავიგე.

ხანდახან დასალევს შევიტანდი. ვისხედით, ცოტას ვლაპარაკობდით და ცოტას ვსვამდით. ძველი ჭაღის მინის ნკირებს გარედან შემოხეტებული ნიავი არხევდა და ამ ნკირების სევდიანი, შორეული ნკარუნი ნიწკანას ჩიტების ჟივჯივს ერთვოდა.

ამასობაში ზაფხულიც მოვიდა, შევბულება ავიღე და მეგობართან ერთად ბათუმში წავედი. კარგად გავერთეთ და

სანამ ბოლო თეთრისგან და ბოლო ჰორმონისგან არ დავიცალეთ, თბილისში დაბრუნება აზრადაც არ მოგვსვლია.

ჰოდა, ჩამოვედი კმაყოფილი, როგორც საერთოდ, ზღვიდან ჩამოდიან ახალგაზრდა, ჯან-ლონით სავსე ბიჭები, ვაიმერასიცოცხლევა გოგოების მობილურის ნომრებით და პაემნების პერსპექტივებით და... ნიწკანა მოკვდაო, სადილის შემდეგ შემომაპარა დედაჩემმა. თან დააყოლა, არ გითხარი, შევილო, არ მინდოდა, შენთვის დასვენება ჩამეშხამებინა, დედა მოგიკვდეს, ისედაც გადაიღალე, ადამიანს აღარ გავხარო და ა.შ. როგორც იციან-ხოლმე, საერთოდ, დედაჩემმა, მერე ცრემლნარევი ხმით განაგვრძო:

— ხარაჩოებიდან ჩამოვარდა ჩვენი ნიწკანა, საწყალს სული არ დაჰყოლია მიწაზე. აქ არც მოუსვენებიათ, ისე ნაასვენეს სოფელში და თავის მშობლების გვერდით დაკრძალეს ნათესავებმა. ბინის გასაღები დროებით ჩვენთან დატოვეს. შევედვარ ყოველდღე, სანთელს ვანთებ და ფსალმუნს ვკითხულობ, იქნებ შეუშლუშუქდეს იქ მისასვლელი გზა ცხოვნებულს.

ძალიან განვიცადე ეს ამბავი. დედაჩემს გასაღები გამოვართვი და ნიწკანას ბინაში შევედი. ოთახს ნახატების სევდიანი შუქი და ნიწკანას სურათთან დანთებული კანდელი ანათებდა. სახლი კი უცნაური სიჩუმით იყო სავსე. ასეთი სიჩუმე იდგა ჩემთანაც, მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დედა და ჩემი და ყოველდღე ხმით ტიროდნენ.

რაღაცნაირია ეს სიჩუმე, თითქოს ყველა ბგერა, ყველანაირი ხმაური ადგილზეა, მაგრამ მაინც სიჩუმეა. თითქოს სახლის სიმი განყდა, ერთი გაიფრიალა და სამუდამოდ დადუმდა. ალბათ იმიტომ, რომ ხმა, რომელიც გიყვარდა და სამყაროს გივსებდა, აღარ არსებობს.

დედაჩემით, მეც ყოველდღე შევდიოდი ნიწკანას ბინაში. ვჯდებოდი სავარძელში, ვუყურებდი ჩემთვის ძვირფას, ახლა უკვე ტკივილით სავსე და უფრო მრავლისმთქმელ ნახატებს და ფიქრობდი, იქნებ სულაც არ გადმოვარდნილა ნიწკანა ხარაჩოდან, იქნებ გაფრენა უნდოდა თავისი ჩიტებით, ვინ იცის...

ნიწკანას გარდაცვალებიდან სულ მალე, კი, შუალამისას, უცნაურმა ფრთხილმა და ჟივილ-ხივილმა წამომავლო საწოლიდან. რა ვიცი, რატომ, მაგრამ მაშინვე ნიწკანას ბინაში შევეარდი და ნახატებს შევხედე... საღამო იყვნენ ნიწკანას ფერად-ფერად ჩიტები?!

გიჟივით ავვარდი სახურავზე და მალე ავიხედე. ღამის ცაზე სხვადასხვაფრად მოჩახჩახე ჩიტები მიფრინავდნენ და შეუკრავ სამკუთხედად იშლებოდნენ.

უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ თბილი ქვეყნებისკენ კი არა, ნიწკანას სოფლისკენ გაფრინდნენ პატარა ჩიტები. ჯერ მისი საფლავის ჟანგიან მესერზე შემოსხდნენ. ცოტა ხნით იქ ინივნივეს, მერე მოედგნენ, მოეფინნენ ალაზნის გაშლილ ჭალებს.

ვხედავდი, ცხადად ვხედავდი, ზოგი ფშატებზე რომ შემოჯდა, ზოგი — ალვის ხეებზე... მოზუზულები კი იყვნენ, მაგრამ მაინც სულ ჩახჩახებდნენ თავისი უცნაური ფერებით და გარშემო კი, ყველაფერი: ხეებიც, ფოთლებიც, კენჭებიც, ქვებს შორის ჩამდგარი მდინარის წყალიც და თავად ეს მოზუზული, პატარა, ჩვეულებრივი ჩიტებიც ისე სევდიანად, გულშიჩამწვლომად ნკარუნობდნენ, თითქოს ნიწკანას ძველებური, ჭაღის მინის ნკირები ეხლებოდნენ ერთმანეთს.





დასაწყისი N 55-57

ლაშა იმედაშვილი

# ქართული მანონი



ეს კიდევ არაფერი, ბოროტი ენები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ჩხრეკისას აღმოჩენილი ყოფილა რამდენიმე სტროფი, რომელშიც ავტორი პირდაპირ დიდი სტალინის მშობელს მიმართავდა, თანაც მეტად უცნაური კითხვით: შენმა შვილმა მუცელში კოლხოზები არ დაგვიარსაო? აი, ასეთი კაცი გაუჩინარდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი გაუჩინარება მაძებარ ხუბუტიას დაბრალდა. ამ ამბავმა ხუტა გაამწარა, არა, პირობა კი დასდო, რომ მიმალულ პოეტს მალევე მონახავდა, შეიპყრობდა და საკადრისადაც დასჯიდა, მაგრამ იმასაც გრძობდა, რომ კოლეგები თუ უფროსები უკვე ეჭვის თვალით შესცქეროდნენ. სწორედ ამაზე საუბრობდნენ ხუტა და მისი მეგობარი, ასევე ჩეკისტი, იონა ბრინჩინივი ერთი ბოთლი არყის თანხლებით, როგორც ეკადრება კიდევ რუსეთში ნამუშევარ თუ ნაცხოვრებ საზოგადოებას.

– ჩვენ ვანადგურებთ ზედმეტ კლასებს, ასევე ადამიანებს, ამიტომაც არ უნდა ვეძებთ ის მასალები, რომ ისინი, სიტყვით ან საქმით, მოქმედებდნენ საბჭოების წინააღმდეგ.

– ნამდვილად ასეა. – თავი დააქნია შემთვრალმა იონამ.

– დაასხი! – ბრძანა ხუტამ.

– დავასხამ, მაგრამ შენია რას იტყვის?! – თქვა იონამ და იმ ოთახისკენ გაიხედა, საიდანაც შენის ხმარი და გაბრაზებული სუნთქვა უკვე გარკვევით ისმოდა.

– დაასხი! – გაიმეორა ხუტამ, წამოდგა და შენის ოთახის კარი ისე მაგრად მოხურა, რომ მეუღლის სუნთქვა თითქმის შეუმჩნეველი შეიქნა. – პირველი შეკითხვა უნდა იყოს, თუ რომელ კლასს ეკუთვნის ბრალდებული.

– მეორე? – დაინტერესდა იონა.

– წარმოშობა, შემდეგ აღზრდა, განათლება...

– პროფესია? – შეახსენა მეგობარმა.

– არც ეგ არის ჩამოსაწერი... ამ შეკითხვებმა უნდა განსაზღვროს ბრალდებულის ბედი, ამაშია ნითელი ტერორის აზრი და არსი.

– გაუმარჯოს წითელ ტერორს! – აღვრთავანდა იონა და ჭიქას დასწვდა.

– ყველა უნდა დაიხვეწი, დანდობა არ იქნება! – აიტაცა ხუტამ და არყით სავესსასმისს ტუჩი შეაგება.

სწორედ იმ დროს, როდესაც ორივენი წითელი ტერორის დღეგრძელობისა მიერთმევენდნენ, გაგულისებულნი შენია, რომლის გაგულისების მიზეზი უფრო სხვა რამ იყო, ვიდრე აღნიშნული საუბარი, საკუთარი ოთახიდან მამაკაცების, მეტად კი საკუთარი მეუღლის დატუქსვას ცდილობდა.

– შე ჯალათო, შე სისხლისმსმელო! – მთელი ხმით დაიყვირა შენიამ.

– ხედავ, როგორ ვუყვარვარ იონა ჩემს ერთას. – გაიცინა ხუტამ და დასაკრავად სახს დასწვდა, რომელსაც ასეთ დროს დარდის გასაქარვებლად იყენებდა ხოლმე.

ოჯახის ასეთმა სიამტკბილობამ იონა გაათამამა და კიდევ ერთხელ შეავსო ჭიქები, ახლა უკვე ბონჩ-ბრუევიჩის დღეგრძელობისთვის, რომელსაც, ლენინთან ერთად, უდიდესი წვლილი მიუძღოდა წითელი ტერორის დამკვიდრება-გაძლიერებაში, აკი ამბობდა კიდევ ბონჩი, რა თქმა უნდა, ბრუევიჩთან ერთად: ჩვენაო, აუცილებელია დავიცვათ საბჭოთა რესპუბლიკა კლასობრივი მტრებისგანო, მათი საკონცენტრაციო ბანაკებში იზოლირების გზითო.

მამ, გაუმარჯოს ბონჩ-ბრუევიჩს, რომელმაც, სხვა მეგობარ-ამხანაგებთან ერთად, დიდი ამაგი დასდო ქართველებს.

გაუმარჯოს, გაუმარჯოს – ერთხმად დასძახა რამდენიმე სტუმარმა და მეოთხე თუ მეხუთე ჭიქა მზიარულად გამოსცალა. იმას ნურავინ იფიქრებს, თითქოს სახელდახელო სუფრასთან შეკრებილი ქართველები მართლაც ბონჩ-ბრუევიჩის სადღეგრძელოს მიერთმევენდნენ, ამჯერად მათ ზემის სულ სხვა მიზეზი ჰქონდათ. ლეჟავების ოჯახის თავკაცი, საკუთარ მეგობრებთან ერთად, მესამე შვილის შექმნას, როგორც ქართველებს სწვევიათ, ისე აღნიშნავდა. მართალია, ანდრო მიხეილ

ლეჟავას მეგობრად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ, ნორას მისამართებს მიდევნებულის, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა სუფრაზე, სადაც რამდენიმე ჭიქის დაღვევა უკვე მოესწრო.

– ერთი სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ. – თქვა ანდრომ.

– ბრძანე, ჩემო ანდრო. – უპასუხა მასპინძელმა და ფეხზე წამოდგა.

– ამ ჭიქით მინდა ყველა იმ ქართველი დედის სადღეგრძელო შევსვა, ვინც საქართველოს ახალი მომავალი აჩუქა. – რიხით წარმოთქვა ანდრომ და ჭიქა ბოლომდე გამოსცალა.

– დიდებულია!  
– გაუმარჯოს!  
– ამინ!

მამაკაცებმა ერთხმად დასძახეს და ამ შეძახილს მალევე შეემატა ჭიქების წკარუნის ხმა.

– უნდა წავიდე, ძებო, თქვენ გააგრძელეთ, ღმერთმა სულ კარგ საქმეზე შეგვახვედროს ერთმანეთს. – დაილოცა ანდრო და წასასვლელად მოემზადა.

– მოიცა! – შეანყვეტინა მასპინძელმა. – ორი წუთი უნდა მოგვითმინო, ასე ვერ გაგიშვებთ... მე მინდა ანდროს სადღეგრძელო დავლიო, ნაღდი თბილისელის, ნაღდი კაცის, რომელიც გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს უანგაროდ უწვდის ხელს, გაუმარჯოს, ჩემო ანდრო, სულ კარგ გზაზე გატაროს ღმერთმა!

– დიდებულია!  
– გაუმარჯოს!  
– ამინ!

ისევ ახმაურდა სუფრა და ლამის კარში მდგარ ანდროს გზა დაულოცა. უკვე დერეფანში მდგარი ანდრო მელოგინისთვის წასაღებად გამზადებულ მანვნის ქილას დაწვდა და ტანზე მიიხუტა.

– ერთი სათხოვარი მაქვს, ჩემო მიშა, თქვენ გააგრძელეთ და ამ მანონს მე წავუღებ ლიას – საავადმყოფოში, მაინც იქით მივდივარ.

– არავითარ შემთხვევაში!  
– ძმობას გაფიცებ!  
– ტყუილად მელაპარაკები!  
– გულით გუუბნები!  
– ეჭვი არ მეპარება!

ატყდა ერთი ძიძგილაობა და განეგამონევა ქართული მანვნის გამო, რომლითაც ისევ ანდრომ ისარგებლა და ქილას ოსტატურად ააცალა თავზე შემოვლებული ქალადი, რომლის გაუჩინარება □□ შემთვრალმა მიხეილმა ვეღარ შენიშნა.

გარეთ გამოსულ ანდროს ოდნავ ერეოდა ფეხი, მაგრამ წონასწორობას უნარჩუნებდა ჯიბეში ჩაკუჭული ქალადი, რომლის მოპოვება-მოგროვება მისი ცხოვრების ლამის მთავარ მიზნად იქცა.

### საიდუმლო ბარათი.

„საპარამიპლი“ იმდენი ინტელიგენცია, რომ მათ შეუძლიათ მოემსახურონ არამარტო საქართველოს, არამედ მთელ ამიერკავკასიას და კიდევ ჩრდილოეთ კავკასიასაც. ვიდრე ჩვენს წინაშე საბჭოთა საქართველოში დგას ეს მრისხანე ციფრი – 120-130 ათასი თავადაზნაურობა, კადრის ოფიცრობა, ვაჭრები და სხვები, დარწმუნებული ვერ იქნებით იმაში, რომ ეს სანეკვი მასალა არ ააღდება ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას – საერთაშორისო ან შიდა გართულების დროს. ამი-

ტომ საქართველოს საგანგებო კომისია ადგენს, რომ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირები, როგორც პროლეტარიატის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობნი და როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების შეურიგებელი მტრები, დასჯილი იქნან უმაღლესი სასჯელით – დახვრეტი.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მიხა კახიანი.“

სწორედ იმ დროს, როდესაც ეს საიდუმლო ბარათი ინერებოდა, შემდეგ კი იგზავნებოდა, ხევესურეთში, კახეთის აჯანყებულთა რაზმის მეთაური, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მალულად ხვდებოდა გიმნაზიის მეგობარს, ლევან რაზიკაშვილს, ქართველი მწერლის, ვაჟა-ფშაველას შვილს, რომელიც იმავდროულად გახლდათ მალაროსკარის მილიციის უფროსი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოტრფილე. რაზე ისაუბრა ძნელბედობის ჟამს ამ ორმა ადამიანმა, ძნელი სათქმელია, თუმცა ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება: რაზიკაშვილს, საკუთარი მდგომარეობის გამო, პირდაპირ ევალებოდა ჩოლოყაშვილის დაკავება, თუმცა მიზეზთა და მიზეზთა გამო, ეს არ მომხდარა. რა დამალვას და ეს ამბავიც მალევე გახმაურდა. მილიციის უფროსი ჩეკაში დაიბარეს და სავარაუდოდ ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. ამ ახსნა-განმარტების შემდეგ რაზიკაშვილი თვალში აღარავის მოხვედრია. კოტე მაცაშვილმა ერთი მაინც გაიბრძოლა და ჩეკაში წერილი აფრინა.

„ქართველი მწერლები მოგმართავთ თხოვნით.

გაითვალისწინოთ, რომ ვაჟა-ფშაველას ხუთსულიანი და თავად რაზიკაშვილის სამსულიანი (სულ ერთად რვა სული) ოჯახი ლევან რაზიკაშვილის სარჩენია. იმედა, პატივს სცემთ საქართველოს საამაყო პოეტის, ვაჟა-ფშაველას ხსოვნას, დააჩქარებთ ლევან რაზიკაშვილის საქმის გამოძიებას და მას, როგორც უდანაშაულოს, საპატიმროდან გაათავისუფლებთ.“

ბასსაპირი უნდა იყოს, მაგრამ ამ ბარათის გამო ყოფილი მილიციის უფროსის დახვრეტა, დროებით მაინც, შეჩერებული ჰქონდათ და იქნებ გადარჩენილიყო კიდევ, მაგრამ ბარათი ხელში სერგო ორჯონიკიძეს ჩავარდნა და რაზიკაშვილის ბედი, როგორც სხვა მამაკაცების, სწორედ მას გადაუწყვეტია, უთქვამს კიდევ საკუთარი თანაპარტიელისთვის: შვილი კი არა, ვაჟა-ფშაველაც რომ ცოცხალი იყოს, არც იმას დავიწვდებით. ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა გახდეს, თუ რა ბედი ელოდათ ნაკლებად ცნობილ ადამიანებს, ანდა მათ შვილებს ბოლშევიკების ხელში

ეს ბარათიც ამ ყოველივეს დასტურით უნდა იყოს.

„საპატიმრო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს.

აჯანყების ჩახშობის პირველსავე დღეებში სულ დახვრეტილია და მოკლულია 980 კაცი, აქედან სულ მცირე 95 პროცენტი თავადაზნაურობაა. სერგო ორჯონიკიძე.“

ამჟამად ბოლშევიკი არ ცრუობდა. თელავში დასახვრეტი ხალხი თითო-თითოდ აპყავდათ ზედა ფარდულში და

ხვრეტდნენ. ამის გამო პატიმრებს თავზე სისხლი ჩამოსდიოდათ.

ზუგდიდში დახვრეტილებს მინა ზერელედ მიაყარეს და სხვების მოსაყვანად წავიდნენ. ერთი გამოცოცხლდა, საფლავიდან ამოფოფხდა და გლეხებს შეაფარა თავი. ხეირი მაინც ვერ ნახა, მალევე გაათეთრდა და კიდევ უფრო მალევე შეირყა ჭკუიდან.

წყაროს ქუჩაზე დახვრეტილ ხალხს პირდაპირ ხრამში ყრიდნენ. სხვები ლამით მაინც ბედავდნენ იქ მისვლას, იქნებ ვინმე გადარჩენილიყო კიდევ, მაგრამ მნახველები სისხლით გაჟღერებულ მინაში ეფლობოდნენ და ჰაერშიც ერთთავად სისხლის სუნი ტრიალებდა.

ოთხი დღის განმავლობაში სულ დაუხოციათ ოთხი ათასი კაცი, ამიტომაც იყო, რომ ყველა თავის გადარჩენას ცდილობდა, ზოგი ქვეყნიდან გარბოდა, ზოგი მთავრობას ბარდებოდა, ზოგი კიდევ დასაპატიმრებელთა სიას საკუთარი ხელით ადგენდა. ასე მოქცეულა მწერალი ილო მოსაშვილი, რომელსაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, ჩეკასთვის ოთხასი კაცი გადაუცია, რა თქმა უნდა, დასახვრეტად. ილო გადარჩენილა, მომდევნო წლებში შემოქმედებასაც ეწეოდა და თავის მართლებაც აღარ უწევდა. ანკი ვისთან უნდა ემართლებინა თავი? ბოლშევიკებთან თუ დახვრეტილებთან? ბოლშევიკები პასუხს არასოდეს მოსთხოვდნენ, დახვრეტილები კი, ძალიანაც რომ სდომოდათ, მაინც ვერ მიიღებდნენ პასუხს ყველა ზრდასრული ადამიანისთვის ცნობილი მიზეზების გამო.

აი, ანდროს კი მოუწევდა თავის მართლება, რა თქმა უნდა, ოჯახში დაგვიანების გამო.

დრო ყოველთვის ადამიანის წინააღმდეგ მუშაობს და, რა გასაკვირადაც არ უნდა ჩანდეს, ყოველთვის გამარჯვებული რჩება. ანდროც, მიუხედავად მრავალი უცნაურობისა, იგულისხმება მისი ბოლოდროინდელი გატაცება, ქართული მანვნის ქილების მოგროვება-შესწავლა, ჯერჯერობით მაინც ადამიანად ითვლებოდა და ყოველივე ზემოთქმული მასზეც ისევე ვრცელდებოდა, როგორც სხვებზე, რომლებიც მანვნის ქილებს არ დასდევდნენ, მაგრამ სხვა რამით კი იყვნენ გატაცებული. ამ ყველაფრიდან კი მხოლოდ ერთი რამ გამოდიოდა: რაც დრო გადიოდა, ალბათობა იმისა, რომ ანდროს მანვნის ქილებისთვის მიეგნო, სულ უფრო მცირდებოდა, რა თქმა უნდა, გარკვეული მიზეზების გამო. ეს მიზეზები გახლდათ შემდეგი: მანვნის გამოყენება დანიშნულებისამებრ, ანუ მისი შექმნა, მანვნის ამჟავება, ნაღების დაობება, ქილის დამსხვრევა შემთხვევით და ქილის გამოყენება სხვა მიზეზებისთვის, რაც თავისმხრივ, ანდროს, ბოლოდროინდელ, უშედეგო ძიებას ვერაფერს სძენდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ უზანში უცნაური მამაკაცის ხეტიალი, გარკვეული ეჭვის საფუძველს ნამდვილად იძლეოდა, რაც სულ მალე გადაიზარდა საყოველთაო მითქმა-მოთქმაში. ამბობდნენ, თითქოსდა ქალაქში მანიაკი დაიარებოდა, რომელიც მანვნის ქილების ძიებას მხოლოდ საბაბად იყენებდა მასპინძლის ნდობის მოსაპოვებლად, თავად კი ათასგვარ სისაძაგლეს სწადიოდა და არც წვრილმანი ნივთების მოპარვა-მითვისებაზე ამბობდა უარს. სხვებს ამ ჭორების არ სჯეროდათ და ყოველივეს ხელისუფლებას აბრალებდნენ, რათა საზოგადოება კიდევ უფრო მეტად დათრგუნულ მდგომარეობაში ჰყულოდათ, რაც, თავის მხრივ, საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოს მართვის მიღებულ ფორმას წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, ანდრო ქილების ძიებას თავს არ ანებებდა. ასე აღმოჩნდა საერთო აივნით გაერთიანებულ, სხვადასხვა ჯურის ადამიანებით დასახლებულ ეზოში, მოკლედ, როგორც ჩვენში იტყვიან, იტალიურში, რომლის მეორე სართულზე, ორ პატარა ოთახში სირაძეების ოჯახი ცხოვრობდა, რომელთა სამზარეულო თუ სველი ნერტილი, როგორც სხვა ბევრის, აივნის ბოლოს გახლდათ განლაგებული.

სირაძეები სახლში არ აღმოჩნდნენ. ჩარაზული ფანჯრის უკან ნათლად მოჩანდა ორი მანვნის ქილა თავისივე ქალადებით. ანდროს ბევრი აღარ უფიქრია, ერთი მიიხედა – მოიხედა, მერე კარის წინ დაგდებულ ფეხის საწმენდი მკლავზე გადაიხვია და შუშის ფანჯარა



ჩაამტვრია.

„მწერალთა ფედერაციის პრეზიდენტმა კომისიის გადამწყვეტილებაზე დაყრდნობით ფედერაციიდან გარიცხა:

1. პავლე ინგოროყვა (ერთხმად). პავლე ინგოროყვა გარიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონერი მწერალი. იგი თავისი თეორიებით და პრაქტიკული მუშაობით ქართული მწერლობის რეაქციულ ნაწილს ორგანიზატორობდა. ასევე ხელმძღვანელობდა რეაქციონური „ქართული წიგნის“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს.

2. კონსტანტინე გამსახურდია (ერთხმად).

კონსტანტინე გამსახურდია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის, თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმის და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად, თავის გამოსვლებით მან არაერთხელ საბჭოთა საზოგადოებრიობის ზიზი და სიძულვილი დაიმსახურა. სხენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი თანადროული მწერლის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაშრომებს აქვეყნებს და თავისი პოლიტიკური მავნებლობით ამაყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე.

3. გერონტი ქიქოძე (პრეზიდენტმა დაიცვეს ტატიშვილმა, ქიჩელმა, შანშიაშვილმა).

გერონტი ქიქოძე გარიცხულ იქნა, როგორც ანტისაბჭოთა მწერალი და ფეოდალური მსოფლმხედველობის აკადემიური წარმომადგენელი და თეორეტიკოსი. მან გამოიტანა ჯვრის მონასტრის უპირატესობა და უდნია ინდუსტრიალიზაციის მიღწევები ადამიანის გამომწვინებ მოვლენად ჩათვალა, ხოლო კომუნისტური წყობილება მან აღიარა თემობრივი წყობილების ორიგინალურ გაგრძელებად.

4. შალვა შარაშიძე, „თავუნა“ (ერთხმად).

შალვა შარაშიძე გარიცხულ იქნა, როგორც მენშევიზმის რომანტიზმით გაუღმთილი მწერალი. მენშევიკების აზრების აგიტატორი, რომელიც დასცინის მენშევიკური ხიზობით და გესლით საბჭოთა ხელისუფლებას.

5. იოსებ იმედაშვილი (ერთხმად).

იოსებ იმედაშვილი გარიცხულ იქნა, როგორც ცნობილი რეაქციონერი მწერალი, რომელიც გამუდმებით ებრძვის მწერალთა ფედერაციას და არის უკიდურესი შოვინისტი.“

ბარნიცხვა არ აკმარებს და პასპორტებიც ჩამოართვეს. მოკლედ, სასიკვდილოდ გასწირეს, რადგან უსაბუთო ადამიანისთვის საბჭოთა კავშირში სხვა ბედი წარმოუდგენელი გასლდა. დამინებულმა ბოლშევიკებმა მოსახლეობის მიგრაციის, იგივე გადაადგილების, გასაკონტროლებლად პასპორტი შემოიღეს. კოლექტივიზაციით დაშინებული გლეხობა ქალაქში გაბრბოდა, პროლეტარიატი სოფელს აფარებდა თავს, მაგრამ პასპორტის მფლობელის საცხოვრებელ ადგილზე მიწერა ასეთ გადაადგილებას თითქმის შეუძლებელს ხდიდა. სხვა დანიშნულებაც ჰქონია ამ ქალაქს. ისაკ ჟვანიას, აჭარის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ანკეცაში პირდაპირ ჩაუწერია, ეროვნება – მეგრელი. ასევე მოქცეულა ნაზიკო ჯინჭარაძე, რომელსაც რუსულად ჯერ „გრუზინკა“ დაუწერია, შემდეგ გადაუსწორებია და იმავე ხელით მიუწერია – „აჯარკა“. ასე რომ, ქართველებს თავიდანვე აჩვენდნენ იმას, რაც მათი ავადმყოფური გონებით, ადრე თუ გვიან დასაკარგი შეიქნებოდა. აკი მიმხვდარა და უთქვამს კიდევ მწერალ გამსახურდიას საბჭოთა მწერლების გამგეობის პლენუმზე:

„ამ გამობრძანდენ ჩვენი აფხაზი ამხანაგები. უნდა მოგახსენოთ, რომ დიდებიდან აფხაზის სისხლი მაქვს. მიყვარს აფხაზები და გმირებიც მყავდა ისინი, მაგრამ აქ ვამოვიდა ორი ახალგაზრდა კაცი. პირველი გრიგოლია, მეგრელი, ჩემი მეზო-

ბელი, მეორე – ჭკადუა, ესეც მეგრელი და რუსულად გველაპარაკა აფხაზეთის სახელით. რაშია საქმე, აფხაზები არიან მაგენი, თუ ვინ არიან?“

რა თქმა უნდა, არ აპატიეს.

„ბამსახურდია ქართველი ერის განსაკუთრებულობას ქადაგებს, ამბობს საქართველოში ნაციონალიზმი არ არისო. მამ, პარტია ცდება, როცა ამბობს – არისო? ნაციონალისტობაა, როცა პლენუმზე თქვა: აფხაზეთის მეგრელმა რუსულად რატომ უნდა ილაპარაკოსო. ასევე ნაციონალისტობაა, როცა ამბობს, ბაღდადს მაიაკოვსკი რატომ უნდა ერქვას, როდესაც ქართველი მწერლის სახელი არც ერთ ქალაქს არ ჰქვიაო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის გამგე, კარლო ორაგველიძე.“

ასე რომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გარიცხვა-ჩამორთმევის პროცედურა გადამწყვეტილ საქმეს წარმოადგენდა.

იგივე ელოდა ანდროსაც, თუმცა ვერასდროს წარმოიდგენდა თუ დღევანდელ დღეს უსაბუთოდ დარჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დაგვიანებით მისულს სიდ თორნიცა და მიუღწეულ მაგიდის გარშემო თითქმის დაქვევებულები დახვდნენ, ისე თითქოს მათ წინ მიცვალებული ესვენა, არადა მაგიდაზე მხოლოდ ოციოდე სურათი ეყარა. ანდრომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, აქედან სურათის გარჩევა დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა.

ანდრო სკოლასთან...  
ანდრო ეზოში...  
ანდრო კიბზე...  
ანდრო მანვინით ხელში...  
ანდრო ბინაში შემავალი...  
ანდრო ბინიდან გამომავალი...  
ანდრო ბავშვთან ერთად...  
ანდრო მანდილოსანთან ერთად...  
ისევე ანდრო და ისევე ანდრო...  
მირიანის ნამუშევარს წუნს ვერავენ დასდებდა.

ანდრომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და წინ წაიწია. ეს წინსვლა ქალბატონმა ნელიმ უფრო მუქარის გამოხატულებად ჩათვალა, ვიდრე ინტერესის, და ინსტინქტურად მთელი სხეულით უკან გადაიწია, ისე რომ კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. არადა, მართლა რომ გადმოვარდნილიყო, იქნებ განემუხტა კიდევ ეს უხერხული მდგომარეობა, რადგან საყოველთაოდ ცნობილი რამ გახლავთ: სიცილი ყველგან და ყოველთვის საუკეთესო მკურნალად ითვლებოდა. სკამიდან გადავარდნილ ადამიანზე სასაცილო კი რა უნდა იყოს ამქვეყნად.

– ახლავე აგისხნით ყველაფერს. – თქვა ანდრომ.

– შორს წასვლაც არ ისურვა და სამეზობლოში გააბა სასიყვარულო ისტორიები. – სიდედრმა სიძის სიტყვებს ყური არ ათხოვა და ეს სიტყვები უფრო ქალიშვილის გასაგონად წარმოთქვა, რომელსაც ქმრის ახსნა-განმარტების იმედი, როგორც ყველა მოსიყვარულე მეუღლეს, ჯერ კიდევ ჰქონდა და ამ განმარტებას ხავსმოკიდებულივით ექიბოდა.

– დედა! – მხოლოდ ესლა მოახერხა ანდროს ცოლმა და ქმარს მიაჩერდა.

– ბავშვიც ყოლია, ამას როგორ წარმოვიდგენდი, ამიტომაც გვიძალიანდებოდა, ამიტომაც არ მოგყვებოდა ექიმთან. – თავი გააქნია ნელი და შვილის დასანახად იმ სურათს დაწვდა, რომელზეც ანდრო, მისამართისა თუ მანვინის მოსაძიებლად, შვიდი წლის ბავშვს თავზე ხელს უსვამდა და მამაშვილურად ესაუბრებოდა. – შეხედე, კარგად შეხედე!

– კარგი, დედა, კარგი! – იყვირა ცოლმა, სურათი ხელით მოიცილა და, როგორც ამ დროს ხდება, ყვირილი ქვითინიც მიაყოლა.

ანდროს, რა თქმა უნდა, ყველაფრის მოყოლა შეეძლო.

ცოტა უცნაური მოსაყოლი კი იყო, მანვინს, ოქმების, დაკითხვა-დაჭერების და ანდროს, თითქმის არალეგალური, რამდენიმე დღიანი ცხოვრების ამბები, მაგრამ ცდად მაინც ღირდა, მართალია, სიდერს ვერაფერს შესაძენდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ მეუღლის გულის მოგებას მაინც შეძლებდა.

იმედი კი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა.

ზარის ხმასა და ღია კარს პატრულის ორი თანამშრომელი შემოყვა, რომლებიც, როგორც ჩანს, ანდროს ეძებდნენ და ეს ამბავი არც დაუმალავთ.

– ანდრო ქირია თქვენ ბრძანდებით?! – მე ვარ.

– საბუთები.

ანდრომ ჯიბეში პირადობის მოწმობა მოიძია და პატრულს გადააწოდა.

პატრულის თანამშრომელმა ჯერ სურათს დახადა, შემდეგ ანდროს შეხედა და საბუთი, როგორც სასწრაფო ნივთი, საგულდაგულოდ გადაინახა ჯიბეში.

– ჩვენთან უნდა წამობრძანდეთ, შეკითხვები გვაქვს.

– რა შეკითხვები?

– იქ გავარკვევთ ყველაფერს.

პატრულმა დამორჩილებული ანდრო წინ გაიგდო და მისი საბუთიც თან გაიყოლა.

ამ ამბის შემდეგ ანდრო თვალში ალარავის მოხვედრია. არადა, რომ დასცლოდა რამდენიმე ქილა მანონს კიდევ აღმოაჩენდა, რა თქმა უნდა, თავზე საგულდაგულოდ შემოვლებული ქალაქი – ისევე და ისევე საბრალო ნორა ნაყოფიას მზრუნველი ხელით.

ერთი ასეთი ქილა ინახებოდა ალახვერდევების ბინაში, რომელსაც ნათესავის გარდაცვალებისა და ამ გარდაცვალებასთან დაკავშირებული უხერხულობის გამო, მანვინს გამოყენება დაავიწყდა. მანონი გაფუჭდა, ნაღებს, როგორც სწევია, ობი მოეღო, მაგრამ ქალაქს ვერაფერი დააკლო.

„კითხვა: კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, მასალაში, რაზეც ეყრდნობა გამოძიება, მოცემულია თქვენივე თანამზრახველებისაგან. ისინი გასახელებენ, როგორც ტროცკისტული ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრს“

პასუხი: მათი ჩვენება ბოროტი ცილ-ისნამებაა.

კითხვა: ვის გულისხმობთ სიტყვაში „მათი“? მე ხომ თქვენი თანამზრახველები არ დამისახელებია?

პასუხი: ვინც არ უნდა დაასახელოთ, არავითარ კავშირში არ იქნება სინამდვილესთან, არავითარი დამოკიდებულება ტროცკისტულ მუშაობასთან არ მქონია.

კითხვა: წინასწარ განვიზრახავთ თქვენი მამხილებელი მოწმეების კომპრომიტირება, ძალიან რისკიანი ნაბიჯია, ჩვენ გვაქვს თქვენი მეგობრების ჩვენებები.

პასუხი: თუ თქვენ ირწმუნებთ, რომ მე ვარ დამნაშავე, გიცხადებთ, რომ ბედი ცვალებადია. დღეს თუ თქვენ გვასამართლებთ, ხვალ შეიძლება ჩვენ გაგასამართლოთ.

კითხვა: ასეთი განცხადება შეიძლება გააკეთოს მხოლოდ ნამდვილმა ტროცკისტმა, თქვენთვის კი ცნობილი უნდა იყოს, თუ როგორ ვექცევით ჩვენ ტროცკისტებს.

პასუხი: აღნიშნული სიტყვები მე წამომცდა გავიცხადებთ მომენტში, ამიტომაც გთხოვთ ოქმში არ შეიტანოთ.

კითხვა: ეს სრულად თქვენზე დამოკიდებული. განიზრახეთ თუ არა მისცეთ სწორი ჩვენება გამოძიებას?

პასუხი: დიახ, გადაწყვიტე ვთქვა სრული სიმართლე ჩემი კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ, რადგან ცხრათიანი ბრძოლის შემდეგ საგამომძიებლო ორგანოებთან, დავრწმუნდი: ყოველგვარი წინააღმდეგობა უშედეგოა.

კითხვა: როდის დაიწყეთ კ / რ საქმიანობა?

პასუხი: კ / რ საქმიანობა დაიწყე 1921 წლიდან. 1923 წლიდან ვანარმოებდი აქტიურ იდეოლოგიურ ბრძოლას. კონტრრევოლუციონერ პროფესორ ივანე ჯავახიშვილის საშუალებით გადავცემდი ჯაშუშურ მასალებს საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ნოე ჟორდანიას და რამიშვილს საფრანგეთში და ახმეტელოვს გერმანიაში.“

მიორამ, ნახევრად შეჭმული მანვინის ქილა, ინახებოდა მოქალაქე ნოდარ ლილვაშვილის ბინის წინ, საერთო-სამეზობლო ხის აივანზე, მისივე მაგიდაზე, სხვადასხვა ქილასთან ერთად. ლილვაშვილი სწორედ მანვინის ჭამის დროს დააკავეს აღნიშნულ აივანზე, წვრილმანი სამურნეო დანაშაულის გამო, რომელიც ჩადენილი ჰქონდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ გამგეობაში მუშაობის დროს, მოქალაქე ლილვაშ-

ვილის ბედნიერ მოღვაწეობად და ბედნიერ ხანად უნდა ჩაითვალოს.

მოქალაქე ლილვაშვილი მანონს ისე დასწავებია, რომ აღნიშნული ქალაქისთვის არც კი დაუხედავს.

„ლიტერატურული საქართველო. სიკვდილი მუხანათურ მტერს! ზიზი ბანდიტებს და ქვეწარმავლებს!

ყველა საბჭოთა პატრიოტი აღფრთოვანებულია, რომ ჩვენი სახელოვანი ხელმძღვანელის სტილს მუშაობაში ბევრთად მისდევენ საქართველოს საუკეთესო ბოლშევიკები, ამიტომ ჰყვავის საქართველოს მთა და ველი, ამიტომ აფერადდა ნაირნაირ მცენარეთა პლანტაციებად, ბაღებად და ვენახებად ველ-მინდვრები და მთის ფერდობები, ამიტომ აგუგუნდნენ სტახანოვური გატაცებით დაზგები ჩვენს საწარმოებში, ამიტომ არის, რომ ქართველ ხალხს არასოდეს უმღერია ასეთი ბედნიერი გულით და სრული ხმით, როგორც დღეს.

ამხანაგებო, განა შეიძლება ძველი კულტურა შევადართო ახალ, მებრძოლ მასების კულტურას? მთელი მოსკოვის პრესა აღნიშნავს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას ღვაწლს ქართული საბჭოთა ხელოვნების წარმატებაში. მართლაც ხელოვნების ფორმის ამ დიდი გამარჯვების ორგანიზატორი არის ამხ. ბერია. ყველა მიღწევა მწერლობაში, მხატვრობაში, მუსიკაში და საერთოდ ხელოვნების ყველა დარგში, მისი ბრძნული ხელმძღვანელობის და თაოსნობის შედეგია.

მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ეს მიღწევები გულზე ეკასებით ესობა.

მწერლობის სასახლის სხდომათა დარბაზში შეიკრიბენ საბჭოთა მწერლები, რომ გამოეთქვათ თავისი აღფრთოვანება ქართველ მწერლებში აღმოჩენილ ტროცკისტების გაუგონარი მოლაღატეობისა და მზაკვრული გამცემლობის გამო. ჩვენ ვერ ვპოულობთ ამ არამზადების მიერ ჩადენილ დანაშაულებათა ანალოგიებს. ამიერიდან თვით მათი სახელი გადაიქცევა ადამიანთა ყველაზე უსაძაგლესი ბოროტების და დანაშაულის აღსანიშნავ სიტყვად.

„ზიზი სამშობლოს მოლაღატეებს! უსასტიკესი განაჩენი მათ!“

ეს იყო და ეს.

შესაძლებელია სხვაგანაც აღმოჩენილიყო ზოგიერთი რამ, თუნდაც უშობროების ყოფილ საერთო საცხოვრებელში, საიდანაც გახლდათ კიდევ საბრალო მემანვინე ნაყოფია, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, რომ ინვესტორს, რომელმაც შეიძინა კიდევ აღნიშნული შენობა, რაიმე საბუთი შეენახა ან თუნდაც ვინმესთვის გადაეცა. არადა, ცდა მაინც შეიძლებოდა, თუკი ვინმე, რა თქმა უნდა, დაინტერესებული პირი ინვესტორამდე მიაღწევდა და, იმავდროულად, მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად, ინგლისურიც კარგად ეცოდნებოდა, რომელიც ამ ბლო დროს, ნორმალური ცხოვრების ნაბაძვით, საპატიმროშიც მკვიდრად იკიდებდა ფეხს.

– ანდრო მასწ, გაკვეთილი გვექნება? – იკითხა ციხის ზედამხედველმა და საკნის კარს დატანებული მომცრო სარკმლიდან პატიმარ-მასწავლებელს გაუღიმა.

– შემოდი, ვანო. – შემოიპატიჟა ანდრომ მონაფე და ნარიდან წამოგა.

– ეგენი ჩვენ სულს გვხდია, შენ კიდევ ინგლისურში ამეცადინებ. – ამოვიმინა ანდროს საკნის მეზობელმა ნოდარ ლილვაშვილმა.

– შენც ისწავლე, რა იცი, რაში გამოგადგება. – დაუყვავა ანდრომ.

– ნეტავ ისიც არ მესწავლა, რაც ვიცი. – ისევე აბუზღუნდა პატიმარი ლილვაშვილი, რომელიც, როგორც ყველას ახსოვს, სასჯელს ეკონომიკური დანაშაულისთვის იხდიდა.

ამ საუბარში საკანში ვანო შემოვიდა, თან რამდენიმე წიგნი და მოზრდილი რვეული შემოიტანა.

– იმეცადინე, ვანო?

– მთელი ღამე გავათენე, ანდრო მასწ.

– მაშინ სიტყვებით დავიწყეთ, როგორ იქნება ინგლისურად სიტყვა ბრალი?

– ბრალი?

– ჰო, ვინმეს რომ რამე ბრალდება, ანდა ვინმეს ბრალი რომ არის, ეს უნდა გახსოვდეს, წინა გაკვეთილზე გავიარეთ.

დასასრული მე-16 გვერდზე



მთარგმნელი

ნინო ქაჯაია:

# „როცა რაღაც ძალიან მოგონს, გამოგდის კიდეც“

„ეს არის ჩემი უსაყვარლესი მოთხრობა, რომელსაც ხშირად ვუბრუნდები და ყოველ ჯერზე რაღაცას ვპოულობ. ახლა პირველად ვიფიქრე, რომ ქვეტექსტს თუ ვაშლი, რომანის სიუჟეტი გამოვია. არა, პაპა მაინც ძალიან მაგარი ვინმეა“, — ეს სიტყვები, რომელიც ერთ-ერთ ლიტერატურულ პორტალზე დევს, მთარგმნელმა ნინო ქაჯაიამ ჰემინგუის მოთხრობას — „კატა წვიმაში“ დაუბრუნა. ამ ტექსტის თარგმნის შემდეგ მრავალი წელი გავიდა, თუმცა ჰემინგუეი მაინც რჩება მწერლად, რომელმაც 15 წლის გოგონას მომავალი საქმიანობა განაპირობა. თუმცა მაშინ ნამდვილად არ უფიქრია მთარგმნელობაზე... ვულფი, ფოლკნერი, კუნდერა, პრუსტი, ჟიდი, უაილდი, გოლდინგი, ბორხესი, ბარნსი, ოუტსი... — იმ ავტორთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც წლების განმავლობაში თარგმნა. სია, სავარაუდოდ, გაიზარდება, თუმცა გარკვეულწილად ეს გამოცემებზეც არის დამოკიდებული. ვიმედოვნებთ, სამომავლოდ ქალბატონი ნინო იმ წიგნსაც გამოსცემს, რომელშიც წლების მანძილზე თარგმნილ მოთხრობებსა და ლიტერატურულ ნერილებს მოუყრის თავს, მანამდე კი მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.



მა, პირველად მისი ფოტოები რომ ვნახეთ, ვთქვით, ნამდვილი ათოსიაო. მართლა ეგეთი გარეგნობისა ნარმომიდგენია ათოსი. ინგლისურად — თავშეკავებულად — რომანტიული-ცაა, იმის მიუხედავად, რომ ხისტი ტექსტები აქვს. ზოგჯერ მძიმეა, ხანდახან მისი იუმორი ცინიზმამდე მიდის, მაგრამ საბოლოოდ არის-ტოკრატია.

თომას ვულფზე მიფიქრია. მისი რამდენიმე მოთხრობა გვაქვს ქართულად, რომანები — არცერთი. ორი ფრაგმენტი მაქვს თარგმნილი რომანიდან „დროისა და მდინარის ამბავი“... 800-გვერდიანი რომანია, რომელსაც მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ვერ შეეჭიდები. ყველაფერი უნდა გადადო გვერდზე და მხოლოდ ეს აკეთო, რაც ჩემთვის დღესდღეობით ნარმოუდ-გენელია.

— ახლა თუ თარგმნი რამეს?  
— ახლახან დავასრულე ბორხესის ლექციები. ექვსი ლექცია უკვე დაიბეჭდა „ჩვენს მწერლობაში“, მეშვიდეც მიტანილი მაქვს და ალბათ მალე ისიც დაიბეჭდება. ეს არის თარგმანი რუსულიდან. საერთოდ, ორიგინალიდან თარგმნის მომხრე ვარ, მაგრამ რაკი ეს მხატვრული ტექსტი არ იყო, თავს უფლება მივიცი, რუსულიდან მეთარგმნა. არაჩვეულებრივი ლექციებია. ნავიკითხე თუ არა, გადმოქართულდება მომინდა. ერთი რომ ვთარგმნი, როსტომმა შე-მომთავაზა, გამეგრძელებინა და საბოლოოდ, მთლიანად ვთარგმნი.

მინდა, როგორღაც თავი მოვეყარო იმ მოთხრობებსა თუ ლიტერატურულ ნერილებს, რასაც წლების განმავლობაში ვთარგმნიდი და იბეჭდებოდა. ასე მგონია, არ უნდა გამოვიდეს ურიგო წიგნი — თარგმანისა რა მოგახსენოთ და ავტორები ერთმანეთზე უკეთესები არიან. ამ წიგნის გამოცემის იმედი მაინცდამაინც არა მაქვს, მაგრამ ინტერნეტში მაინც დავდებ, რომ ვინმემ ნაიკითხოს.

— ახლოვდება მორიგი „გალა“, რომლის ფიურის ნევრიც ბრძანდებით. წელს ამ კონკურსს ხუთი წელი უსრულდება, რა სიახლეებია, როგორ ემზადდებით?

— ბევრჯერ მიქცევამ, რომ „გალა“ დღესასწაულია ყველასთვის — ამ კონკურსის დამაარსებლის, ზალ სამადაშვილისთვისაც, ჩვენთვისაც — ვინც ფიურის ნევრი ყოფილა ან არის, ვინც მონაწილეობს საორგანიზაციო საქმეებში, ლიტერატორებისთვის, მკითხველებისთვის — ყველასთვის, ვისაც ამ კონკურსთან რამე აკავშირებს. ამისთვის მთელი წელი ვემზადდებით. ძალიან მიყვარს თავად ცერემონიული და გამარჯვებულების გაბრწყინებული სახეები, მათი გამარჯვება ისე მიხარია, თითქოს მე თითონ ვიღებდე ჯილდოს... თუმცა ეს ემოციები... საქმეს რაც შეეხება — ჩვენ ვცდილობთ, დავაჯილდოვოთ ის პროფესიონალები, ვინც უჩუმრად, წყნარად აკეთებენ თავის საქმეს და არ არიან განებოვრებული პრემიებითა თუ ჯილდოებით — მხოლოდ საკუთარი თავმდაბლობისა თუ ღირსების გამო. ვამაყობ, რომ „გალა“ მიიღეს ისეთმა ადამიანებმა, როგორებიც არიან ელზა ახვლედიანი, მია ბადრიძე, მერი ტიტკინიძე, ლია ჩლაიძე, ნატაშა ბაბუნაშვილი, ზაზა თვარაძე... გარდა ამისა, ძალიან ვერ-იდებით დუბლიკატებს. ხომ არიან პოპულარული ავტორები, რომლებიც უამრავ პრემიას იღებენ. ჩვენ ვცდილობთ, არ გავემორდეთ და უყურადღებოდ არ დარჩეს არც ერთი გამორჩეული შემოქმედი.

გამუდმებით ლაპარაკობენ ფიურის სუბიექტურობაზე. რასაკვირველია, ნებისმიერი ფიური სუბიექტურია, რადგან გემოვნება ყველას განსხვავებული აქვს. მთავარია, არ იყო მიკერძოებული. ვფიქრობ, „გალა“ ამას ახერხებს. სიახლეებს რაც შეეხება, წელს კინოცენტრის შემოთავაზებით სცენარის ნომინაცია დაგვემატა. ფიურიში მათი წარმომადგენელიც არის და წელს საუკეთესო კინოსცენარის დაჯილდოვდება.

— როგორ ფიქრობთ, რა შემატა ამ კონკურსმა ლიტერატურულ სივრცეს?

— ლიტერატურული კონკურსი ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ეს არის გასული წლის პროდუქციის შეფასება და კიდევ ერთი სტიმული მწერლებისთვის.

ესაუბრა ნანა კობახიძე

— ალბათ, ბავშვობიდან არავინ ოცნებობს მთარგმნელობაზე. ეს სურვილი მოგვიანებით, ზრდასრულ ასაკში ჩნდება, როდესაც ხვდები, რომ თარგმანი მხოლოდ ტექსტის მექანიკურად გადმოქართულება არ არის. თქვენს ცხოვრებაში როდის დადგა ეს მომენტი?

— სხვათა შორის, თარგმნა ადრე, 14-15 წლის ასაკში დავეინწყე. იმ პერიოდში მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდი. პირველად ჰემინგუის პატარ-პატარა მოთხრობებს მივაადექი. მთარგმნელობა მინდოდა-თქო, ვერ ვიტყვი, ეს უფრო ვარჯიში იყო ენაში, თუმცა მოგვიანებით ეს საქმე მომეწონა. იმ პერიოდში თარგმნილი ერთ-ერთი მოთხრობა — „კატა წვიმაში“, რომელიც ძალიან მიყვარს, მრავალი წლის შემდეგ „ქომაგში“ დავბეჭდე.

— მაშინდელი თარგმანი შენახული გქონდათ?

— დიახ. საერთოდ, მწვევია ქალაქების შენახვა. ძალიან მენანება ნანერების გადაყრა — სულერთია ჩემი იქნება თუ სხვისი. გინდაც ვიცოდე, რომ არაფერი გამომადგება, ვერ ვეღვი. „ქომაგში“ ჰემინგუის ნომერს ვაკეთებდით, გამახსენდა სადაღაც შენახული ეს თარგმანი და ამოვიჩხრიკე — გადავხედე და თავიდან გავაკეთებ-თქო, მაგრამ ბევრი არაფერი ჩამისწორებია. ეტყობა, როცა რაღაც ძალიან მოგონს, გამოგდის კიდევ.

— ვინმეს აჩვენებთ თქვენი ნამუშევარი?

— მხოლოდ ოჯახის წევრებს, და თამაზ ბიბილოს... თუმცა მაშინ არ ვფიქრობდი არც მთარგმნელობაზე და არც ფილოლოგობაზე. სხვათაშორის, არც უნივერსიტეტში ჩაბარებისას ვიცოდი, რომ თარგმნა ჩემს საყვარელ საქმედ იქცეოდა. ეს ყველაფერი მოგვიანებით მოვიდა, როდესაც „ლიტერატურულ საქართველოს“ დავეინწყე მუშაობა. რედაქტორი იყო ვახტანგ ჭელიძე, მისი მოადგილე კი თამაზ ბიბილო. ეს ორი ადამიანი ქმნიდა მაშინდელ „ლიტერატურულ საქართველოს“. ერთად მივედით რამდენიმე ახალგაზრდა: მე, როსტომ ჩხეიძე, თამაზ ვასაძე, უჩა შერაზაძე, დიმიტრი, ვანო ამირხანაშვილი. სწორედ იმ პერიოდში დავეინწყე თარგმნა. სხვათაშორის, ძალიან შემაგულიანა როსტომ ჩხეიძემ, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობდა. პირველად დაიბეჭდა პრუსტის ნერილი ბოდლერზე, რომელიც მე და სოფიკო ბენდიანიშვილმა ვთარგმნეთ. ამას მოჰყვა ყიდის ნერილი მალარმეზე, რაც იმ დროისთვის ძალზე თამამი ნაბიჯი იყო, რადგან ამ ავტორის ხსენებაც არ შეიძლებოდა და დაიბეჭდა ლაპარაკი ზედმეტი იყო — ვერც ერთი რედაქტორი ამას ვერ გაბედავდა. ტექსტი დაიბეჭდა, ოღონდ ზაფხულში, როცა ცეკა შევბუღებში იყო... მერე მე და სოფიკომ გავაკეთეთ ორი პატარა წიგნი — პრუსტის „წიგნის კითხვა“ და ჟიდის ნერილები. ამას მოჰყვა ოსკარ უაილდი...

საერთოდ, მიმანია, რომ თუ რამე გამოიკეთებია, ეს ჩემს გარშემო მყოფი ადამიანების დამსახურებაა. ამ მხრივ ყოველთვის მიმართულება — ჩემი უახლოესი ადამიანები — უფროსი თუ ჩემი ტოლი მეგობრები ყოველთვის მხარში მედგნენ და მაძხვებდნენ — ამის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა და ვერც ვერაფერს გავაკეთებდი.

— იმ პერიოდში არსებობდა მთარგმნელობითი კოლეჯი, რომელმაც ბევრი საინტერესო თარგმანი შემატა ქართულ ლიტერატურას. თუ გქონდათ რამიმე შეხება მასთან?

— სამწუხაროდ, არა. ეს იყო მართლა ძალიან კარგი ორგანიზაცია, რომელიც ღირებულ საქმეს აკეთებდა. ურიგო არ იქნება, მსგავსი რამ დღესაც არსებობდეს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ მუშაობა ვახტანგ ჭელიძესთან. ამ ადამიანთან ურთიერთობამ ბევრი რამ გვასწავლა ყველას, ვინც მის გვერდით ვიყავით. ეს იყო მასწავლებლისა და მოწაფეების ურთიერთობა. სამწუხაროდ, დღეს ასეთი რედაქტორი აღარ მეგულება.

— ეს საკითხი, ვგულისხმობ მხატვრული ტექსტის რედაქტირებას, დღესდღეობით ძალზე აქტუალურია. კარგი რედაქტორი საბოლოოა საქმისათვის. როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი?

— არ ვიცი, შეიძლება ცხოვრების ტემპის აჩქარება. თავად ფაქტი ძალიან სამწუხაროა, რადგან ეს ყველაფერი ეტყობა, პირველ რიგში, ტექსტებს. ახალბედს აუცილებლად სჭირდება ადამიანი, რომელიც გამოცდილებას გაუზიარებს.

— ახალგაზრდა მთარგმნელებზე რას იტყვით?

— დღეს ბევრი თარგმნის, გაცილებით მეტი, ვიდრე თუნდაც ათი წლის წინ. ამ თარგმანებიდან, ბუნებრივია, ბევრი კარგი ნამუშევარია, მაგრამ ჩემი აზრით, დღევანდელ თარგმანებს ვნებს დაჩქარებული ტემპი. თარგმნისთვის მარტო უცხო ენის ცოდნა არ კმარა. თარგმანი ხელოსნობა არ არის, ეს შემოქმედებაა და დამოკიდებულებაა შესაბამისს მოითხოვს. მანაბელი რომ დასვა სათარგმნად, თუ კეტილი დაადგები, ჩქარა, ჩქარაო, არაფერი გამოუვა.

— თუმცა შეკვეთის გარეშე მთარგმნელი ვერ იარსებებს.

— რასაკვირველია. უბრალოდ, არ შეიძლება, ფოლკნერი, სელინჯერი, მარკ ტვენი, როულინგი — ერთ ყალიბში იყოს მოქცეული.

— რადგან სელინჯერი ახსენეთ, „თამაში ჭვავის ყანაში“-ს ახალი თარგმანი თუ ნაიკითხეთ? როგორია შთაბეჭდილება? პირადად მე ძველი უფრო მომწონს, გაცილებით აკადემიურია.

— მეც ის მიჩვენია, ჩემს 12 წლის შვილს — ახალი, შესაძლოა, ახალი თაობისთვის ეს უფრო მისაღები ტექსტია; თუმცა ძველ თარგმანშიც არის ჟარგონი, რომელსაც დღევანდელი მოზარდები ვერ იგებენ. ამ კონკრეტულ ნაწარმოებზე არ ვგულისხმობ, მაგრამ ზოგადად ჩემთვის სრულიად მიუღებელია ჟარგონისა და ბილნსიტყვაობის კორიანტული, რომელიც დღევანდელ ლიტერატურაში და მათ შორის თარგმანებშიც ტრიალებს. ეს სხვა არაფერია, თუ არა ეპატაჟი.

— კი, მაგრამ თუ თავად ტექსტია ასეთი?

— რა თქმა უნდა, ტექსტი უნდა გადმოიტანო, მაგრამ ძალზე ფრთხილად, რადგან ჩვენთან ჟარგონის ტრადიცია ნაკლებადია. ამიტომ ასეთი ნაწარმოებების თარგმნა მთარგმნელისთვის ბევრს ხდის. ძნელია, არ გახდეს უხამისი, იაფფასიანი და ორიგინალის სულიც შეინარჩუნო. თუმცა ეს არ არის მთავარი პრობლემა. უფრო მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, ისაა, რომ მთარგმნელები მექანიკურად მუშაობენ. ძალიან კარგად მესმის, რა არის ამის მიზეზი — როცა შეკვეთით მუშაობ, ცდილობ, რაც შეიძლება სწრაფად აკეთო საქმე და შემოქმედებითი მხარე განზე რჩება. არადა, მთარგმნელსაც ხომ სჭირდება შემოსავალი, რის გარეშეც ვერ იარსებებს? ამას არავის გასაკიცხად არ ვამბობ, ასე მე თვის თონაც მიმუშავია და ალბათ კიდევ მომიხვეს; ასე რომ, პირველ რიგში, საკუთარ თავს ესაყვედურობ.

— ანუ, დრო, რომელიც საჭიროა თარგმანის ხელახლა წასაკითხად და გასასწორებლად, აღარ რჩება.

— რასაკვირველია. თარგმანი სისწრაფის ვერ იტანს. ერთადერთხელ მომიწია ასეთ ტემპში მუშაობა — ერთ თვეში უნდა მეთარგმნა უილიამგოლდინგის „ბუზთა ბატონი“. მოვასწარი, მაგრამ არ ვიცი, რა გამოვიდა... მთარგმნელს აუცილებლად სჭირდება მოცალეობა. რაზეც მუშაობს, იმ ნაწარმოების ეპოქაში უნდა გადასახლდეს და ცოტათი ავტორად უნდა იქცეს. ხშირად მითქვამს, რომ მთარგმნელის შემოქმედებითი მუშაობა უფრო საინტერესოა, ვიდრე მწერლის — უამრავი ცხოვრებით ცხოვრობ, მაგრამ ამას უნდა დრო და სიძვირდებ. ტემპს ეს პროცესი ვერ ეგუება. ალბათ ესეც არის მიზეზი, რომ თარგმანები ერთნაირი გახდა. უფროსი თაობის გამოცდილ მთარგმნელებს აუცილებლად განასხვავებ ერთმანეთისგან. ბაჩანა ბრეგვაძის, ვახტანგ ჭელიძის, ვახუშტი კოტეტიშვილის, დავით ნერედიანის თარგმანები აბსოლუტურად სხვადასხვაგვარია... მთარგმნელიც ხომ ატყობს თავის ხასიათს ნაწარმოებს? დღეს ეს მომენტი ნაკლებად იგრძნობა.

— ამას ისიც ემატება, რომ ძირითადად თანამედროვე ტექსტებს თარგმნიან, რომლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

— გააჩნია, თუ „ფენტიზიზე“ ვლაპარაკობთ, მეტნაკლებად ერთნაირია, მაგრამ ვთქვით, ჯულიან ბარნსი არცერთ სხვა მწერალში არ აგერევა. სამწუხაროდ, ამ ავტორს არც თარგმნიან, რადგან კომერციული არ არის. სხვებზე რა უნდა ვთქვა, თავადაც სიამოვნებით გავაკეთებდი ბევრ რამეს, მაგრამ ვიცი, არ გამოიციმდა, რადგან გამოცემულს მოგებას ნაკლებად მოუტანს. ამიტომ, ასეთი ტექსტებისთვის, რასაც ნამდვილი ლიტერატურა ჰქვია, აუცილებლად უნდა არსებობდეს სპეციალური პროგრამები.

— ხომ არის ასეთი პროგრამები? სულ მახსენდება საფრანგეთის საელჩო, რომელიც ძალიან კარგად მუშაობს ამ მიმართულებით.

— დიახ, სხვათაშორის, სოფიკო ბენდიანიშვილმა სწორედ მათი დაფინანსებით თარგმნა ლუკეზი, და ეს თარგმანი ნობელის პრემიას უსწრებდა. ახლა დიუმას ცენტრის შეკვეთით პრუსტზე მუშაობს. პირველი ტომი თითქმის მზად არის.

— საინტერესოა. რატომღაც ყველა მთარგმნელი, ვისაც ვესაუბრებოდი, ამბობდა — სირცხვილია, პრუსტი რომ არ არის ქართულ ენაზე, — თითქოს სხვა ბევრი რამე იყოს ნათარგმნი.

— მართლა ბევრი რამ არ გვაქვს თარგმნილი, მაგალითად, დიკენსის „ოლივერ ტვისტი“. ამას წინათ თქვენს გაზეთში დავებეჭდე ფრაგმენტი ამ რომანიდან და ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ეს წიგნი არ გექნდეს-მეთქი. ზოგადად, ბევრი რამ უთარგმნელია და ბევრი — თავიდან სათარგმნი... ბოლო დროს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში უამრავი წიგნი გამოდის, მაგრამ მათ შორის ბევრი ძველი და უსუსური თარგმანია, ეტყობა, გამოცემილებს უჭირთ ახლის შეკვეთა და ასე გადანი იოლს; თუმცა ზოგიერთი თარგმანი უბრალოდ კომინალურია — მათი „წყალობით“ ადამიანს საერთოდ არასოდეს მოუწდება რომელიმე ავტორის ხელში ალებე.

— რაკი ამ თემას შეეხებთ, რას ნიშნავს თქვენთვის კარგი თარგმანი? ამაზე სულ არის დავა. როგორ უნდა მიხვდეს მკითხველი, რომ კარგ თარგმანს კითხულობს?

— ისეც ვახსენებ ჭელიძეს გავიხსენებ, რომელიც ხშირად გვიმეორებდა გერონტი ქიქოძის სიტყვებს — უნდა იფიქრო, როგორ იტყოდა ამას მწერალი, ქართველი რომ ყოფილიყო, თუმცა, აქ დიდი ტაქტიკა საჭირო. ზედმეტი გადმოქართულება ტექსტს არ უხდება. ამგვარი ტაქტიკა და უდიდესი ოსტატობით თარგმნიან ივანე მაჩაბელი, ივანე მაჭავარიანი, გერონტი ქიქოძე, ვახუშტი კოტეტიშვილი... ვახუშტის „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“ ის წიგნია, რომელიც მრავალი თაობისთვის საშაგალითო იქნება... თარგმანი კარგია, როცა ტექსტს ლაღად კითხულობ, ყურს არაფერი გჭრის და ამასთან, შენარჩუნებულია მწერლის განწყობა და სტილი. ჩემთვის აქ რეცეპტები არ არსებობს. ყველაფერს ალო განაპირობებს. ამიტომ ვამბობ, რომ მწერლის შემოქმედებაში უნდა ჩაყვინთო, სწორედ ამ დროს მოდის მისი სტილი. გაუცნობიერებლად, თავისით გადმოგაქვს.

— ტექსტი ან ავტორი, რომელსაც თქვენი სურვილით თარგმნიდით.

— ეგეთი არც ისე ცოტაა... ერთ-ერთი არის დიკენსი... სიამოვნებით ვთარგმნიდი კიდევ ერთხელ ჰემინგუის, ფოლკნერის ზოგიერთ მოთხრობას, სტაინბეკის მოთხრობებს... თანამედროვეებიდან — ბარნსს. შეიძლებოდა ფიქრი მიაკლქანინგზე — მისი რომანი „საათები“ ფართო საზოგადოებისთვის უფრო ფილმით გახდა ცნობილი. ბარნსის ერთი მოთხრობა გადმოვაქართულე, მაგრამ უკმაყოფილო ვარ, რადგან ორიგინალი იყო ძალიან მძიმე, თუმცა ბარნსს აქვს მსუბუქი ოპუსებიც. მაგალითად, ნერილი, რომელიც თავის დროზე „ქომაგში“ დაიბეჭდა და ახლა მისი მოსულიშვილთან დევს „არმურზე“. ძალიან კარგი ტექსტია — აი, ეგ არის ბარნსი, ლალი, იუმორით აღსავსე. მე და ზალ სამადაშვილ-







შუალბამი კარგა ხნის გადასული იყო. ღამის რესტორანი, ბროდვეის სიღრმეში რომ მდებარეობდა, ახლო-მახლო თეატრებიდან გამოსულ ხალხს აევსო. ერთ მაგიდასთან ექვსიოდე კაცი ვახშობდა და საშინლად ხმაურობდა. რესტორნის მეპატრონემ სამჯერ აუარ-ჩაუარა მათ და თავაზიანი გამაფრთხილებელი მზერით შეხედა. მოყაყანენი ამან ვერ დააშოშმინა, — ჩანდა, დავის საგანი მეტად ცხოველი ჰქონდათ.

მოდვე ექვსეულში მაყურებლის დაკვირვებული თვალი „კეროლ კომედი კომპანის“ თეატრალური დასის წევრებს ამოიცნობდა. ოთხი მათგანი მსახიობი იყო. მეხუთე გახლდათ კომედიოგრაფი, რომლის ვოდვილი „მხიარული მოარშიყე“ იმჟამად დიდი წარმატებით იდგმებოდა ქალაქის რამდენსამე ვარიანტებში. გუნდის მეექვსე წევრს კი, მართალია, ხელოვნებასთან არაფერი ესაქმებოდა, მაგრამ ნაცნობ თეატრალურ ტრაპეზზე მინც მიეპატიჟებინათ. მას უკვე მოესწრო და უთვალავი მსუყე კიბორჩხალა შეესახსნა.

თანამეინახეთა კამათსა და გნიასს ბოლო არ უჩანდა. ერთი ახალგაზრდა კაცი კი ხმას მაშინ თუ ამოიღებდა ხოლმე, როცა იძულებული ხდებოდა პასუხი გაეცა გაცხარებულ თავდამსხმელთაგან სეტყვასავით დაშენილ კითხვებზე. ეს იყო „მხიარული მოარშიყეს“ კომედიური როლის შემსრულებელი ჭაბუკი. მას თავისი პროფესიისთვის ერთობ შეუფერებელი სევდიანი სახე ჰქონდა. სუფრის ოთხ წევრს გააფრთხილებელი სიტყვიერი ომი გაემართა მის კლარის კეროლთან — ამ პატარა თეატრალური დასის კაშკაშა ვარსკვლავთან. ნაღვლიანი კომიკოსის გარდა ყველა მის წინააღმდეგ შემართულიყო, აღშფოთებული ჰკიცხავდნენ აქტრისას და რაღაც დიდ უსაქციელობაში სდებდნენ ბრალს. ვინ იცის, მერამდენედ ეუბნებოდნენ: „სულ შენი ბრალია, კლარის, შენი — შენ გვიფუჭებ სცენას. რა მოგდის ბოლო ხანს? თუ ასე გააგრძელებ, სექტრი უეჭველად მოიხსნება“. მის კეროლი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ოთხეულს. ჩვეულ სიფიცხეს, გაღელი წინაპრებისგან რომ გამოჰყოლოდა, ადვილად გამოჰყავდა წონასწორობიდან. დიდრონი თვალეები ქალს მრისხანებით უელავდა. მისი ნატიფი მკლავები კი, არტისტულად რომ აქნედა აქეთ-იქით, კარგს არაფერს უქადდა მაგიდაზე დაწყობილ ჭურჭელს. აქტრისას წკრიალა ხმა, იშვიათი და გამორჩეული სოპრანო ახლა უსიამოვნო წივილად გაისმოდა.

ოთხი თავდამსხმელის შეტევა მის კეროლმა მოიგერია თავისი ტკბილი ხმით, თუმცა ბროდვეის რესტორნისთვის დაუშვებელი ტონით. ბოსლოს და ბოლოს კრიტიკოსებმა ის, როგორც ქალი და როგორც მსახიობი, წყობიდან გამოიყვანეს. აქტრისამ ავაზასავით ისკუპა და ხელის ერთი დიდებული მოსმით მათ თავზე გადაამსხვრია ექვსიოდე თევზი და ჭიქა. ისინი ფეხზე წამოცვივდნენ გაცხარებულნი. კომიკოსმა ამოიოხრა და კიდევ უფრო დანაღვლიანდა. რესტორნის მეპატრონე სწრაფი ნაბიჯით გაეშურა მაგიდისკენ და იქ მსხდომთ სთხოვა, შერიგებულიყვნენ. მას ყური არ ათხოვეს. მალე ისეთი აურზაური და ღრიანცელი ატყდა, რომ წესრიგის დასამყარებლად საჭირო გახდა ისევ სწრაფად ელონათ რამე, როგორც ეს ერთ დროს ჰაავაში<sup>1</sup> მოხდა. რესტორნის მეპატრონემ მოთმინება დაკარგა. მან ხელით რაღაც ანიშნა მიმტანს. ის კარში გაუჩინარდა. ოციოდე წუთში მოჩხუბარმა ექვსეულმა პოლიციის განყოფილებაში ამოყო თავი. თანამეინახენი ფილოსოფიური იერსახის ჭადრა პოლიციის სერჟანტს წაუყენეს.

„წესრიგს არღვევდნენ რესტორანში“, განაცხადა პოლიციელმა, ამ გუნდს რომ

შემოუძღვა განყოფილებაში.

„მხიარული მოარშიყე“ — ავტორი წინ წამოდგა. კომედიოგრაფს პენსნე ეკეთა. საღამოს გამოსასვლელ კოსტიუმში გამოწყობილიყო, ფეხსაცმლისთვის მზინავი ლაკი გადაესვა, თუმცა ძველი დამწვრობის კვალს ის მაინც ვერ უმაღავდა.

ბატონო სერჟანტო, — დაიწყო მან ბოხი ხმით, რომლითაც აქტიორ ირვინგს<sup>2</sup> მოგაკონებდა, „პროტესტს გამოვთქვამ ჩვენი დაკავების გამო. მე და ჩემი მეგობარი მსუბუქად ვვახშობდით მსახიობებთან ერთად, ჩემს პიესაში რომ არიან დაკავებულნი. ცხარედ ვკამათობდით და ვცდილობდით, დაგვედგინა, რომელი



ო'ჰენრი

## არია და პოლიციის სერჟანტი

მათგანი აგებს პასუხს სკეტრის იმ სცენაზე, ბოლო დროს ძალზედ უდიდამო რომ გახდა და რომლის გამოც წარმოდგენა შეიძლება რეპერტუარიდან მოიხსნას. შესაძლოა, ზომიერ მეტად ვხმაურობდით და რესტორანში მსხდომთ ხელს ვუშლიდით, მაგრამ, მერწმუნეთ, იმან გაგვაცხარა, რომ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს ვიხილავდით. როგორც ხედავთ, ჩვენ არც მთვარელები ვართ და არც შფოთისთავებს ვგავართ. ვიმედოვნებ, საქმეს არ აღძრავთ და ნებას დაგვრთავთ, შინ წავიდეთ.

„ვინ უყენებს მათ ბრალს?“ — იკითხა სერჟანტმა.

„მე“ — გაისმა უკნიდან თეთრწინაფერიანი მიმტანის ხმა. „მე გამომგზავნეს რესტორნიდან. ამ ბრბომ იქ ერთი აყალმაყალი ატეხა და ჭურჭელი დაამსხვრია.“

„ჭურჭლის საფასური უკვე გადავიხადეთ“, — განმარტა კომედიოგრაფმა. „მინდა იცოდეთ, რომ ის განზრახ არ დაგვიმტვრევია. იმ კრიტიკის პასუხად, სცენის ჩავარდნის გამო რომ დავატყვეთ თავს, განრისხებულმა მის კეროლმა...“

„ტყუილია, სერჟანტო“, — დაიძახა წერილი ხმით მის კლარის კეროლმა და სერჟანტის მაგიდის წინ გამოვარდა. ქალი გრძელ ნაბლისფერ ლაბადასა და ნითელ ფრთებგარჭობილ ქუდში გამონკეპილიყო.

„სულაც არ არის ჩემი ბრალი“, — განაგრძო აღშფოთებულმა ქალმა. „რა უსამართლობაა ამის განცხადება! პირველივე წარმოდგენიდან პიესაში მთავარ როლს ვთამაშობ, და თუ გსურთ შეიტყუოთ, ვინ განაპირობა მისი წარმატება, ჰკითხეთ მაყურებლებს, — დიას.“

„მის კეროლი ნაწილობრივ სიმართლეს ამბობს“, — განაცხადა პიესის ავტორმა.

„მართლაც, უკვე ხუთი თვეა, ვოდვილი ქალაქის საუკეთესო თეატრების სცენიდან არ ჩამოდიხ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ორი კვირაა, სპექტაკლი მაყ-

ურების მონონებას აღარ იმსახურებს.“

პიესის ერთ სცენაში მის კეროლმა თავდაპირველად დიდი საშემსრულებლო ოსტატობა კი გამოამჟღავნა, სერჟანტო, მაგრამ ბოლოსხანს სულ გააფუჭა ის, აქტრისა თავის თავს აღარ ჰგავს და როლს ძველებურად კარგად აღარ ასრულებს“.

„ჩემი ბრალი არ არის“ — თავისას არ იშლიდა მსახიობი ქალი.

„როგორ, განა ამ სცენას მხოლოდ ორნი არ თამაშობთ“ — გაცხარდა კომედიოგრაფი, — „თქვენ და დელმარსი, აქ...“

„ჰოდა, სწორედ მისი ბრალია“ — მიუგო მის კეროლმა მუქი თვალის დამცინავი მოელვარე მზერით. კომიკოსმა დაიჭირა ეს გამოხედვა და უფრო დაღვრემილი მიაშტერდა პოლიციის სერჟანტის მაგიდის პანელზე.

ჩვეულებრივი ერთფეროვანი, მოსაწყენი ღამე იყო პოლიციის განყოფილებაში. სერჟანტს თითქოს გაეღვიძა ცნობისმოყვარეობა, კარგა ხნის წინ რომ მისძინებოდა.

„თქვენ უკვე მოგისმინეთ“ — მიმართა მან პიესის ავტორს. შემდეგ კომპანიის მსახიობს, ნატიფი ნაკეთებისა და ასკეტის გამომეტყველების ლედის მიუბრუნდა, პატარა კომედიამი „დეიდა თალგამს“ — ს რომ ანსახიერებდა.

„თქვენ რას ფიქრობთ, ვინ აფუჭებს ამ სცენას, ა?“ — ჰკითხა მას.

„არ მინდა, ვინმეს აუცი დამცდეს! თუ ვამბობ, რომ კლარის ამ სცენაში უფერული გახდა, ამით მსახიობის შესრულებას ვინუნებ და არა საკუთრივ მას. ოდესღაც ის დიდებული იყო ამ როლში“. „ახლა კი, თითქოს რაღაც უშლის ხელსო, საშინლად

თამაშობს. სპექტაკლი წარმატებული ვერ იქნება, სანამ ის ასე გააგრძელებს“.

სერჟანტმა კომიკოსს შეხედა.

„როგორც კომიკოსი, მხოლოდ ორნი მონაწილეობთ ამ სცენაში, თქვენ და ქალბატონი. ვფიქრობ, აღარც კი უნდა გკითხოთ, ვინ აფუჭებს მას?“

კომიკოსმა მის კეროლის თვალების ორი უძრავი ვარსკვლავიდან წამოსულ გამჭორ სხივებს თვალს ახრიდა.

„ვერაფერს გეტყვით“. — მიუგო მან და თავისი ლაკირებული ფეხსაცმლის ცხვირებს დააცქერდა.

„თქვენც მსახიობი ხართ, არა?“ შეეკითხა სერჟანტი ჯუჯა ჭაბუკს, შუახნის კაცის იერი რომ ჰქონდა.

„განა ამას კითხვა უნდა?!“ — იწყინა ბოლო ტრაგიკოსმა მონწილე. „წუთუ ერთხელ მაინც არ გინახივართ სცენაზე კალის ხელშუბით ხელში? წუთუ არასოდეს გსმენიათ ჩემი ძახილი: „გზა, გზა მიეცი იმპერატორს!“ ვფიქრობ, იმდენი ხანია, ხელოვნებას ვემსახურები, რომ უნდა მიცნობდეთ“.

„თქვენი აზრით, თუკი, რა თქმა უნდა, გაგაჩნიათ იგი, — განაგრძო სერჟანტმა, — სცენის ჩავარდნა ვისი ბრალია, ქალბატონის თუ მისი პარტნიორი ჯენტლმენის? შუახნის შესახედაობის ჭაბუკმა უხერხულობა იგრძნო“.

„მიმძიმე ამის თქმა“, — მიუგო მან, — „მაგრამ ამ სცენაში მის კეროლმა მართლაც კლასი დაავდო. პიესის დანარჩენ ეპიზოდებში ის შეუდარებელია და ყველაფერი რიგზეა, თუმცა — თუმცა, მერწმუნეთ, სერჟანტო, აქტრისას შეუძლია ამის გამოსწორება — ის ხომ ერთნაირი ოსტატობით თამაშობდა მთელ სპექტაკლს — და კვლავაც შესძლებს ამას.“

მის კეროლი წინ გამოვარდა, ანითელბული და ათრთოლებული.

„მადლობელი ვარ, ჯიმი, ძლივს კეთილი სიტყვა არ დაგცდათ ჩემზე ბოლო დღეების მანძილზე“. — იყვირა მან. შემდეგ გაბრაზებული სახით სერჟანტის მაგიდისკენ მიტრიალდა.

„მინდა დაგიმტკიცოთ, სერჟანტო, რომ განკიცხვის ღირსი არა ვარ. სხვებსაც ვავაგებინებ, რატომ ველარ ვასრულებ როლს ძველებურად.“

აქ მოდით, მისტერ დელმარს. დაიწყეთ. სერჟანტო, ნებას დაგვრთავთ, არა?“

„რა დრო დაგჭირდებათ?“ — იკითხა სერჟანტმა ყოყმანით.

„მხოლოდ რვა წუთი“. — უპასუხა პიესის ავტორმა. — „მთელი პიესა სულ ოცდაათი წუთი გრძელდება“.

„შეგიძლიათ დაიწყოთ“, — დათანხმდა სერჟანტი. „როგორც ვხედავ, უმრავლესობა ამ პატარა ქალბატონის წინააღმდეგი ხართ. მოდით, ვიდრე დაგძრახავთ და რამეს ვუსაყვედურებთ, ვნახოთ, რის ჩვენებას ვთავაზობს აქტრისა. ვინ იცის, იქნებ ჰქონდა მას საიმისო მიზეზი, რომ რესტორანში ორიოდ ლამბაქი დაემსხვრია“.

იქვე მახლობლად პოლიციის განყოფილების დიასახლისი იდგა და ყურს უგდებდა უცნაურ კამათს. მან უფრო ახლოს მოინია და სერჟანტის სკამთან გაჩერდა. ოთახში მთქნარებით შემოეხეტა თადარიგის ორი თუ სამი ზორბა თანამშრომელიც.

„სერჟანტო, სანამ მსახიობები სცენას გაითამაშებენ და დასკვნას გამოიტანდეთ“, — დაიწყო პიესის ავტორმა, — „ვინაიდან „მხიარული მოარშიყე“ წარმოდგენას არასოდეს დასრულებს, საჭიროდ მიმაჩნია, მისი მოკლე შინაარსი გაგაცნოთ. პიესა ერთაქტიანი მუსიკალური კომედიაა — ფარსი, პაროდია. როგორც სათაურიდან ჩანს, მის კეროლი ასრულებს ერთი მხიარული, ქარაფშუტა, თავკერძა და უგულუო მოარშიყე დრიადას როლს. ბუფონადა ისეა ჩაფიქრებული, რომ პერსონაჟის ხასიათი და კეკლეცობის იდეა მან მთელი კომედია მანძილზე უნდა შეინარჩუნოს და წარმოაჩინოს“.

„იმასაც გეტყვით, რომ სცენას, რომელშიც მის კეროლს შესრულებას ვუწუნებთ, „გორილას ცეკვა“ ჰქვია. აქტრისას ჩაცმულობით მიხვდებით, რომ ის ტყის ნიმფას, დრიადას ანსახიერებს. დრიადა შესანიშნავად ეცეკვება და ეთამაშება გორილას, — აი, კომიკოსი მისტერ დელმარსი რომ ასრულებს. სცენაზე კი ტროპიკული ტყეა წარმოდგენილი.“

წესით მათ ოთხჯერ, ხუთჯერ მაინც უნდა გაუმართოს ოვაცია მაყურებელმა! აქ მთავარია ცეკვა-თამაში — ყველაზე სახალისო სანახაობა, რაც კი იმართება ნიუ-იორკში ბოლო ხუთი თვის მანძილზე. დიდი წარმატება ხვდა დელმარსის არიას „ტყის ქოხში ნაფიყვან საალერსოდ“. არიის შესრულებისას ის და მის კეროლი ტროპიკულ მცენარეებს შორის დახტიან და თვალუჭობანას თამაშობენ“.

„მამ, ახლა რა ხდება, რა აღარ მოგწონთ?“ — იკითხა სერჟანტმა.

„ახლა მის კეროლი ისე საშინლად თამაშობს შუა სცენაში, რომ მეტიც არ შეიძლება“.

აქტრისამ ცოცხალი მკლავები ველურივით აიქნია, მაყურებელთა მცირე ჯგუფი უკან დასწია და მაგიდის წინ სივრცე გაანთავისუფლა — მას სურდა სცენა წარმოედგინა და თავისი უბრალოება დაემტკიცებინა. შემდეგ გრძელი ნაბლისფერი ლაბადა გაიძრო და ხელში მიუგდო პოლიციელს, კვლავ ერთ ადგილზე რომ იდგა გაშეშებული.

მის კეროლს ლამაზი ლაბადა ზედ ტროპიკული ტყის ნიმფას კოსტიუმზე მოესხა და ისე წამოსულიყო სავახშმოდ. აქტრისას გვირგვინის ფოთლების ქვედატანის გამოუჩნდა, რომელიც მუხლებამდე სწვდებოდა; ისე იყო ათასფრად აჭრელეული, კოლიბრს ნაავავდა.

მან გამოაგნებელად, ფანტასტიურად იცეკვა, ისე ცოცხლად, მსუბუქად და თავბრუდამხვევად, რომ „კეროლ კომედი კომპანის“ მსახიობებმა, იმჟამად მაყურებლებმა, თავი ვერ შეიკავეს და ჯერ სცენა არ დასრულებულიყო, რომ მსახიობი ქალი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

მალე დელმარსის გორილას გამოჩნდა. საშინელი ტლანქი ნახტომით მან ტყის ნიმფასკენ ისკუპა. პოლიციის ჭადრა სერჟანტს ამის დანახვაზე ისეთი უცნაური სიცილი აუტყდა, გეგონებოდათ, ბოქლოში გასაღებმა გაიჩხაკუნაო. მსახიობებმა „გორილას ცეკვა“ დაასრულეს და მაყურებელთა საერთო მონონება დაიმსახურეს.

შემდეგ დაიწყო სცენის ყველაზე პიკანტური ნაწილი — გორილას არმიყობა დრიადასთან. ესეც ერთგვარი ცეკვით იყო გამოხატული — უჩვეულო და სახალ-

<sup>1</sup> იგულისხმება სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც გაიმართა ჰაავაში 1899 წელს. კონფერენცია ომების დაწყების, წარმოების და შეიარაღების საკითხებს ეხებოდა. მიღებულმა კონვენციებმა დაამკვიდრა ომის წარმოების თანამედროვე წესები, რომელთაც უმეტესწილად სავალდებულო ხასიათი აქვთ. კონფერენციაზე შეიქმნა მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლო.

<sup>2</sup> ჯონ ჰენრი ირვინგი (1838-1905), ინგლისელი მსახიობი, დრამატული და ტრაგიკული როლების ცნობილი შემსრულებელი. სახელი გაითქვა შექსპირის პიესებში თამაშით. 1883-1884 წლებში საკუთარ თეატრალურ დასთან ერთად იმოგზაურა ამერიკაში, სადაც მას არაჩვეულებრივად დახვდნენ. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი აღწერა მისმა მდივანმა ჰატონმა ნიგში „ჰენრი ირვინგის ამერიკული შთაბეჭდილებანი“.



ისო სანახაობა, ნიშნავს კეკლეუცობითა და გაპრანჭვით გამორჩეული, რომელსაც თან ახლდა გორილას სიმღერა „ტყის ქოხში წაგიყვან სააღერსოდ.“

არია დელმარსმა დიდი გრძნობით შეასრულა. მართალია, შინაარსით ის არ ბრწყინავდა, ისევე როგორც მთლიანად პიესა, მაგრამ, სამაგიეროდ, მუსიკა იყო საუცხოო. მსახიობის ძლიერი ტენორი კი ისე ამშვენებდა მას, რომ სიმღერის უაზრო სიტყვების გამო კაცს გული დასწყდებოდა.

სანამ დელმარსი არიის პირველ სტროფს მღეროდა, დრიადა თამაშობდა ისე გროტესკულად, როგორც ამას კომედია ითხოვდა, აი, მეორე სტროფს შუაში კი ის უცებ გაქვავდა და უცნაური გემოვნებით გაიტაცა, გაირინდა და სცენისეულ ტყის სიღრმეს გამტერებით მიარჩერდა. ბოლოს გორილამ მის ფეხებთან ისკუპა, მუხლებზე დაეცა, ხელი ჩასჭიდა დრიადას და მანამ არ გაუშვა, სანამ არ მიყოფიდა და დაასრულა. ეს ლირიული სცენა ისე არაბუნებრივად გამოჩნდა ამ გასართობ, სახალისო წარმოდგენაში, როგორც საგოზავის ნატენში ჩასმული ალმასი.

დელმარსმა სიმღერა დაასრულა, მის კეროლმა თამაშის გაგრძელება დააპირა, მაგრამ უეცრად თვალთავან ცრემლის ღვარი წასკდა და სახე ხელებში ჩამალა.

„აი,“ — წამოიყვირა პიესის ავტორმა შეურაცხყოფილი კაცის შესტიკულაციით „აი, სად ფუჭდება სცენა, სერჟანტო. აი, რა ხდება ორი კვირაა ყოველ წარმოდგენაში! რამდენი ვეხვეწე აქტრისას, თავს ოფელიად თუ ჯულიეტად ნუ წარმოიდგენ-მეთქი, მაგრამ გაგიგონია? ახლაც ვერ ხვდებით, რამ გაგაცხარა, რატომ ვერ შევიკავებთ თავი? გსმენიათ ასეთი რამ? გორილას სიმღერამ როგორ უნდა აგირყოს გული! ასე ხომ ჩემი პიესის ჩანაფიქრი იკარგება!“

ტყის ნიშნავ, გამორკვეული ჯადოსა თუ, კაცმა არ იცის, რისგან, უცბად აენთო და საჩვენელი თითი დელმარსისკენ გაიშვარა.

„თქვენი — თქვენი ბრალია ყველაფერი“. — დაიყვირა ველურივით, „წინათ ასე არ ასრულებდით ამ არიას. აი, რაში ხართ დამნაშავე“.

„გასაგებია“, — თქვა სერჟანტმა. პოლიციის განყოფილების ჭალარა-შერეულმა დიასახლისმა, სერჟანტის სკამს უკან რომ იდგა, წინ წამოინია.

„ამ ხნის ქალმა როგორ უნდა გასწავლოთ, ა?“ — გაიკვირვა მან, მის კეროლთან მივიდა და ხელი გამოართვა.

„ჭაბუკი თავის გულს ვთავაზობს, საყვარელო. რატომ ვერ მიუხვდი მაშინვე, როგორც კი მისი სიმღერა გაიგონე? მაიმუნის ამ ხტუნვა-თამაშში რაც იმალება, მე გამომეპარება?! რამ დაგამუნჯა და დაგაბრმავა, ა? აი, რატომ ვეღარ თამაშობ როლს, შვილიშვილი. მითხარი, გიყვარს ის, თუ გასურს, ასეთივე გორილად დარჩეს შენთვის ცხოვრებაში?“

მის კეროლი შემოტრიალდა და ელვარე მზერა მიაპყრო დელმარსს. ნაღვლიანი კომიკოსი მისკენ გამოემართა.

„გაიგონეთ, მისტერ დელმარს?“ — ჰკითხა მას სუნთქვაშეკრულმა ქალმა. „გაიგონე, კი“ — მიუგო კომედიანტმა. — „ყველაფერი მართალია. შევეცადე ჩემი გრძნობა სიმღერით გამემჟღავნებინა. რას ვიფიქრებდი, ამის ახსნა თუ საჭირო გახდებოდა.“

„სულელი!“ — მიუბრუნდა დიასახლისი დელმარსს. — „პირდაპირ ვერ ეტყოდ?“

„რა, რას ამბობთ“ — წამოიძახა ქალმა, — „მან საუკეთესო გზა აირჩია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, — მეც ამას ვნატრობდი, ბოზი.“

ტყის ნიშნავ ვაჟისკენ მწვანე კალიასავით ისკუპა. კომედიანტმა ხელები გაშალა და — გაიბადრა.

„მოუსვი აქედან!“ — დაუღრიალა პოლიციის სერჟანტმა ოფიცინანტს. — „აქ შენ არაფერი გესაქმება.“

ალექს პეტროვსკი

როგორ არ შემაღარეს საფერფლეს

კვირას, როგორც ყოველთვის, მონყენილი და მარტო ვიყავი და სინდის ზარმა ძალიან გამახარა, თუმცა, როგორც მერე აღმოჩნდა, სულ ტყუილია.

—მატილდა, მითხარი, ყველა მამაკაცი ასეთი სირი რატომაა? - დაინტერესდა ჩემი მეგობარი და თან ცხარე ცრემლებს ადვარღვარებდა.

— ამ საკითხზე, ჩვენ, ქალები, უკვე რამდენიმე ათასწლეული ვფიქრობთ, - ვუპასუხე, სიჩუმე რომ დამერღვია.

— არ ვიცი, რატომ არიან სირები, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ არიან!

— წარმოგიდგენია, — დაიწყო სინდის დეტალურად მოყოლა, — ერთმა სირმა გაცნობის საიტზე განცხადება დადო. არანორმალურად ლამაზი, უზომოდ მდიდარი, სექსუალურად დაუღალავი...

— იტყუება, — დავდე ავტორიტეტული ექსპერტის დასკვნა, — ერთი-ორ ასეთთან საქმე უკვე მქონდა, — სინამდვილეში ორ ათეულთან, მაგრამ მეგობართან ამის გამხელის შემრცხვა.

— საქმეც ეგაა, რომ არ იტყუება, — სინდის სლუკუნი მოთქმამი გადაიზარდა — ყველაფერი სიმართლეა! მაგრამ უბედურება ისაა, რომ არარეალური მოთხოვნები აქვს!

— ნუ, თუ მდიდარია, ლამაზია, იმპოტენტი არაა, ნატურალია, შეუძლია ნებისმიერი აირჩიოს. ცუდადაა შენი საქმე. შანსი არ გაქვს.

— ახლა, ნაღდად აღარ მაქვს! იმიტომ, რომ სირია!

— რა, ჭკვიანი და მდიდარი ლამაზმანი უნდა?

— არამწველი ქალწული უნდა.

— რა, ამისთანა გოგოს ინტერნეტში ეძებს და თანაც გაცნობის საიტზე? — გაიკვირვე მე.

— ის ლამაზია, მდიდარი, მაგრამ იდიოტია. და, საეთოდ, სირია!

— ჰოოო. ნუ ბღავი! ნესიერად ამიხსენი რა მოხდა! ამ გაუგებრობაში როგორ ამოყავი თავი? შენ ხომ ნიკოტინით გაჟღენთილი ხარ, და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალიშვილი გყავს, არც ქალწულობის პერსპექტივა გაქვს.

— ჰიმენოპლასტიკა რისთვის გამოიგონეს? სწორედ ეს არ არის პრობლემა. მომხსინე.

— ჰოოო, მორჩი ტირილს და გისმენ.

— პირველი პაემანი კაფეში გქვონდა...

— მეორე?

—მატილდა, ნუ მანყვეტინებ! მეორე არ იყო. და არც იქნება. იმიტომ რომ ნამდვილი სირია!

— გააგრძელე, გისმენ, — ამოვიოხრე მე.

— მოკლედ, შეგხვდი. შევეკვეთეთ მაგიდა. მეკითხება, ქალიშვილი ვარ თუ არა. ვუპასუხე, ვარ-მეთქი. მეკითხება, ვენწვე თუ არა. ეს სირი თურმე თამბაქოს სუნს ვერ იტანს. ვუპასუხე, ვერც მე ვერ ვიტან და ცხოვრებაში არ მომიწევია-მეთქი! მან კი სტაცა ჩემს ჩანთას ხელი და სიგარეტი ამოუნა.

— გამაგიჟებ, ჩანთაში ქექვის უფლება მიეცი?

— თავიდან არ მივეცი. მაგრამ, მითხრა, თუ ასეა, ნავალ და რაც შეეუკვეთე, იმის გადახდა შენ მოგინებსო.

— ეგ პირუტყვი! — აღვშფოთდი მისი თავხედური შანტაჟით.— მართლა სირია! მერე?

— გადავადგე სიგარეტები და დავპირდი, რომ აღარასოდეს მოვწვევდი. დამიჯერა.

— ჰოოო გადასარეგია!

— მოიცადე! ნავედი ტუალეტში და გზად სიგარეტს ვიყიდე. მაგრამ როცა ცდილობ ჩუმიად მონი, ყოველთვის რალაც გემართება. მოკლედ, ვერფლი ვადამყვარა კაბაზე და თან ახალი კოლპოტები რამდენიმე ადგილზე ამოვწვი. და ყველაფერი ამ სირის გამო!

— ქვეყანა არ დაქვეულა. ვერც ერთი სირი ვერ ამჩნევს დახეულ კოლპოტებს.

— ვერც შეამჩნია. მაშინვე ჩემ ჩანთას ეცა და სიგარეტი იპოვნა.

— კარგი, იპოვა და რა მერე?

— მითხრა, რომ გინდა მწველი ქალისთვის გიკოცნია და გინდა საფერფლე აგილოკიო. და ნავიდა. გეუბნები, სირია!

— მაგასთან რომ არ მოგენია, არ შეგეძლო?

— ვითომ, რატომ? არც ერთი სირი ამ მსხვერპლს არ იმსახურებს!

ყურმილი დავდე და დავფიქრდი. ნუთუ შეიძლება, რომ ვიღაც სირმა, თუნდაც გონებაში, შეადაროს საფერფლეს ქალი, ნებისმიერი ქალი!

ფიქრებიდან ზარმა გამომიყვანა. კარი გაღვდა და ჩემს სახლში შემოიჭრა ვინმე ჯერი. რასაკვირველია, ისიც სირი!

— გამარჯობა, მატილდა! — მომესალმა, — სამინელი პრობლემა მაქვს და უნდა

დამეხმარო.

— შენი პრობლემა — მერე. ჯერ ეს მითხარი, მწველი ქალის კოცნა საფერფლის ალოკვას ნიშნავს?

— მატილდა, ამის გარკვევას სხვასთან რატომ ცდილობ? ადრე რამდენი გოგოსთვის გიკოცნია? და კოცნაზე უფრო მეტიც არ ყოფილა?

— არ მეგონა ამის შესახებ თუ იცოდი, — გავწითლდი. — მართლა, საიდან იცი? მაშინ ხომ არ ვიცნობდით ერთმანეთს!

— ეჰჰ, ჩემო მატილდა! ლესბოსური გამოცდილება ქალების ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს მაინც აქვს. თუმცა ამას შენსავით ადვილად არაფინ ალიარებს.

— უხ, შენი! — ამ სირს აღშფოთების გამოსახატად მეტი ვერაფერი ვუთხარი. ნეტა საიდან იცის?

— იცი, რა მაინტერესებს? — ჩაფიქრებულმა განაგრძო ჯერი. — სტატისტიკის ის ერთი პროცენტი ვინაა? მახინჯები, ვისთანაც არავის უნდა, თუ ლამაზმანები, რომლებმაც ადრე გაუსინჯეს მამაკაცს გემო? მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, დავუბრუნდეთ ჩემს პრობლემას...

— არა, ჯერი! ჯერ ის, რაც მე მაინტერესებს!

— საფერფლეზე? მეგონა, ყველაფერი გავარკვეით.

— არაფერიც არ გავგვირკვევია!

— აბა? შენ კოცნიდი ქალებს. ზოგი ენოდა და ზოგიც არა. ჰოოო, გაიხსენე, რა შეგრძნება გქონდა.

— არ მახსოვს!. ვეცადე ეს საშუალოდ დამეინყებინა და გამომივიდა კიდევ, სანამ შენ არ გამახსენე! — ამ ნუთუმი ეს სირი მეზიზღებდა.

— აი, ხედავ, გაიხსენე. ახლა გაიხსენე შეგრძნებები და ისევე საშუალოდ დაივიწყე.

ახალგაზრდობის თავპირიანი და გიჟური საქციელის დანვრელებით გახსენება კატეგორიულად არ მიწოდდა.

— ჯერი, ამ შეგრძნებების ობიექტური განაალიზება არ შემიძლია. კოცნის შეგრძნებაზე პირადი დამოკიდებულებაც ახდენს გავლენას.

— ვერ გავიგე, — გაოცდა ჯერი. — ეს როგორ? სექსუალური კოცნის დროს რა პირადი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს?

— რატომ აუცილებლად სექსუალურზე? შენ თავში მარტო სექსი გიტრიალებს!

— აბა, სხვა რანაირი კოცნა არსებობს?

— სხვადასხვანაირი! — ჩაფიქრდი. — მაგალითად იუდაი ქრისტეს აკოცა.

— იესო არ ეწოდა და არც ქალი იყო. ასე რომ, ცუდი მაგალითი მოიყვანე. მოკლედ, თუ კოცნი, გამოდის ქალი მოგონოს.თუ ქალი გეზიზღება, მაგრამ მაინც უნდა აკოცო, სულ ერთი არ არის, ეწვეა თუ არა?

— კარგი, ჯანდაბას, — დავუთმე. ჩვენ ქალები, საერთოდ, დამთმობები ვართ. — მაგრამ ჩემი ახალგაზრდული გამოცდილება საკმარისი არ არის. საფერფლეს მწველ ქალს ადარებენ და არა გოგოს! მე კი მხოლოდ გოგოებთან, გაიგე?

— გაიგე. და ისიც გაიგე, რომ ჩემი პრობლემის გადაჭრას არ ვაპირებთ, — თქვა მოწყენილმა ჯერიმ.

— ჯერი, ჩემო საყვარელო! — შემეცოდა. საერთოდ, ჩვენ ქალები, ძალზე გულჩვილები ვართ. — მოდი, ჩემი პრობლემა გადავჭრაო, გავარკვეით ამ ოხერი საფერფლის ამბავი და მაშინვე შენ პრობლემას მივხედოთ.

— მოდი, — დამითმო ჯერიმ. — როგორ უნდა გავარკვეოთ?

— ახლა ნავალთ სინდისთან, აკოცებ და შენს აზრს გვეტყვი.

— მე ახლაც შემიძლია ჩემი აზრი გითხრა. წინასწარი. გული ამერევა.

— ეს იმიტომ, რომ არ გიყვარს.

— „არ მიყვარს“ რბილადაა ნათქვამი. თავად არ თქვი, რომ პირად ფაქტორს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობაო?

— მაშინ სხვა რამე მოვიფიქროთ, — თავი იღებოთ მქონდა გატენილი. — მე მოვწვევ. შენ კი მაკოცე.

— სად გაკოცო?

— ტუჩებში, შე გარყენილი! კიდევ სად კოცნიან ქალს?

— ქალს კიდევ კოცნიან... და დაიწყო ჩამოთვლა თუ სად შეიძლება აკოცო, მაგრამ სასწრაფოდ შევაჩერე.

— ჯერი, ნამდვილი იდიოტი ხარ! ბოლოს რომ თქვი, იქ რომ აკოცო ქალს, რა მნიშვნელობა ექნება, ეწვეა თუ არა?

—მატილდა, განსხვავება არის თუ არა, სწორედ ამის გარკვევა გვინდა.

— არა, ჯერი, შენ მხოლოდ ტუჩებში მაკოცე!

— ტუჩებში თუ გაკოცებ, რითი მონეე?

— შენი საქმე არ არის! თავად გავარკვევ რითი მოვწვევ!

— არა, ამ მარაზმს ვერ გადავიტან, — ვიღაცას შესჩივლა ჯერიმ. — თუმცა... თვალები აენთო. ჩემთან დაკავშირებით რალაც მზაკვრული აზრები მოუვიდა.

— რა „თუმცა“.

— მოდი! — ხმაც მკვეთრად შეეცვალა. — მაგრამ აქ საოცარი ამბავი ხდება. ჩემს შეგრძნებებს შენდამი პირადი დამოკიდებულება შეუშლის ხელს. ეს კი დაუშვებელია.

— და რას მთავაზობ? — დავიბენი.

— მოდი თავს მთავაგონებ, რომ საერთოდ არ გიცნობ! ამ შემთხვევაში ობიექტური ვიქნები.

— მაგრად მოიფიქრე, — გამიხარდა.

— აბა, ქალიშვილო, შევუდგეთ ექსპერიმენტს.

— შევუდგეთ. მომეცი სიგარეტი.

— ქალიშვილო, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მშვენიერო უცნობო, თქვენ ხომ არ გავიპოვებთ სტეპიათ, როცა ქალიშვილი გინოდეთ. ექსპერიმენტისთვის კი ქალი გვჭირდება. ამას წინათ ვილაცამ ასე მითხრა.

— გეფიცები, რომ ქალი ვარ და არა ქალიშვილი! ეს ხომ შენც კარგად იცი?

— მე თქვენ საერთოდ არ გიცნობთ. ასე რომ, ჯერ-ჯერობით ექსპერიმენტისთვის მზად არ ხართ.

— აბა, რა ვქნათ? — შევწუხდი.

— მშვიდად! საქმეს პროფესიონალი აკონტროლებს.

— ეს რაში ხარ პროფესიონალი?

— ქალიშვილების ქალად გადაქცევაში! ამისთვის საჭიროა...

ექსპერიმენტი რომ არ ჩავარდნილიყო, იძულებული ვავხდი დავთანხმებოდი. ბოლოს და ბოლოს რამდენი ხანია ვიცნობ, და კიდევ ერთხელ, არაფერი შეიცვლება.

(ოცტა ხნის შემდეგ ვთხოვე: — ჯერი, სიგარეტი მომეცი! დროა საქმეს შევუდგეთ.

— ეჭვი მღრღნის, — გამომიცხადა ამ სირმა. — არ გიყვირა!

— ცრუობ, ვეყვიროდი! და თანაც როგორ! — შენ ისე არ ყვიროდი, როგორც საჭირო იყო. შენ ორგანოსგან ყვიროდი, ქალიშვილები კი დეფლორაციისას ტკივილისგან ყვირიან.

— ჰოოო ძალიან კარგი. მე ქალიშვილი არ ვარ და შევუდგეთ საქმეს.

— არა. იქნებ დეფლორაცია ვერ მოხერხდა. და საერთოდ, პროფესიონალი ქილერები ყოველთვის საკონტროლო გასროლას აკეთებენ. აქ კი ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მე შენი ქალიშვილობა უნდა მოვკლა.

ჩემი ქალიშვილობა იმდენი ხნის წინათ მოკვდა, რომ სულ არ მეგრძობებოდა, ამიტომ მორჩილად დავდე თავი ბალიშზე და შევთავაზე:

— მიდი, თუ ასე აუცილებელია, ჩაკალი.

— ჩაკვლა ხდება თავში საკონტროლო გასროლით, — მითხრა ამ სირმა.

— ჩემს თავში თუ ჩემი ქალიშვილობის თავში? — უკვე აღარაფერი მესმოდა.

— შენს ქალიშვილობას თავი არ აქვს, — მითხრა მან. — ასე, რომ მოგვიწვევ შენს თავში.

ექსპერიმენტის შესამზადებელი საქმის სწრაფად დასრულება მიწოდდა და ამაზეც დავთანხმდი

—მატილდა, რა არაჩვეულებრივი ქალი ხარ, — წამოიძახა ექსტაზში ჯერიმ და კისერში მაკოცა.

— ჯერი, მომეცი ბოლოს და ბოლოს ეს ოხერი სიგარეტი და საქმეს შევუდგეთ, — ვთხოვე მე.

— არაფერი გამოვა, გულდანყვეტილმა მითხრა, —მატილდა, სულაც არ ვარ იმის წინააღმდეგი, რომ თუნდაც სიგარეტგარეტი ტუჩებში გაკოცო, მაგრამ შედარება არ შემიძლია.შენნაირი ქალის გულისთვისაც კი ვერ გავლოკავ საფერფლეს. ამის გაკეთება მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო.

— რომელ ადამიანს?

— იმას, ვინც ეს ფრაზა მოიფიქრა. ნამდვილ სირს.

ამაზე არდათანხმება არ შეიძლებოდა. თავიდან ამოვიგდე აზრები ამ სულელურ ექსპერიმენტზე.

— ჯერი, შენც ხომ პრობლემა გქონდა! — გამახსენდა — და ალბათ ასეთი სულელური არაა, არა? მომიყვივი, იქნებ დაგეხმარო?

— პრობლემა უკვე აღარ მაქვს, დაიტრახა ჯერიმ. - მე უკვე გადავჭერი ჩემი პრობლემა. შენ წარმოიდგინე, ორჯერაც კი. და შენ არაჩვეულებრივად დამეხმარე.

— შე პირუტყვი! როგორ გამაასულელე! - და ცხარე ცრემლებით ავტირდი. დაწყნარება დამიწყო, შემდეგ ბოდიშების მოხდა. ბოდიშებმა დილაზე გასტანა. თან ჩემი დახმარებით თავისი პრობლემა კიდევ რამდენჯერმე მოაგვარა. ეს საქმე კი მომწონს, მაგრამ ის მაინც სირია!



დასასრული

ვანო ჩაფიქრდა, რადგან გაკვეთილის ასეთ რთულ დასაწყისს არ ელოდა.

სანამ ვანო ქართულიდან ინგლისურად გადათარგმნის, ანდროს ამბავიც გაირკვევა.

ანდროს ბრალი ედებოდა ორი ქილა მანვინის ქურდობაში, რომელსაც, უნდა ითქვას, თავად ანდრო არ უარყოფდა, ასევე სხვისი ქონების განზრახ დაზიანებაში, რომელიც გამოიხატებოდა ჩამტვრეული მინით. ანდრო არც ამას უარობდა და გულწრფელად ნანობდა კიდეც. თუმცა ამას ემატებოდა სხვა წერილმანი ნივთები, რომლის ნაღება- მითვისება ანდროს პირდაპირ არ უმტკიცებდა, მაგრამ გამოძიებას ეჭვის გამოთქმა მინც შეეძლო, მითუმეტეს, რომ ამ ნივთების გაუჩინარება საეჭვოდ ემთხვეოდა ანდროს სტუმრობას, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მისამართზე. ეს ნივთები იყო: ერთი საბავშვო ველოსიპედი, მანქანის ორი ახალი საბურავი, ერთი დენის მრიცხველი, ათი მეტრი სატელეფონო კაბელი, სამეზობლოში გატეხილი რამდენიმე სარდაფი წვრილმანი დანაკლისით და ათიოდე სადარბაზოში დამაგრებული ნათურა. მართალია, არც ერთ ადგილას, როგორც იტყვიან, ანდროს ანაბეჭდები არ ამოვიდა, მაგრამ დაზარალებულები საკუთარი ნივთების დაბრუნებას თუ არა, მათი ღირებულების ანაზღაურებას მოითხოვდნენ. ანდრო თავს ისე იცავდა, როგორც შეეძლო, მხოლოდ მანვინის ქურდობას აღიარებდა და სხვა რამეზე თანხმობას არ აცხადებდა.

– მაინც რაში გჭირდებოდათ ეს მანვინის ქილები? – იკითხა გამოძიებელმა, როდესაც ანდროს მონათხრობი, რომელიც მას სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა, კიდეც ერთხელ მოისმინა.

– ქილები კი არა, დოკუმენტები. – იწყინა ანდრო.

– კი, ბატონო, დოკუმენტები იყოს.

– ვილაცამ ხომ უნდა მიხედოს ჩვენს წარსულს.

– ჩვენს წარსულს სახელმწიფო უფლის.

– რა ეტყობა მოვლილის, მე რომ არ მეპოვნა, ის საბუთები სამუდამოდ დაიკარგებოდა.

– თქვენი საუბრიდან ისე გამოდის, რომ სახელმწიფოს არ ენდობით და იმასაც ფიქრობთ, რომ ჩვენი სახელმწიფო საკუ-

ლაშა იმედაშვილი

ქართული მანონი

თარი მოქალაქეებისთვის არაფერს აკეთებს. – გამკაცრდა გამომძიებელი, რომელსაც ანდროსთან საუბარი გვარიანად მოზებოდა.

– მე ეგ არ მითქვამს. – დაფრთხა პატიმარი. – მე მინდოდა ეს ყველაფერი ნიგნად გამომეცა, მერე ინგლისურად მეთარგმნა, რათა მსოფლიოს გაეგო, რა დღეები ვიყავით.

– ოჯახების ნაკიდება გქონიათ ჩაფიქრებული, არეულობის შემოტანა, ამ გზით კი სახელმწიფოს შიგნიდან აფეთქება. – მოჭრა გამომძიებელმა. – ვინ გეხმარებოდათ?

საქმე პოლიტიკურ ელფერს იძენდა ანდროც კი ხვდებოდა, რომ ამ ყოველივეს საყოფაცხოვრებო, ბიჭავოსის რომ ექაზიან, ის სჯობდა, მითუმეტეს, გამომძიებელიცა და მისი ვეკილიც ამას ურჩევდნენ. მას ემატებოდა ისიც, რომ დაზარალებულები ჩვენების შეცვლას არ აპირებდნენ. არადა, ძალიანაც რომ სდომოდათ, მაინც ვერ შეცვლიდნენ, რადგან ამ შემთხვევაში სასჯელი უკვე მათ დაეკისრებოდათ ისევე და ისევე კანონისა და ისევე და ისევე ძველი ჩვენების გადათქმის გამო, თორემ იმას კარგად ხვდებოდნენ, რომ ორი ქილა მანვინისა და რამდენიმე წვრილმანი ნივთის გამო ადამიანის ციხეში გამკვება არ ღირდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთები არამარტო ხვდებოდნენ, არამედ ნანობდნენ კიდეც საკუთარ საქციელს ნამდვილი ქართული სინანულით, დაუსრულებელი სმითა თუ ღრეობით, მაგრამ ეს სინანული სინანულადვე რჩებოდა და ანდროსთვის არაფერი იცვლებოდა. მოკლედ, გამოუვალი რომ ჰქვია, სწორედ ის ერქვა ანდროს მდგომარეობას.

თუმცა გამოსავალი მაინც არსებობდა.

ამ გამოსავალს საპროცესო შეთანხმება, გნებავთ, ვარიგება ერქვა. ანდროს უნდა ელიარებინა ცოტა ის, რაც ჩაიდინა, და გაცილებით მეტი ის, რაც არ ჩაუდენია. ამას დამატებოდა ფინანსური სანქციები და გარკვეული დროის შემდეგ ან-

დრო შესაძლოა საკუთარ ოჯახს დაბრუნებოდა კიდეც. სწორედ ამის გამო ანდროს საქმეში აღიარებითი ჩვენება გამოჩნდა, რომლის სტილიცა და სულისკვეთება, როგორც სხვა ყველა ჩვენების, დაცული გახლავთ. აბა, სხვანაირად როგორ იქნება, რაც უნდა იყოს, დოკუმენტთან გვაქვს საქმე.

„ქვემოთხიანი წინააღმდეგობის შემდეგ საგამომძიებლო ორგანოებთან, დავრწმუნდი: ყოველგვარი წინააღმდეგობა უშედეგოა, ამიტომაც გადავწყვიტე ვილაპარაკო მხოლოდ სიმართლე.“

დანაშაულებრივი საქმიანობა დაინწყე ამა წლის ოქტომბრის თვეში, როდესაც ტოტალიზატორში ნავეგე გარკვეული თანხა, ასე განმეორდა ამდენჯერმე, ვიდრე ვალმა არ მიიღო სოლიდური ხასიათი. რადგან ოჯახში ამის თქმა არ შეეძლო, გადავწყვიტე ეს თანხა მომეპოვებინა დანაშაულებრივი გზით, ეგრედწოდებული ქურდობით. ვიყენებდი რა ჩვენი მემანვინის, ნორა ნაყოფის სახელს, ადვილად შევდიოდი იმ ოჯახებში, სადაც მას მანონი დაჰქონდა. ამის შემდეგ ოჯახის მასპინძელს ვესაუბრებოდი განყენებულ თემებზე, ვადუნებდი მათ ყურადღებას, რის შემდეგაც ოჯახიდან გამომქონდა მცირე ზომის ნივთები. რამდენჯერმე დავბრუნედი ხელცარიელი, რის შემდეგაც დანაშაულებრივი გზით შევალნიე რამდენიმე სარდაფში, საიდანაც ასევე წამოვიღე ისეთი ნივთები, რომლის წამოღებაც ადვილად შევძელი. მთელი ჩემი დანაშაულებრივი საქმიანობის პერიოდში ვაგრძელებდი ტოტალიზატორში სიარულსა და თამაშს. მოპარულ ნივთებს ვაბარებდი სხვადასხვა ბაზრობაზე, მყიდველების სახელები და გვარები არ ვიცო, ზოგიერთისა კი არ მახსოვს, თუმცა მახსოვს მათი სამუშაო ადგილი. ვთხოვ გამოძიებას, გაითვალისწინოს ჩემი აღიარება, რადგან სრულად ვინანიებ ჩადენილ დანაშაულს.“

ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს ჩვენებაც, ერთ მშვენიერ დღეს ქართული



მანვინის ქილაზე აღმოჩნდეს, რომლის სიყვარულშიც, როგორც ყველას ახსოვს, ქართველებს მეტოქეობას ვერავინ გაუნეებს.

მანამდე კი იგულისხმება ლოდინი და მისთანები, ანდრომ ვანოს ინგლისური უნდა ასწავლოს, მეზობლის დაუსრულებელი ბუზღუნი აიტანოს და ადგომა-დანოლის დროს საკნის კედელზე ამოკანრული ლექსი იკითხოს, რომლის ნაშლაც რატომღაც საგულდაგულად ჩატარებული რემონტის შემდეგაც ვერ მოუხერხებია საპატიმროს ადმინისტრაციას.

სკუკა მკლავს,  
სკუკა მანულებს,  
მიხშირებს დიხანისა,  
გადავბრუნდები პასტელზე,  
დავინწყებ მეჩტანისა.  
„ბალთაზარი“.

მართალს ამბობს ეს კაცი, ოცნებას კაცი არ მოუკლავს, მითუმეტეს, პატიმარი, რომელსაც ამ ოცნების მეტი არც არაფერი დარჩენია.

მოგონება

„სტუმრად“ ექვთიმე თაყაიშვილთან

მაშინ – 1947 წელს რუსთაველის მოედნიდან მთაწმინდის ფერდობისაკენ ამავალი ქუჩის შესახვევში ვცხოვრობდით. მამაჩემი – შალვა ამირანაშვილი თუ თავისუფალ დროს გამოიხატავდა, საღამოობით ქუჩაში სეირნობდა. ხან რუსთაველს გაუყვებოდა და ხან ვერის უბნისკენ გაუნედა გული. იმეიათად თუ ავედევნებოდი, ისიც იმიტომ, რომ გზადაგზა სასიამოვნოდ მოსასმენი ამბებით მანებოვრებდა. დღესაც თვალნათლივ მახსოვს ის ერთადერთი საღამო, რომლის შობაბეჭდილებაც სიბერემდე გამომყვა.



იგე, რომ ზუსტად აქ, სოფელი იყო გაშენებული ვაშლის სურნელებით გაჟღერებული ბაღებით, რომელიც საუკუნეთა მიღმა შთაუნთქავს ქალაქს. ფიქრებში გართულს ჩემთვის გაურკვეველი საკითხები წამომეკვიპათა: რუსთაველის ძეგლის დადგენამდე რატომ უნოდებდნენ ამ მოედანს გერმანელი მეაფთიაქე ზემელ-

ის სახელს? რატომ უნდა აშენებულიყო ქართველთა დედაქალაქის შუაგულში მელიქ კაზარიაძის სახლი? ვერეს ხეობის მიმდებარე უბანს, რატომ უნდა რქმეოდა გარეუბნული სახელი ვერა? რას ნიშნავდა: ხარფუხი, ისანი, ნარიყალა, ავლაბარი, სოლოლაკი?.. მეგონა, რომ რამდენ უცხოელსაც თბილისში გაუვლია ან თუნდაც უცხოვრია კიდეც, თავისებურად მიუსადაგებია სახელები მათთვის უსახელო უბნებისათვის.

ამ დროს მამის ხმაც შემომესმა: „ძალიან შემაგვიანდა შენთან დაბრუნება, მეგონა სახლში წახვიდოდი უჩემოდ, შენ კი აქ დამხვდი“. თითქოს მომიბოდიშა კიდეც.

– ხომ მითხარი დამიცადეო, და მეც გიცდიდი! – ვუპასუხე ხმამაღლა.

მოკლე პაუზის შემდეგ გადმომხედა და აღტაცებით მითხრა: „ექვთიმე თაყაიშვილთან ვიყავი სტუმრად“, – ცოტა დააყოვნა და განაგრძო – „საოცარი კაცია! სიახლით დატვირთული; სამი წლის სამეცნიერო მუშაობის გეგმა გამაცნო; ბევრი ვისაუბრეთ. მერე ჩაცო მოადულა; ამიტომ დამაგვიანდა შენთან დაბრუნება. გარეთ რომ გამოვდი, შემომძახა: „უნივერსიტეტში ფრანკები ხომ არ მოუტანიათო?“, მეც ვუპასუხე: „სწორედ დღეიდან დაიწყეს ხელფასის დარიგება-მეთქი“. ამის გაგონებაზე ღიმილმა გადაურბინა მოხუცს სახეზე. სასიამოვნო შესახედაობისაა, მისგან ყოველთვის სიკეთე გამოკრთის. ასე დავუმორდით ერთმანეთს“. ყველაფერი ეს სწორედ მითხრა და წამიერად ფიქრებში გაერთო.

– მამა! – შევძახე მე, – ლამის ორი წე-

ლია, რაც გემუდარები, მიმიყვანე ექვთიმე თაყაიშვილთან, ბოლოს და ბოლოს გამაცანი; რამდენი რამ მოგიყოლია მის შესახებ ჩემთვის; მაინტერესებს, რას მიამბობს პარიზული ცხოვრებიდან!

მამა მისმენდა და დუმდა. მე კი, თითქმის მოურიდებლად ჩემსას ვაგრძელებდი: „ახლავე მივბრუნდეთ და მივიდეთ მასთან, ან მასწავლე სად ცხოვრობს, უშენოდ მივიღო!“ – წარმოვთქვი თამამად.

– არა, შვილო! – გულდანწყევტით მითხრა, – ექვთიმე თაყაიშვილთან მისვლის უფლება შენ არა გვაქვს, – ძლივს დაამთავრა ფრაზა, თითქოს მწარე ნალექი გადაცდენოდეს. მერე ჩემგან პირი იბრუნდა და შინისაკენ დაიძრა. რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ შემომხედა. დამინახა, რომ მივყვებოდი.

გაოგნებულმა და სახტად დარჩენილმა არ ვიცოდი, თუ რა უფლებაზე მელაპარაკებოდა. ხანდახან ავხედავდი, ის კი ყურადღებას არ მამცვედა. მის მოღუშულ სახეს ჩემთვის აღარ ეცალა. ასე ხმამაღლად მივვიდით სახლამდე.

მხოლოდ ჩემი სტუდენტობის დროს შევიტყვე, რომ საფრანგეთში მყოფი ექვთიმე თაყაიშვილთან მისვლის უფლება სულ რამოდენიმე პიროვნებას ჰქონდა ნებადართული; მათ შორის იყო მამაჩემიც – შალვა ამირანაშვილი.

გულგად ამირანაშვილი

P.S. საფრანგეთიდან გამოყოლილი ტრადიციით საბჭოთა კავშირის ფულს ფრანკებს უნოდებდა ექვთიმე თაყაიშვილი.

ლიტერატურული გაზეთი  
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით  
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული  
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com